

საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საპატრიარქოს  
ნმიდა ანდრია პირველწოდებულის სასწალოების  
ქართული უნივერსიტეტი

**დეკანოზ იონანე მარგინანის  
ეთნოგრაფიული  
მემკვიდრეობა**

თბილისი 2016

**რედაქტორები:**

**როზაბა გუჯაჯიანი**

**მირიან ხოსიტაშვილი**

**სამეცნიერო კონსულტანტი:**

**ივანე ლაშავა**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:**

**როლანდ თოფჩიშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ქეთევან მარგინი**

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**ქეთევან მარგინი-სუბარი**

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**სარედაქციო კოლეგია:**

**ანა ღათაშვილი**

**თამარ ღიდეზაშვილი**

**თათია მერლანი**

**რუსუდან ყიფიანი**

**გიორგი ჩუბინიძე**

**მარიამ ხინთიბიძე**





## წინასიტყვაობა

წმიდა პოლიევქტოს (კარბელაშვილი) 1903 წელს, სვანეთში მოგზაურობის დროს, შეხვდა დეკანოზ იოანე მარგიანს და იგი, ადგილობრივი სამღვდელოების ორ სხვა გამორჩეულ მოღვაწესთან ერთად (მღვდელი გერსამია, მღვდელი ბესარიონ ნიჟარაძე) დაახსიათა, როგორც „სანეტარო კაცნი, რომელთაც მაცხოვარმა რჩეულ მცირედთა გუნდი უწოდა. მამა ბესარიონ ნიჟარაძე და მღვდელი იოანე მარგიანი სვანეთის ნამდვილნი შვილნი არიან, აქ დაბადებულნი, აქ აღზრდილნი (უშკულ-მუჟალში), უხარიანთ, რომ მათი საყვარელი სამშობლოს სანახავად მოდის ვინმე“<sup>1</sup>.

ვფიქრობთ, წმიდა პოლიევქტოსის ეს შეფასება სრულად ასახავს დეკანოზ იოანე მარგიანის ცხოვრებას და მოღვაწეობას – მან მთელი სიცოცხლე სამშობლოს და სარწმუნოებას უძღვნა.

საქართველოს უახლესი ისტორია მრავალ გმირსა და მოწამეს იცნობს, მაგრამ ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობია ბევრი ამაგდარი მოღვაწის სახელი. ამგვარ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი დეკანოზი იოანეცაა (ივანე მარგიანი).

დეკანოზ იოანე მარგიანის (1872-1933 წწ.) მრავალმხრივი სასულიერო და საზოგადო საქმიანობის ესა თუ ის ასპექტი საყურადღებოა მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთათვის – ეთნოლოგთათვის, ისტორიკოსთათვის, ენათმეცნიერთათვის, ფოლკლორისათვის და სხვ.

დეკანოზი იოანე მარგიანი საქართველოსთვის მეტად მძიმე პერიოდში ცხოვრობდა. ჯერ მეფის, ხოლო შემდეგ საბჭოთა რუსეთისაგან ოკუპირებულ საქართველოში ქართული სიტყვისა და სამშობლოს სიყვარულის ქადაგება უამრავ პრობლემასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ დეკანოზი იოანე მარგიანი ერთგულად ემსახურებოდა

---

<sup>1</sup> მღვდელი პ. კარბელაშვილი, სვანეთში ორი კვირით, – გაზეთი „ივერია“, №193, 11 სექტემბერი, 1903.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისა და წმიდა ილია მართლის ჰუმანურ იდეალებს და სასულიერო მსახურების პარალელურად, ქართული იდენტობის გადარჩენისა და განვითარებისათვის იღვწოდა.

ივანე მარგიანი ზემო სვანეთის მულახის თემში, მღვდლის გიორგი მარგიანის ოჯახში დაიბადა. განათლება ქუთაისის გიმნაზიაში, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სემინარიაში მიიღო. მღვდლად კურთხევის შემდეგ ქვემო სვანეთსა და ცაგერში მოღვაწეობდა. სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა, ამასთანავე, აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებთან („ივერია“, „მომამბე“, „ცნობის ფურცელი“, „მოგზაური“, „მწყემსი“, „შინაური საქმე“...). დეკანოზ იოანე მარგიანის ყოველი სტატია თუ ნაშრომი ეროვნული თვალთახედვით გამოირჩევა. ის მხარში უდგას ყოველ სასიკეთო საზოგადოებრივ წამოწყებას და ეწინააღმდეგება ქართული ეროვნული იდენტობისა და კულტურის დამაკნინებელ ქმედებებს.

დეკანოზ იოანე მარგიანის პუბლიცისტიკის ის ნაწილი, რომელიც გამოქვეყნებულია მღვდელ სვიმონ მჭედლიძის მიერ გამოცემულ ეროვნული მიმართულების გაზეთში – „შინაური საქმეები“ – ნაკლებადაა ცნობილი დღევანდელი მკითხველი საზოგადოებისათვის, რადგან საბჭოთა პერიოდში ამ გაზეთის არსებობაზე ყურადღება არ მახვილდებოდა. გაზეთში დაბეჭდილია დეკანოზ იოანე მარგიანის არაერთი ეთნოგრაფიული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის წერილი, რომლებიც შესულია წინამდებარე გამოცემაში. დეკანოზი იოანე იზიარებდა „შინაური საქმეების“ სარედაქციო კოლეგიის იდეებსა და მიმართულებას. ამ პუბლიკაციებში ჩანს, რომ დეკანოზი იოანე იცავდა სვანეთისა და ლეჩხუმის მკვიდრთა ინტერესებს, წერდა წერილებს ქართული ღვთისმსახურების სასარგებლოდ, იღვწოდა ქართული ენის გადარჩენისათვის.

შემდეგაც, კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც ახერხებდა ივანე მარგიანი ქვეყნისთვის სასიკეთო მსახურებას – ეწეოდა ქართული (სვანური) ჯიშის ფუტკრის პოპულარიზაციას, სათავეში ედგა ცაგერის განათლების განყოფილებას, ბარიტის წარმოებას, 1928 წელს დააარსა ზემო სვანეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მოიძია, თავი მოუყარა, აღადგინა და დაკარგვას გადაარჩინა მრავალი ძველ-ქართული (სვანური) ცეკვა და სიმღერა, საგალობლები. ამ მხრივაც განუზომელია მისი ღვაწლი.

1931 წელს ივანე მარგიანი დააპატიმრეს, რეპრესიების სიმძიმე იწვინა მისმა ოჯახმაც. ქვეყნის თავისუფლების დაკარგვითა და ღვთისმსახურების აკრძალვით გამოწვეულმა სევდამ ივანე მარგიანის ჯანმრთელობა მკვეთრად შეარყია. იგი 61 წლის ასაკში (1933 წ.) გარდაიცვალა.

დეკანოზ იოანე მარგიანის ნაშრომ-ნააზრევი ამჟამადაც აქტუალურია. განსაკუთრებით ძვირფასია მის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა. მასალა გაბნეულია ცალკეულ პუბლიკაციებში, რომლებიც გამოქვეყნებულია გაზეთებში – „ივერია“, „შინაური საქმეები“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „მოგზაური“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში სხვადასხვა წლებში.

ივანე მარგიანის რამდენიმე წერილი გამოქვეყნებულია 1973 წელს გამოცემულ წიგნში „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“, რომელიც შეადგინეს გ. ავალიანმა და გ. ზურაბიანმა. ამ სასიქადულო მოღვაწისადმი მიძღვნილი წერილები და მონოგრაფია გამოსცა მისმა შვილიშვილმა პროფესორმა თამაზ ლეჟავამ – „ივანე მარგიანი, ცხოვრება და მოღვაწეობა“ (2008). წიგნს ახლავს სვანური სიმღერების უნიკალური ფონოჩანაწერების (1928 წელი) ასლი.

ამ გამოცემის მიზანია, მკითხველს სრული სახით მიაწოდოს დეკანოზ იოანე მარგიანის ყველა პუბლიკაცია, რომელშიც ეთნოგრაფიული მასალაა დაცული.

დიდად ფასეულია ივანე მარგიანის ეთნოგრაფიული წერილები, რადგან ავტორი კარგად იცნობს სვანეთის ტრადიციულ ყოფას, გვაცნობს სვანეთის ტრადიციული სულიერი, სოციალური და მატერიალური კულტურის ყველა თავისებურებას.

დეკანოზი იაონე მარგიანი ძირისძირობამდე სწვდება სვანეთში არსებული რელიგიური რიტუალების ქრისტიანულ არსს, ვრცლად მოგვითხრობს სვანეთში შემონახულ ქრისტიანულ დღეობებსა და რიტუალებზე, ანალიზებს უძველეს სახრებისეულ ტრმინოლოგიას, დაცულს სვანურ მეტყველებაში. ამ მხრივ უძვირფასესია წერილი „რა ენაზედ ადიდებენ და ადიდებდენ სვანები ღმერთს?“. დეკანოზი იოანე წერს: „სვანს რომ წირვა-საღმრთო ექმნებოდა, მღვდელი ასე დალოცავდა (ეხლა ასე თითონ ლოცავენ ერთმანეთს): „დიდება ღმერთსა, დიდაბ აჯხად დამბადებელს, ლადიმ ნიშვევი ლოცვ ღირსეულდ შეინირე! (დიდება ღმერთსა, დიდება დამბადებელსა! დღეის ჩვენი ლოცვა ღირსეულად შეინირე!) ქართულია, მაშ რაა ეს სიტყვები და მთელი წინადადება? ეხლა ვიკითხოთ თუ, რა სახელებს ეძახოდ-

ნენ და ან ეძახიან სვანები დღესანაულებს: ქრისტემ, ქრისტეშობა. განცხდაბ-განცახადება. სვიმნობ, სვიმნობა (მირქმა). ტაძრობ, ტაძრად მიყვანება, თანაფ, პასექი (თანაფა მეგრ.), თავსკვათ, თავისკვეთა. ანლლაბ, ამალლებ. ფერცვლაბ, ფერისცვალება. ხარაბ, ხარება. პარპლდამ, პეტრეპავლობა. ლიმორიე, მარიობა. ენამ, ანნას მუცლად ღება. ბარბლამ, ბარბალობა. ზადკობ, ხადიკობა (მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკე). ლიგიერგი, გიორგობა, ლიგურკე, კვირიკობა, ელიობ, ელიობა. ეხლა ავილოთ რამდენიმე სიტყვა: ღერბეთ, ღმერთი. ქრისტე, ქრისტე. ლამარია, მარიამ ქალწული. ერბილ-ქერბილ, სერაფიმ-ქერაბიმი. დიდაბ, დიდება. თარინგ ზელ, მთავარ-ანგელოზი. ჯგორამ, წმ. გიორგი. ნათელმცემელ, ნათლ-ს მცემელი. მადილ, მადლი. საკმეველ, საკმეველი. ფილოვან, ფილონი. ჯვარ ჯვარი. (ლი)-მზირ, ვედრება, მზერა, შვენდბა, შენდობა (ზევით). ცოდვ, ცოდვა. ნატუსუნ-ნატუსალი (საკ. შვენაბ. შევონება. მეველის მაგიერ ცვილის ნამ. გვირგვინ, გვირგვინი. ცეცებსა ხმარობენ დასწავავად). წირვ, წირვა. სეფისკვერ, სეფისკვერი. ლოცვ, ლოცვა. ზედაშ, ზედაში. ქვერნილ, ქორწილი. სახრაბ, სახარება. ალაპ, ალაპი. საყდარ, საყდარი. კიდევ ბერ სიტყვას მოვიყვანდით, მაგრამ, ვგონებ, ესეც საკმარია, რომ მიხვდეს კაცი, თუ რა ენაზედ ადიდებენ და ვადიდებთ ღმერთსა ჩვენ, სვანები“.

დეკანოზი იოანე ვრცლად წარმოაჩენს ქართული (სვანური) ჩვეულებითი სამართლის იმ დანაშრევებსაც რომლებიც ძველქართული ფეოდალური ხანის საერო და კანონიკური პოსტულატებით არის ნასაზრდოები. აღწერს მატერიალური ყოფის საგულისხმო ნიუანსებს. ხატოვნად მოგვითხრობს სვანეთის ყოფითი კულტურის შესახებ. აღწერს სვანეთის საცხოვრებელ, სამეურნეო და თავდაცვით ნაგებობებს, საცხოვრებლის ინტერიერს, განიხილავს სამუშაო ინვენტარს, საბრძოლო იარაღს, ადარებს ერთმანეთს ძველ და ახალ იარაღს, ტანსაცმელს, საკვებს, სხვა კულტურულ-სამეურნეო მახასიათებლებს.

დეკანოზ იოანეს წერილებში არის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ადგილობრივ სასულიერო პირთა შესახებ. იგი მოგვითხრობს მამის, მამა გიორგი მარგიანის ცხოვრებას, ღვანლს, იხსენებს ბერი თეოფანეს (კორძაია) დამსახურებას და სხვ. ვრცლად აღწერს სვანეთის სამღვდულოების რთულ ცხოვრებისეულ პირობებს. ემადლიერება გაბრიელ ეპისკოპოსს, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა სვანეთს.

ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიის შესწავლის მხრივ და თანამედროვე პრობლემათა გათვალისწინებ-

თაც, უმნიშვნელოვანესია დეკანოზ იოანეს წერილები, რომელებშიც მსჯელობს სვანური მეტყველების ძველი ქართულიდან მომდინარეობის შესახებ და ფრიად საყრადღებოა მის მიერ გამოთქმული რჩევები კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, მაგალითად, სტატია „ქართული ლექსიკონის შემუშავების შესახებ“.

ასევე, უაღრესად საყურადღებოა დეკანოზ იოანეს პოლემიკა ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელთან ა. სტოიანოვთან, რომელმაც სვანეთში მოგზაურობის აღწერილობაში სვანები „მალოროსიელთა“ ანთროპოლოგიურ ტიპს მიაკუთვნა. დეკანოზი იოანე აკრიტიკებს სტოიანოვის ლინგვისტურ დაკვირვებებსაც.

დეკანოზ იოანე მარგიანის პუბლიკაციებს მეცნიერულთან ერთად საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალურია წერილთა ის ჯგუფი, რომელიც სვანეთის ეკლესიებში ქართულენოვანი წირვისა და სკოლებში ქართული ენის სწავლების აუცილებლობას ეხება. ცნობილია, რუსიფიკაციის ყველა ეტაპზე ქართველი ეთნოსის დაშლისა და დანაწევრების მიზნით, რუსი მოხელეები და მეცნიერები პერიოდულად ააქტიურებდნენ სვანების, მეგრელების, აჭარლების და სხვა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფთა არაქართველობის თემას და ცდილობდნენ სვანეთისა და სამეგრელოს ეკლესიებსა და სკოლებში ქართული სიტყვირების აკრძალვას. მათი მცდელობა – ქართული ენის ნაცვლად წირვა-ლოცვა და სწავლა წარმართულიყო სლავურ გრაფიკას მორგებული სვანური ან მეგრული მეტყველებებით – მუდამ მარცხით მთავრდებოდა, რადგან სვანეთისა და სამეგრელოს მოსახლეობა არ ეპუებოდა ასიმილაციის მცდელობებს და ინარჩუნებდა ქართულ ეთნიკურ იდენტობას, ავითარებდა თვითმყოფად ქართული კულტურას. ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისთვის განეული წინააღმდეგობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი სვანეთსა და ლეჩხუმში დეკანოზი იოანე მარგიანი გახლდათ, თანამოაზრეებთან (დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე, ეგნატე გაბლიანი, ლევან დადეშქელიანი, ქაიხოსრო გელოვანი...) ერთად.

სწორედ რუსული იმპერიული იდეოლოგიის – „დაყავი და იბატონე!“ – წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა დეკანოზ იოანე მარგიანის სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში. ამ მხრივ იკვეთება შემდეგი მიმართულება: 1. სვანეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების უფლების მოპოვება და შენარჩუნება; 2. მეცნიერულად დასაბუთება იმისა, რომ სვანებისათვის სწორედ

ქართულია მშობლიური, სამწიგნობრო და საეკლესიო ენა; 3. ბრძოლა სვანეთის ეკლესიებსა და სკოლებში საღვთო სჯულის სლავურ გრაფიკას მორგებული სვანური კილოებით სწავლების წინააღმდეგ; 4. ლექსიკოგრაფთა ყურადღებას მიაპყრობს სვანურ მეტყველებას და მიუთითებს, რომ სალიტერატურო ქართულში უკვე დაკარგული ძველქართული სიტყვების, მათ შორის სახარებისეული ტერმინების მოძიება სწორედ სვანურ კილოებშია შესაძლებელი; 5. დეკანოზ იოანე მარგიანის დაკვირვებით, სვანური კილოებისა და ქართული სალიტერატურო ენის შედარება უნდა მოხდეს არა XIX საუკუნის მინურულის გამარტივებულ-გადარიბებული ქართულის მიხედვით, არამედ ძველი ქართული ენის საფუძველზე და ამ შედარების შედეგები დაადასტურებს ქართველთა ეთნიკური ერთიანობის დაშლის მოსურნე რუს მოხელე/მეცნიერთა დასკვნების მცდარობას.

წიგნში შეტანილია დეკანოზ იოანე მარგიანის ერთი მხატვრული ნაწარმოებიც – „მაგის რა ბრალია?! (ფსიხოლოგიური ეტიუდი სვანეთის ცხოვრებიდან)“ – რომელიც საყურადღებოა ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

დეკანოზ იოანე მარგიანს ღირსეული ადგილი უკავია ქართველ სასულიერო და საზოგადო მოღვაწეთა შორის. მისასაღმებელია ამ ამაგდარი მოღვაწისადმი მიძღვნილი კრებულის გამოცემა, რისთვისაც მადლიერებას გამოვხატავთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისადმი.

წერილების შეკრება და გამოსაცემად მოამზადება ითავებს ახალგაზრდა მკვლევარებმა საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტიდან: თამარ დიდებაშვილმა, რუსუდან ყიფიანმა, გიორგი ჩუბინიძემ, მარიამ ხინთიბიძემ; თსუ კურსდამთავრებულმა ანა დათაშვილმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა თათია მერლანმა.

წიგნი იწყება დეკანოზ იოანე მარგიანის ბიოგრაფიით, რომელიც შედგენილია თამაზ ლეჟავას მიერ.

წიგნი საყურადღებოა, როგორც მეცნიერებისა და სტუდენტებისათვის, ასევე ქართული ტრადიციული კულტურით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

**როზეტა გუჯეჯიანი**  
**მირიან ხოსიტაშვილი**

თამაზ ლეჟავა

## ივანე მარგიანის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

ივანე მარგიანი დაიბადა 1872 წლის 25 მაისს მულახის თემის სოფელ მუჟალში, ცნობილი მღვდლის გიორგი მარგიანის\* ოჯახში. ივანე მარგიანი სწავლობდა ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ხალხოსნური მოძრაობის გავლენით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა ერთერთ მღვდვარებაში მონაწილეობის გამო ივ. მარგიანი სასწავლებლიდან გაურიცხავთ. მალე მან შეძლო თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გაგრძელება.

თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, დაახლოებით 1898-99 წლებში ივანე მარგიანი მღვდლად აკურთხეს და ქვემო სვანეთში, სოფელ ჩოლურში განამწესეს, ამასთანავე, სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დანიშნეს.

1902 წელს ივ. მარგიანი აირჩიეს ლაშხეთის (ქვემო სვანეთის) „ბლალორჩინად“ (კეთილმოწესედ). ამის შემდეგ იგი ღვთისმსახურებას ეწეოდა სოფ. ჟახუნდერში, წმინდა გიორგის ეკლესიაში.

1906 წელს ივანე მარგიანი ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ დანიშნეს ცაგერის ოლქის მთავარმსახურად.

იმავე 1906 წელს ლაშხეთის საბლალორჩინო ოლქი თავისი ნებით შეუერთდა ცაგერისას; ამის შემდეგ 1912 წლამდე ივანე მარგიანი ცაგერისა და ლაშხეთის გაერთიანებულ საბლალორჩინოს ხელმძღვანელობდა. მისი ტაოსნობით ლაშხეთისა და ცაგერის ოლქებში აქტიური სააღმშენებლო პროცესი გაჩაღდა.

1912 წელს ცაგერის ეკლესიას დაუბრუნდა საკათედრო ტაძრის სტატუსი. ამ თარიღს ემთხვევა ივანე მარგიანის მიერ ლაშხეთის „ბლალორჩინის“ უფლებამოსილების მოხსნა. 1917 წელს მამა იოანეს

მიენიჭა დეკანოზის წოდება. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის 1917 და 1920 წლების კრებებში, როგორც ცაგერის ოლქის მთავარხუცესი.

ივანე მარგიანი 1903 წელს მეგზურობას უწევდა პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ სვანეთის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლის მიზნით ორგანიზებულ ექსპედიციას, ხოლო 1910 წელს – ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიურ ექსპედიციას ლეჩხუმ-სვანეთში.

ჩვენ მიერ მიკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ ივანე მარგიანი აქტიურ სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად ნაყოფიერად თანამშრომლობდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებთან („დროება“, „ივერია“, „მოგზაური“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“, „მწყემსი“, „შინაური საქმეები“). მათში პირუთვნელად და დიდი გულისტკივილით აღწერს ძველი სვანეთის ყოფა-ცხოვრების დუხჭირ სურათს, წარმოგვიდგენს სვანეთში სწავლა-განათლების, მიმოსვლის საშუალებებს და სამედიცინო მომსახურების შეძლებისდაგვარად გაუმჯობესებისა და სხვა მოუგვარებელი საქმის მონესრიგების გეგმებს (წერილების ერთი ნაწილი თავმოყრილია გიორგი ავალიანისა და გიორგი ზურაბიანის მიერ გამოცემულ წიგნში „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“). ივანე მარგიანის წერილებში სამი ძირითადი პრიორიტეტი დომინირებს:

– მშობლიური კუთხის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის და სწავლა-განათლების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა;

– ქართული ენისა და სვანური დიალექტების გენეტიკური კავშირის მტკიცებულებების საფუძველზე ერთიანი ქართული თვითმეგნების დამკვიდრებისათვის ბრძოლა;

– მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის განმტკიცება და მოსახლეობის სულიერებისა და ზნეობის ამაღლება.

განსაკუთრებით საინტერესოა ივანე მარგიანის წერილი სვანური ენის შესახებ, რომელშიც იგი მთლიანად აქარწყლებს რუსი მკვლევარის, სტოიანოვის საფუძველშივე მცდარ მტკიცებას ქართული ენისა და სვანური დიალექტების სრული სხვადასხვაობის შესახებ, რაც საქართველოს კუთხეების გათიშვას და ჩვენი ეროვნული თვითმეგნების ძირის გამოთხრას ემსახურებოდა. ივანე მარგიანის წერილებში თავმოყრილია უნიკალური ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალა სვანეთის შესახებ. გარდა ამისა, მიკვლეულია მისი ფსიქოლოგიური ეტიუდი „მაგის რა ბრალია“ და რუსულიდან ნათარგმნი მოთხრობა „საშინელი დანაშაული“, რომლებიც გამოქვეყნდა გაზეთში „შინაური

საქმეები“. 1912 წლის შემდეგ გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ მასალები ივანე მარგიანის პუბლიცისტური მოღვაწეობის შესახებ. არ არის შესწავლილი არც 1904-1910 წლების პერიოდიკა.

ცაგერში ივანე მარგიანმა შექმნა ოჯახი ვარვარა ბერიძესთან ერთად. მათ შეეძინათ სამი ქალიშვილი – ნანა, თამარი, თინათინი და ორი ვაჟი – დიდიმი, ლადო (თინათინი და ლადო სიყმაწვილეშივე გარდაიცვალნენ). მის ოჯახში სხვადასხვა ხანგრძლივობით ცხოვრობდნენ ახლო ნათესავების შვილები, რომლებიც აქ საშუალო განათლებას იღებდნენ.

სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად ივანე მარგიანი ცაგერის ცხრა წლიან სკოლაში ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებსა და ფიზიკას. მევახშეობის მარწუხებისგან მოსახლეობის დახსნისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით ივანე მარგიანმა 1912 წელს ჩამოაყალიბა ცაგერის საკრედიტო ამხანაგობა.

თავისი ძირითადი სამსახურის გარდა, იგი სერიოზულად მისდევდა მეფუტკრეობას და აქტიურად ეწეოდა ქართული ჯიშის ფუტკრის პოპულარიზაციას; საზღვარგარეთ გზავნიდა ქართული ფუტკრის დედებს, ხოლო იქიდან იღებდა სპეციალურ პერიოდულ ლიტერატურას; თავლს ქვევრებში ინახავდა. ერთი ქვევრი განკუთვნილი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომლიდანაც ნებისმიერ აქაურ მკვიდრს შეეძლო ნატურალური თაფლის წამლად წაღება.

სვანეთში კულტურული მეფუტკრეობის გავრცელება სწორედ ივანე მარგიანის სახელს უკავშირდება. გასაბჭოების შემდეგ მშობლიურ კუთხეში დაბრუნებულმა ივანე მარგიანმა სვანეთის რაილმასკომთან ჩამოაყალიბა საფუტკრე მეურნეობა, სადაც მოსახლეობას პრაქტიკულად ასწავლიდა ფუტკრის მოვლას. მან პირველმა დანერგა სვანეთში დადანის ტიპის სკები და თაფლის გამოსაწერი ცენტრიფუგა (ციბრუტა).

საქართველოს გასაბჭოების პირველივე წლებიდან ივანე მარგიანი სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მოღვაწეობდა. იგი იყო ცაგერის რაილმასკომის განათლების განყოფილების გამგე, მექვენის ბარიტის წარმოების მმართველი, ზემო სვანეთის რაილმასკომის განათლების განყოფილების გამგე.

დედაჩემი იხსენებდა, რომ ცაგერის კომკავშირელმა აქტივისტებმა ივანე მარგიანს მოსთხოვეს საჯაროდ გამოსულიყო და მოსახლეობისთვის განემარტა, რომ ღმერთი არ არსებობს. ივანე მარგიანი მარ-

თლაც გამოსულა და თავისი სიტყვა ასე დაუმთავრებია: რაც შეეხება ღმერთის არსებობა-არ არსებობას, ამისთვის მე დამჭირდება ისეთი ფილოსოფიური წიაღსვლები, რომლებსაც თქვენ ვერ გაიგებთ.

ამის შემდეგ ივანე მარგიანს ცაგერში აღარ დაედგომებოდა. მას ჩამოართვეს სახლი და იგი დაბრუნდა სვანეთში.

1928 წელს მან პირველმა ჩამოაყალიბა სვანური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც კონცერტები გამართა თბილისში, ერევანში, მოსკოვსა და ლენინგრადში. 1928 წლის გაზეტებში, მათ შორის გაზეთში „იზვესტია“, ფართოდ არის გაშუქებული გუნდის გასტროლები.

მაგრამ სვანეთში ცხოვრების პერიოდს მისთვის უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. საბჭოთა მმართველობის პერიოდში მრავალი სვანი არ დაემორჩილა მთავრობის გადაწყვეტილებას, თავიანთი მიწები მოექციათ საერთო საკუთრებაში და ამის გამო ტყეში გავიდნენ. რაიონის ხელმძღვანელობამ ივანე მარგიანს, როგორც ავტორიტეტულ პიროვნებას, შესთავაზა შუამავლის როლი „ყაჩაღების“ შემორიგებაში. იგი დასთანხმდა, მაგრამ მთავრობას მოსთხოვა მათი ხელშეუხებლობის გარანტიები. მთავრობამ სიტყვა მისცა. თავიდან მას სიტყვა მართლაც შეუსრულეს, მაგრამ შემდეგ პირობა დაარღვიეს, რის გამოც ივანე მარგიანმა მთავრობასთან თანამშრომლობაზე უარი თქვა. ამის შემდეგ, 1931 წელს, თვით ივანე მარგიანიც დააპატიმრეს და ბრალი დასდეს ყაჩაღების მიმართ ლოიალურობაში. ბუნებრივია, რომ იგი „შავ სიაში“ მოხვდა, რის გამოც მისი შვილი, როგორც „შავსიელის“ შვილი გარიცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსიდან და მხოლოდ მოგვიანებით, კორნელი კეკელიძის ძალისხმევით შეძლო მან სწავლის გაგრძელება (კორნელი კეკელიძე და ივანე მარგიანი სასულიერო სემინარიაში ერთად სწავლობდნენ). ბატონ კორნელის გარიცხულთა სიაში ყურადღება მიუქცევია გვარ-სახელისთვის, გამოუძახებია იგი და უკითხავს ვისი შვილი ხარო. შემდეგ მან, როგორც ღირსეულმა მამულიშვილმა, გამოიჩინა მოქალაქეობრივი სიმამაცე და იმას მიაღწია, რომ თამარ მარგიანი უნივერსიტეტში აღადგინეს.

უკანასკნელი წლების მოვლენებმა შეარყია ივანე მარგიანის ჯანმრთელობა; 1933 წელს ნალვლის ბუშტის ოპერაციის შემდეგ, იგი გარდაიცვალა 61 წლის ასაკში; დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

ივანე მარგიანის დაუღალავი მოღვაწეობა, ჩვენ მიერ მიკვლეული წერილების ანალიზი გვარწმუნებს, რომ იგი ილია ჭავჭავაძის ჭეშმარიტი სულიერი მემკვიდრე იყო. სამშობლო, ენა და სარწმუნოება მის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა.



დეკანოზი იოანე მარგიანი და ეგნატე გაბლიანი



**დეკანოზ იონაე მარბიანის  
ეთნოგრაფიული წერილები**

## წერილი სვანეთიდან<sup>1</sup>

ყველამ იცის თუ რა მიუდგომელი მხარეა სვანეთი. მთელი რვა თვე ზამთარია და კაცს დაძვრა არ შეუძლია ადგილიდან, მხოლოდ სამი თვის განმავლობაში თუ ჰნახავს კაცი სვანეთს და სვანი სხვა მახლობელს მხარეს; მაგრამ მაშინაც საძნელოა მოგზაურობა გზების უვარგისობის გამო. რამდენი ბოქაული გამოიცვალა სვანეთმა, მაგრამ არცერთმა მათაგანმა მისს ძირეულს საჭიროებას, მაგალითად, გზების გაუმჯობესებასა და სხვას, არ მიაქცია ყურდღება. იყვნენ კეთილნი, მაგრამ ისინიც მხოლოდ ვინრო წრეში მოქმედებდნენ. არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ახლად გამწესებული ჩვენში ბოქაული ს.ლ. დალაქიშვილი, რომლის მობრძენება ჩვენში უნაყოფოდ არ დარჩენილა. იგი მოსვილსთანავე შეუდგა ახალის გზების გაყვანას. ეს გზები ვაკეა, მოხდენილს ალაგს გაყვანილი, საკმაო სიფართოვე ექნება; ეტყობა, რომ ბ-ნი დალაქიშვილი ამ საქმეში ძლიერ გამოცდილია. ეს კი შევნიშნოთ, რომ ზოგიერთმა მამასახლისებმა ბოქაულის გეგმას არ მისდიეს და ამიტომ გზა ვერ გამოვიდა რიგიანი.

ყველაზედ ვაკე, ლამაზი, მკვიდრი გზა გაიყვანა მესტიის მამასახლისმა მ.მჭედლიანმა, რომელიც სხვა მამასახლისების მხრივ მიბაძვის ღირსია. ბოლოს უნდა ვსთქვათ, რომ ახალის გზების გაყვანა დიდს სარგებლობას მოუტანს სვანეთს, რომელიც თავის დღეში არ დაივიწყებს ბ-ნის დალაქიშვილის ამაგსა და ყოველთვის მისი მხსენებელი იქნება.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერთი გარემოება... 28 ივნისს როდესაც ს. მესტიაში ახალს გზას აკეთებდნენ, უზარმაზარის ქვის ქვეშ ორის ადლის სიღრმეში ჰნახეს 21 ნაჭერი სხვადასხვა გვარი ნივით. სამი ნაჭერი რკინისა (1-სატეხი, 2 და 3დამტვრეულია) და ჟანგისგან მთლად

---

<sup>1</sup> ი. მარვიანი, წერილი სვანეთიდან, - გაზეთი „ივერია“, №171, 21 აგვისტო, 1897, გვ., 2.

შეჭმულია, თუმცა-ლა ნივთები მშრალს ალავს ყოფილა. 4) ლახვარი უტარო, დაჭრელებული ლამაზის ზოლებით, სიგრძით ნახევარი ად-ლია; 5) ხანჯალი, ტარმოტეხილი, სიგტით 7 გოჯია; 6 და 7) ორი სა-ომარი ნაჯახი, სიგრძით ხუთ-ხუთი გოჯი, პიტი სივრცით ორი გოჯი აქვს, ორივე ლამაზი ზოლებით არის დაჭრელებული და მძიმეა; 8) რა-ლაც იარალი, სიგრძე აქვს 6 გოჯი, პირი სიგანით ორნახევარი გოჯი. 9) დანა – 4 გოჯი; 10) უცნობის ფრინველის სახე- ერთი გოჯი; 11,12,13) სამი რგოლი სხვადასხვა ზომისა; ერთი მეშვიდედი ალაგი ღია აქვთ, ერთი დაჟანგებულია; რა სახმარისანი იყვენ ეს ნივთები ჩვენთვის გა-უგებარია. 14) ხელსაკიდი რგოლი – 11 გოჯი. 15-16) ორი ლამაზის სა-ხის ნივით, რომლეთა მნიშვნელობა ვერ გავიგე, ჩემის ფიქრით, კაცის დამამშვენებელი იარალი უნდა იყოს. 17,18,19) სამი რგოლი. 20) კიდეც რგოლი, 21 სადგისი – 5 გოჯის სიგრძისა.

როგორც ზემოთა ვსთქვით, პირველი სამი ნივთი რკინისანი არი-ან, ხოლო დანარჩენი 18 ნივთი თითბირისა. ყველა ეს ნივთები, გარდა რკინეულობისა, შეღებილია ლურჯის საღებავით, რომლის მოშორე-ბა გაუფხეკლად საძნელოა და ისე მშვენივრად შენახულია, რომ გა-გიკვირდებათ. შეიძლება ეს ნივთები არხეოლოგიისათვის გამოსადე-ქი არ იყოს, მაგრამ მაინც საინტერესია ყველასთვის.

## წერილი სვანეთიდან (1)<sup>1</sup>

ვერაფერი ნუგეში მოგვიტანა სვანებს წრევანდელმა წელიწადმა: ჯერ იყო და ავდრიანობამ შეგვანუხა, ნამუშევარი აღარ დაამნიფა რიგიანდ, მერე იყო და თაგვებმა და წვრილმა კალიამ მოსავალი გაგვიოხრა. მე თვითონ, ამ სტრიქონების დამწერი, ვიყავი იმისი მონმე, რომ მოსავლის მოწვევის დროს მკლებელს კალია წინ მიუძღვოდა ჯარივით და შრომას უმსუბუქებდა; თითქმის მოსვალის ნახევარს თვალი აღარაჲ ჰქონდა შერჩენილი. მართალია კალია ჩვენში აქამდისაც ჰბუდობდა, მაგრამ ამგვარი არავის არ ახსოვს. ეს სამი წელიწადი ვაკვირდები ამ მოვლენას, მაგრამ წრევანდელმა დაკვირვებამ და კალიის კვერცხების სიმრავლემ დამარწმუნა, რომ ბოლოს და ბოლოს საქმე სახუმაროდ არ მიდის. ამანაც თქვენი ჭირი წაიღოს. ხშირმა წვიმებმა ხომ არც ნამუშევარი გაგვანელინა, არაც თივა მოგვატანინა შინ; ზოგან კი მოუმკელი ქერ-პური თოვლმა სრულიად დაანვინა და გააფუჭა. ენკენისთვის 10-15-დგან დაგვიდგა თბილი ამინდები, თორემ 20 აგვისტოდან დამოკიდებული 10 ენკენისთვისდამი ნამეტანმა სიცვიემაც შეგვანუხა, თითქმის ბარადაც მოთოვა, მთაში ხომ ლაპარაკი არ უნდა. ერთის სიტყვით, უამისოდაც გაჭირვებული ჩვენი ცხოვრება ქვეითდება.

ეს რამდენიმე წელიწადია ჩვენმა სვანეთმა დიდი შიმშილი გამოცდა, ეხლა არის და სულის მოთქმას რომ მოველოდით, უარესი მოგვივიდა არც ჩვენმა ნამუშევარმა ივარგა არც ჩვენს მეზობელს ლეჩხუმს დაუდგა ამ ბოლო ხანს კარგი წლები. აქამდის სიმინდს ლეჩხუმში გვანვდიდა, ახალ კი, ვგონებ თვითონ ის საჭიროებს ხელის გამართვას. ისევ იძულებული შევიქენით ქუთაისიდან და ქვემოთ იმერეთიდან ვზიდოთ სიმინდი, მაგრამ რა უნდა ექნათ, ან განა რამით დაფასდება ჩვენი ცხოვრება, როდესაც ორი კვირაა ოთხის ფუთის სიმინდის მოსატანად

<sup>1</sup> ი. მარგიანი, წერილი სვანეთიდან, – გაზეთი „ივერია“, №60, 19 მარტი, 1898, გვ., 2-3.

გზაზედ ვათევთ ღამეს ღია ცის ქვეშ და ცოლ-შვილი კი ღვთის ანა-  
ბარას არის დატოვებული?! ან რა უნდა ქნას მხოლოდ ოთხმა ფუთმა  
სიმინდმა იმისთანა მრავალწევრიანს ოჯახში, როგორც არის სვანის  
ოჯახი? ეგეც თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, მაგარი ის არის, რომ იმა-  
საც ვერ ვშოულობთ ხეირიან ფასად ვილაც ჩარჩაბაცაცების მეოხებით.

თუმცა ყველა ეს უბედურება თავზე გვანევს, მაგრამ იმედს მაინც  
არ ვკარგავთ, ვისი იმედი გვაქვს არც ჩვენ ვიცით... მაგრამ როგორ არ  
უნდა ვიქონიოთ იმედი, როდესაც ჩვენს მიყრუებულს, მიტოვებულს  
ქვეყანას ხანდახან საუკეთესო სტუმარნი ეწვევიან ხოლმე, და გვგო-  
ნია, ჩვენც განათლებაში ჩავდგამთ ფეხსაო. პროფესორნი, ნასწავ-  
ლნი, ბობოლა და შესანიშნავნი კაციანი ჩვენსკენ მობიან და იმედი  
გვაქვს, რასმეს გაგვიკეთებენო. ნელსაც გვეწვია რამდენიმე მოგზა-  
ური, მაგრამ ჩვენსავით ვერც მათ შეხდათ კარგი დრო. სხვათა შორის  
ოთხმა ალპინისტმა 5-10 ენკენისთვის გადააბიჯეს სვანეთით ნალჯი-  
კისაკენ, მაგრამ ცუდმა ამინდმა მოუსწრო და უბედურება დატრიალ-  
და. თვითონ მოგზაურებმა რამდენიმე მხლებლებით ძლივს მოასწ-  
რეს მთაზედ გადაბიჯება, მაგრამ დანარჩენებმა, რომელნიც ბარგს  
მისდევდნენ, სვანეთის შეუწყნარებელის ბუნების ძალა გამოსცადეს.  
თოვლი, ქარბუქი, იქამდის გაგრძელებულიყო, რომ ვერც კაცი, ვერც  
ცხენები ადგილიდან ვერ დაძრულან. ბოლოს სასტიკმა ბუნებამ მა-  
ინც თავისი ქნა და რამდენიმე მსხვერპლი შეიწირა. ან განსვენებულ-  
მა პლატონ ჯანელიძემ, რომელიც ლეჩხუმის მაზრის სამართვე-  
ლოში ჰმსახურობდა და მგზავრებს ახლდა, ვერ გაუძლო ამ ძალას,  
სიცივეს გაეყინა და იქვე გაშეშებულიყო. ორს სვანს სიცივისა გამო  
ხელ-ფეხი დასწვოდათ, სამი ცხენი, ჯორი და ორი ვირი იქვე დამკვ-  
დარიყვნენ თოვლზედ... ალპინისტებმა უშველეს თავს, მაგრამ რაღა  
ეშველებოდათ განსვენებულის წვრილ ცოლ-შვილს? მგონია ალპი-  
ნისტების მოგზაურობა იმათ ვერ არჩენს! .. განსვენებულს ბევრი უმ-  
სახურია ამგვარ მოგზაურთათვის თავის სიცოცხლეში, ბოლო დროს  
მაინც იმათ სამსახურში ამ წუთისოფელს მოაკლდა და ცოლ-შვილი  
დააობლ-დააქვირვა. ამიტომ, ჩემის ფიქრით, იმისს ცოლ-შვილს,  
თუ სადმე სამართალია, შემწეობა უნდა მიეცეს ვისგანაც ჯერ არს.  
იმედია, ზემოდხსენებული ალპინისტები, როგორც განათლებულნი,  
წვრილ ცოლ-შვილის ცოდვას არ ანახვინებენ სოფელს და მისცემენ  
როგორმე სახსარს ცხოვრებისას.

მოგახსენეთ, რომ ასე გვგონია, განათლებაში ფეხს ჩავდგამთ, მაგრამ რის ჩადგმა, როდესაც ფეხი არც კი დაგვიძვრია ადგილიდან განათლების მხრივ! საიმედოს ბევრს გვეუბნებიან, მაგრამ ცარიელი იმედი აბა რას გამოგვადგება?..

მოვიხსენიებ ხალხის აზრს ქართულის ენის შესახებ. „ქართული ძლიერ საჭიროა ჩვენთვისაო“, ამბობენ სვანები. ქართული წერა-კითხვის ცოდნა საკმარისია, რომ ჩვენ ის გამოვიყენოთ ჩვენდა სასარგებლოდ. ქართული ზმნის შესწავლა ჩვენს შვილებს ძლიერ ეადვილებათ, დიდებმა კი თითქმის ყველამ ვიცით და წერა-კითხვის ცოდნადაა საჭირო, რომ ჩვენ ლუკმა-პური ვიშოვნოთ, რომელიც ჩვენთვის ვგონებთ, არავის არ შეეხარბება. ჩვენი ხშირი საშოვარი ადგილები არის: ლეჩხუმი, რაჭა, იმერეთი, ქუთაისი, ხშირად ქართლიც, გურია, სამეგრელო, სამურზაყანო და აფხაზეთი, სადაც ჰლაპარაკობენ; ამ ადგილებში ვაჭრობა, ალებ-მიმცემობა უმეტეს ნაწილად სრულდება ქართულის წესრიგით. ჩვენც იმათთან გვაქვს უფრო ხშირად საქმე; ან მიწას ვთხრით, ან თხილს ვიღებთ, ან სიმინდ-ყურძენს ვუნევთ, ან გზებს ვუკეთებთ. ბევრი ჩვენი შვილთაგანი კი მხოლოდ პირველდაწყებითის სწავლას იძენს და საშუალო სასწავლებელში ვერ მიდის სიღარიბის გამო. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან ისევ საკუთარი ხელით და ოფლისღვრით იშოვნონ პური. ამ შემთხვევაში კი რუსული ენის ცოდნასთან ერთად საჭიროა იმათთვის ქართული ენის ცოდნა და წერა-კითხვა. „ამლა ძღუდ წყალობ ირა, ჰე ლურუსუცაზან ნიშგვეი გეზლირს ქართველსი ახთვენენედ!“ (ამიტომ დიდი წყალობა იქნება, თუ კი რუსულ ენასთან ერთად ჩვენს შვილებს ქართულ წერა-კითხვასაც ასწავლით!..)

ამდენ ვაი-ვაგლახთან, შიმშილობასთან ავადმყოფობაც გახშირდა ჩვენში. საკვირველია, მკითხველო, რომ ამგვარ საღს ალაგს, როგორც არის სვანეთი, ავადმყოფობა ხშირი იყოს, მაგრამ ეს ასე არის. ამის მიზეზი ბევრია, სხვათა შორის უექიმობა და უწამლობაცაა. სვანეთს ჰყავს ერთი ექიმი და ერთი დალაქი, მაგრამ რათ გინდათ? ყველა ჩვენში სამსახურს სწუნობს და აბურად აგდებს. ექიმი გვეწვევა ივნისის დამლევში, მოგვინახულებს (მადლობელი ვართ) და აგვისტოს დამლევს წაბრძანდება ალახმა უწყის სად!.. გვრჩება დალაქი ორი მუჭა სახელმწიფო წამლითა, მაგრამ რათ გინდა, როდესაც სანყალი სვანი იმითაც ვერ სარგებლობს რიგიანად! დალაქს წამალს ვერ სთხოვს... ყველას ეშველა და ჩვენ კი არა გვეშველა რა! სულ უიღბლობა და უიღბლობა!..

ჩემის აზრით, ვერავითარი დახმარება იმდენს სარგებლობას ვერ გაუწევს სვანებს, როგორც ავადმყოფებისათვის ქსენონის დაარსება. ამიტომ სასურველია სვანეთში დაარსდეს ქსენონი. რაც შეეხება ხარჯს, ხაზინას იგი ძვირად არ დაუჯდება. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ ექიმი და ორი ფერშალი, რომელნიც სვანეთისად იწოდებიან და ირიცხებიან, მუდამ სვანეთის საბოქაულოში იქმნებიან. სხვა ბევრი ხარჯი არ დაუჯდება რა მთავრობას, როგორც, მაგალითად, სხვა ადგილებში. თუნდაც რომ დაჯდეს, თავშესაფარი მაინც ბევრ სარგებლობას გაუწევს როგორც მთავრობას, ისე ადგილობრივ მკვიდრთაც. ქსენონის დაარსების საჭიროებას სვანეთში შემდეგი მოსაზრებაც ამართლებს: ჩვენში კაცის კვლა, დაჩეხა, დამახინჯება ზამთრობით უფრო ხშირია. ამისთანა შემთხვევაში საჭიროა მკურნალის მხრივ შემონმება მიცვალებულის გვამის, მაგრამ რადგან ზამთარში ჩვენ არც ექიმი გვყავს და არც მომრიგებელ-მოსამართლე, ამიტომ გვამის შემონმება ხდება ხშირად 9-10 თვის შემდეგ (ბევრჯერ 2-3 წლის შემდეგ), როდესაც მთელი სხეული გახრწნილია და მხოლოდ ძვლები-ლა რჩება. ამისთანა შემთხვევაში, რასაკვირველია, სინამდვილით ჭრილობის შემონმება შეუძლებელია და სამართლიანს დასკვნას ძვირად თუ დაადგება ექიმი. გარდა ამისა, კიდევ ერთი გარემოება აჭეშმარიტებს ჩვენში მიცვალებულის გვამს უდროოდ 9-10 თვის შემდეგ შემონმების უვარგისობას და ნაკლოვანებას. სვანების ფიქრით, მიცვალებულის ხელმეორედ ამოღება და დამარხვა ორნაირი სიკვდილია. ასეთის აზრით უცქერიან სვანები მიცვალებულის საფლავიდან ამოღებას და ამიტომაც ხშირად მომხდარა, რომ ადგილობრივ მკვიდრთ ძალადობა გაუწევიათ ხოლმე მიცვალებულის გვამის ამოღების დროს და არ მიუშვიათ გვამის შესამონმებლად. ამ უხერხულობის და წინააღმდეგობის მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ექიმი მუდამ ადგილზე იქნება და დროზე შეამონმებს გვამსა. და თუ მთავრობა გაგავაბედნიერებს სვანებს ქსენონის დაარსებით, იმ შემთხვევაშიც ექიმი ვალდებული იქნება მუდამ სვანეთის საბოქაულოში იცხოვროს და ქსენონს ვერ მოშორდება. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ახალი მაზრის უფროსი ბ-ნი. ყიფიანი უნარს გამოიჩინოს ამ საქმეში და ქსენონის დაარსების ღირსად გაგვხდის.

## ორიოდე სიტყვა სვანეთში უკანონოდ შეთვისებულია შესახებ<sup>1</sup>

(ამ საგნისათვის დაარსებულ კომისიის საყურადღებოდ)

ერთმა მაღალი თანამდებობის მქონე რუსმა, როდესაც სვანეთის შესახებ შემეკითხა და ნასიამოვნები დარჩა ჩემის პასუხით, აი რა სთქვა: „ეგ ყველაფერი კარგი, აქედგანვე მაქვს წარმოდგენილი, რომ სვანეთის ბუნება საუცხოვო სანახავია, მაგრამ ერთი ნაკლი-კი დიდი სჭირს სვანეთს; ეგ იმგვარი მოვლენაა, რომელიც სვანეთს ზნეობრივ ამცირებს; ეს არის უკანონოდ შეთვისება და მრავალ-ცოლობა“. მე ამ სიტყვებმა მთელს ტანში ჟრუანტელივით დამიარა. მოვისურვე ამეხსნა მესაუბრესათვის წინააღმდეგი და დამერწმუნებინა, რომ ის შეცდომაში შეუყვანიათ, მაგრამ რადგან ვიცოდი, რომ მესაუბრეს ვერ დავაჯერებდი, დავანებე თავი, ავდექი, ჩამოვართვი ხელი და თან მოვახსენე: ნახვამდის, ჩემო ბატონო, მაგრამ ვეცდები მალე შეგატყობინოთ ჩემი აზრი ამ საქმის შესახებ და იმედიც მაქვს, რომ ამ საგანს თქვენ სხვანაირად შეხედავთ, თუმცაღა უარს ვერ ვიტყვი, მართლაც სვანეთში უკანონოდ შეთვისებულია რიცხვი ბლომად არის-მეთქი, ხოლო რაც შეეხება მრავალ-ცოლობას, ეგ სიმართლეს არის-მეთქი მოკლებული. ჯერ ეს შემთხვევა და მეორედ ისა, რომ სვანეთში ამ საგნის შესახებ დაარსდა კომისია, მაიძულებს, ორიოდე სიტყვა ვთქვა სვანეთში უკანონოდ შეთვისებულია შესახებ.

წინად სვანეთში სენსავით იყო მოდებული ეს საზარელი ჩვეულება, რომელიც ამ ბოლო ხანს ძლიერ შემცირდა და ეხლა-კი სრულიად მოისპო: ახლად დაბადებულ მდედრობითი სქესის ბავშვებს (და არა ყველას, როგორც ზოგნი ჰფიქრობდნენ) ჰხოცავდნენ. საქართველოში ამის შესახებ ბევრი ხმა დადიოდა (ჟურნალ-გაზეთებშიც ბანს აძლევ-

<sup>1</sup> მღვდ. ი. მარგიანი, ორიოდე სიტყვა სვანეთში უკანონოდ შეთვისებულია შესახებ – გაზეთი „ივერია“, №95, 3 მაისი, 1900.

დნენ) და ჰფიქრობდნენ, რომ სვანები ბავშვებს ცხელ ნაცარს აყრი-  
 ან პირშიო, მაგრამ ეს ცილის წამებაა. სვანეთში ბავშვებს (მდედრო-  
 ბითის სქესისას) ჰხოცავდნენ, მაგრამ ნაცრით კი არა, არამედ ძუძუს  
 არ აწოვებდნენ და ბავშვებიც იხოცებოდნენ. ამ ჩვეულების მიზეზად  
 ზოგი სიღარიბეს ასახელებდა, ზოგი რას და ზოგი რას. მაგრამ არც  
 ერთი იყო მიზეზი. უტყუარი მიზეზი ის არის, რომ ყოველი გაუნათლე-  
 ბელი ხალხი მამრობითს სქესს აძლევს უპირატესობას მდედრობითის  
 წინაშე; სვანებიც ამ აზრისანი იყვნენ და ჰფიქრობდნენ, რომ პირშიო  
 ქალის მოკვლით მათ შეეძინებოდათ ვაჟი. ეს არა სანატრელი ჩვეუ-  
 ლება კეთილ-შობილებშიც იყო გავრცელებული ისე, როგორადაც და-  
 ბალწოდების ხალხში. ქვის გული უნდა ჰქონოდა იმ დედას, რომელიც  
 შვილს სასიკვდილოდ იმეტებდა; ის სწუხდა, დედობრივი სიყვარუ-  
 ლი არა ჰქონდა გამქრალი, მაგრამ ნათქვამია – „დრონი მეფობენო“,  
 და დრომაც მათ შორის ცვლილება მოახდინა. ამ ჩვეულებას მოჰყვა  
 მდედრობითის სქესის შემცირება, რომელიც პირველად უფრო თვალ-  
 საჩინო იყო, ვიდრე ამ ბოლო ხანებში. ავილოთ მაგალითად 1886 წელი.

საზოგადოების სახელები	რიცხვი სულთა			შეუღლებულნი	მდედრ. სქესი			მამრობ. სქესი			60 წელს გადაცილებულნი	80 წელს გადაცილებულნი
	ორისავე სქესისა	მამრობითის სქესისა	მდედრობითის სქესისა		ქვრივნი	მცირე წლოანნი	ქალწულნი	ბავშვები	უცოლონი			
უჟგული	526	284	242	117	28	69	28	101	50	8	16	
კალა	425	236	189	83	14	79	13	96	48	9	9	
იფარი	1027	568	459	223	30	157	44	245	83	15	17	
მულახი	1303	702	601	259	60	185	97	307	98	23	38	
მესტია	860	467	493	157	20	161	55	228	61	34	21	
ლენჯერი	669	351	318	151	21	122	24	136	43	17	21	
ლატალი	994	504	490	201	35	189	65	220	63	12	20	
ბეჩო	704	341	383	123	29	135	46	163	65	14	20	
ეცერი	1365	750	415	269	66	222	58	334	118	22	29	
ფარი	664	350	314	113	28	133	40	154	57	5	26	
ჩუბეხევი	996	516	480	182	38	189	71	294	92	14	18	
სრულიად საბოქაულოში	9533	5099	4334	1878	369	1641	546	2208	778	173	235	

მაშასადამე, 1886 წელს მამრობითი სქესი სჭარბობდა დედრობითისას 665 სულით. წინა წლებში რა იქნებოდა, ადვილად წარმოსადგენია. სჩანს, ყველა ვაჟკაცს რომ ცოლის მოყვანა მოესურვებინა, სვანეთში ვეღარ იშოვნიდა საცოლეს და სხვა ქვეყნებიდან უნდა მოეყვანა, ან ქვრივებისათვის მოეკიდნა ხელი. მაგრამ მოგეხსენებათ, სვანი სხვა ქვეყნიდან ქალს ძვირად თუ მოიყვანს და ქვრივების უმეტესი ნაწილი ხელმეორედ გათხოვებას ძვირად ნდომულობს. მაშ ნუ თუ უცოლოდ უნდა დარჩენილიყო ამდენი კაცი? მართლაც, ბევრი მათგანი ძალაუნებურად რჩებოდა უცოლოდ, რომლის სინამდვილესაც გვარწმუნებს ზემო ხსენებული ნუსხა. აი აქედგან იწყება სათავე იმ მოვლენისა, რომელიც ჩვენის საუბრის საგანს შეადგენს, სათავე, რომელსაც გზაზედ კიდევ ბევრი შტოები ემატებოდა და ძლიერდებოდა. მაშ სად უნდა ეძებნა საცოლე სვანს? არსად სხვაგან, ისევ თავისის მეზობლისათვის უნდა მიემართა და ძალით თუ ნებით მოეტაცა მისი კანონიერი ცოლი და თუ რაიმე ცუდი ახსოვდა მისის მეზობლისაგან ძველადვე (აქ, რასაკვირველია, სისხლის აღების სიძლიერე ჰმუშაობდა), იმ შემთხვევაში ხომ წარბსაც არ შეიხრიდა და განზრახვას იმ ნამსვე სისრულეში მოიყვანდა, თუნდაც მთელი სიცოცხლე გადაეგდო ზედ. ორი მიზეზი – ერთი ცოლის შოვნის სურვილი, მეორე ძველი საქმის გახსენება და სამაგიეროს გადახდა – ერთად შეერთებული ცეცხლის ალსავით აენთებოდა სვანს გულში და შეუძლებელს აბედვინებდა, არამც თუ შესაძლებელს.

ამა არა-სასურველს ჩვეულებას-ქალების მოტაცება-მითვისებასთან ერთი გარემოებაც უმართავდა ხელს და ძირს უმაგრებდა. წინად სვანებს ჩვეულებად ჰქონდათ აკვანში ბავშვების დანიშვნა.<sup>1</sup> ახლად დაბადებულს ქალზედ დანიშნავდნენ ახლადვე დაბადებულ ვაჟს, ან უკვე მოზრდილს, დიდის ამბითა და ხარჯის განევით. ამ შემთხვევაში საქმე შეძლებისაგან იყო დამოკიდებული. (ჩვენ ეჭვს გარეშე მიგვაჩინია, რომ ეს ჩვეულება ცოტად თუ ბევრად, ხელს უშლიდა მდედრობითი სქესის ხოცვა-გადაშენებას).

ამ გვარად, ყველა მდედრი დაბადებისთანავე ინიშნებოდა, მაგრამ მათი რიცხვი მამრობითს სქესს ვერ უდრიდა და ამის გამო ბევრი მამაკაცთაგანი დაუნიშნავი რჩებოდა. ბევრს კიდევ რომ სდომოდა, შეძლება ნებას არ აძლევდა გასძლოლოდა ხარჯს. დანიშნულები

---

<sup>1</sup> ეს ჩვეულება თუმცა-ღა ამ ბოლო ხანს ძლიერ შემცირდა, მაგრამ ზოგან კიდევ მისდევნ.

წამოიზრდებოდნენ თუ არა, ამოიდგამდნენ ენას თუ არა, იმთავითვე სცნობდნენ ერთმანეთს, როგორც დანიშნულები და მომავალნი ცოლ-ქმარნი. მაგრამ, მოგეხსენებათ, ადამიანი რაც იზრდება, თან და თან სხვა აზრებს იძენს, სხვა შეხედულობას ითვისებს ამა თუ იმ საგნის შესახებ. ჩვენი დანიშნულებიც არ იყვნენ ჩამოშორებულნი ამ კანონს; მათში ან ერთს აუცრუვდებოდა გული მეორეზედ და სხვა შეუყვარდებოდა, ან მეორეს. ზოგი მათთაგანი-კი ულაზათო, უშნო, ხანდახან მთლად უვარგისი გამოდგებოდა ხოლმე და, რასაკვირველია, მისი დანიშნული, რომელიც იმაზედ უკეთესი იყო, დაიწუნებდა და სხვას დაუწყებდა ძებნას. მაგრამ დანიშნულისათვის რა უნდა ექმნა, ან მშობლებისათვის რა ეთქვა? ის ჰხედავდა, რომ ასე ადვილი არ იყო დანიშნულის მიტოვება. მაშინ უნდა აღედგინა მას ყოველი ნახარჯი ერთი ხუთად თავისის სარგებელით და ეს ხომ ძნელი საქმე იყო.

გარდა ამისა დატოვებულის ნათესაობა ხომ საუკუნოდ მისი მოსისხლე მტერი შეიქნებოდა; ანუ როგორ უნდა მიეყენებინა უსიამოვნება თავის მშობლებისათვის, როგორ უნდა ჰყოლოდა ისინი მუდამ შიშს ქვეშ? შვილო შეირთე; ეგები შეგიყვარდეს და აღარ გძულდეს ასე, და თუ მაინცა და მაინც არც მაშინ შეგიყვარდება, მერე სხვა ღონეს ვიხმართ: არც ქალი დაიღვეა და არც ვაჟი! თორემ ხომ იცი, შვილო, ისინი დიდი თემია, როდის მომკლავენ არ ვიცით და რათა შვრები ამას? სხვა არა იყოს-რა, მარტო „ასაბია“ რათა ღირს! – ეუბნებოდნენ მშობლები თავიანთ შვილებს. ამ სიტყვებით დარბილებული შვილი (ვაჟი იქმნებოდა თუ ქალი) ძალა უნებურად სთანხმდებოდა ჯვრის წერაზედ. მაგრამ ჯვარის წერა ხომ სიყვარულს ძალათ ვერ ჩაუწერავდა ვისმეს.

სიყვარული თან-და-თან ძლიერდებოდა, თორემ არა ნელდებოდა. თუ ქმარსა სძულდა ცოლი, იმდენს ეცდებოდა, რომ აიძულებდა დაეტოვებინა ოჯახი და მშობლებთან წასულიყო, თითონ-კი სხვას აირჩევდა (თუნდაც ქმრიანს) და ან ნებით, ან ძალით მოიყვანდა. გაგდებული ცოლიც არა რჩებოდა ხელ-ცარიელი პირველსავე შემთხვევაში მზად იყო გაჰყოლოდა სხვას და ასეც სჩადიოდა. ცოლს თუ სძულდა ქმარი, იმდენად შეაწუხებდა, რომ მის იქ ყოფნას უმყოფობას არჩევდა; ქალიც პირველსავე შემთხვევაში მზად იყო დაეტოვებინა ქმარი და სხვას გაჰყოლოდა. არც დატოვებული ქმარი რჩებოდა ცალიერი და იმასაც მოჰყავდა სხვა ქალი. ცოლ-ქმართა შორის სიძულვილს უფრო უცოლონი აძლიერებდნენ. ისინი სარგებლობდნენ ამ გარემოებით და თუ ეხლა არ იშოვიდნენ საცოლეს, შემდეგში ხომ სულ უცოლოდ

დარჩებოდნენ, ან საიდგან მოიყვანდნენ, როცა აღარ იყო დაუნიშნავი და გაუთხოვარი. აქ არ მოვიხსენიებთ არც იმ ხარჯს, რომელიც მოსდევდა ამ მოვლენას, არც იმ უბედურებას, რომელიც ამისი შედეგი იყო; მხოლოდ ვიტყვით, რომ ამ ჩვეულებამ ძირიან-ფესვიანად მოიკიდა ფეხი სვანეთში და თითქმის კანონად გარდაიქცა. ხომ მოგეხსენებათ, „ჩვეულება სჯულთ უმტკიცესია“ და სვანებსაც ასე მოუვიდათ. ეს მოტაცება, დატოვება, თავ ნებლობა, ფარფაში ისე გახშირდა, ისე გაუფდა ძვალრბილში ყველას, რომ უამისოდ თითქმის არც-კი ეხერხებოდათ ცხოვრება. დრომ მოიტანა და ასეც უნდა ყოფილიყო, ასე უნდა მომხდარიყო და ვერც შეაჩერებდა მას ვენრავითარი ძალა, ვიდრე თავისს გზას არ გაივლიდა. ამიტომაც იყო, რომ იმ დროს მთავრობის მიერ მიღებულმა ღონისძიებამ თითქმის უქმად ჩაიარა.

უზნეობას ჩვენ ვერ ჩავთვლით ამის მიზეზათ. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ სვანეთში, როგორადაც სხვა მთელ ხალხში, ზნეობა არ იყო დაცემული და თუ ეხლა რამოდენადმე დაეცა, ეს იმითი აიხსნება, რომ სვანეთში შევიდნენ ვაჭრები და სხვანი გაქალაქებულნი და თან თავიანთი სენიც შეიტანეს.

დიახ, უკანონოდ შეთვისებულნი თანდათან გამრავლდნენ სვანეთში და შეეძინათ უკანონო შვილები, რომელთა რიცხვი აქ დიდია. აი ამ ჩვეულების მოსასპობად და გამოსარკვევად შესდგა კომისია, რომელიც შეუდგება მუშაობას ამ გაზაფხულზედ. კომისია ვალდებულია ღრმად ჩაუკვირდეს ამ გარემოებას, ასწონ-დასწონოს იგი და შემდეგ დაადგეს ამა თუ იმ დასკვნას, მიჰყოს ხელი ამა თუ იმ საშუალებას. ჩვენ თვალ-წინ არის ხალხში ღრმად გამჯდარი ჩვეულება, რომლის მოსპობა ერთბაშად შეუძლებელია და საშიშიც. ვერავითარ სამსახურს ვერ გაუნევს ამ საქმეს ის საშუალება, რომელსაც ზოგიერთნი ასახელებენ. ზოგი ამბობს, რომ უნდა ჩამოერთვათ ყველას უკანონოდ შეთვისებულნი და კანონიერნი ერთმანეთს დაუბრუნდნენო; ზოგი იმ აზრისაა, რომ ამ მოკლე დროში, ვინც უკანონოდ შეთვისებულან გავაშოროთ ერთმანეთსაო. ვერც ერთი და ვერც მეორე საშუალება ვერ გაგვინევს ნამდვილს სამსახურს. მართლაც, როგორ განვაშოროთ დედა თავისს შვილებს?! ხორციელად თუ განვაშორებთ, სულიერად ხომ მაინც ვერ შევსძლებთ მათ განშორებას და აქ ხომ დიდს ცოდვას ავიკიდებთ. სხვა არა იყოს-რა, მშობლების ბრალს შვილებს რად ვადებთ? რისათვის უნდა დაფუკარგოთ დედა? მამ რაღა საშუალებას მივმართოთ, რომ ამ სენს ბოლო მოეღოსო? იტყვიან. ჯერ უმთავრესი მიზეზი უნდა ავიცილოთ თავიდგან და მერე ამ ჩვეუ-

ლებასაც მოელება ბოლო. ამ მიზეზების აცილება იქნება თვით ჩვეულების მოსპობა, მხოლოდ არა ერთბაშად, არამედ თანდათან. მეორე, ამ გარემოებას ჩვენ ფიცხის თვალთ არ უნდა შევხედოთ, ესე იგი, მე მინდა ვთქვა: მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს ჩვეულება არა-ნორმალურ მოვლენად ჩაითვლება, უნდა შევუვრიგდეთ და მკაცრი სასჯელი არ დავადოთ.

ჩვენის ფიქრით, ამ ჩვეულების მოსასპობად უნდა ავიცილოთ თავიდან შემდეგი მიზეზები:

1. ფიცხელი ყურადღებამიექცეს, რომ ამიერიდან აკვანში არ ინიშნებოდნენ ბავშვები და არც იმ დრომდე, რომელიც დანიშნულია ასაკის დროდ. უნდა დაინიშნენ ხოლმე ჯვარის წერის წინად, ქალ-ვაჟის ნებაყოფლობით.

2. შენიშნულია, რომ ქალსა და კაცს ძალას აყენებენ. ბევრის მითქმა-მოთქმის შემდეგ ვითომ აგონიერებენ და ისე სწერენ ჯვარს. ამ გვარს შემთხვევაში მღვდელი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს და ჯვარი არ დასწეროს. თან იმას უნდა ეცადოს, ორივე მხარეს შუა კმაყოფილება ჩამოაგდოს, ჯვარის წერის დაშლის გარდა.

3. დაევალოთ მღვდლებს აუხსნან მრევლს ჯვარის წერის საიდუმლო მნიშვნელობა საზოგადოდ და ცოლქმრობისა კერძოდ. ამას, რასაკვირველია, მხოლოდ იმისთანა მღვდლები შესძლებენ, რომელთაც სვანური იციან, უფრო ბუნებით სვანნი.

4. ცვედნების რიცხვი, როგორც ჩივიან ქალები და ხანდახან თვით კაცებიც ამბობენ, სვანეთში ძლიერ ბევრია. თითქმის უმეტესი ნაწილი იმ ცოლთა, რომელთაც კანონიერი ქმარი მიუტოვებიათ და სხვასთან შეთვისებულან უკანონოდ, მიზეზად ქმრის ცვედნობას ასახელებენ. (კაცები, რომლებიც ცვედნობის უარს ვერ აცხადებენ, ბრალს ცოლებსა სდებენ და ამბობენ: „ცოლმა მოგვნამლაო“). ამის გამო სასურველია მკურნალების შემწეობით გამოირკვას, თუ რამდენად მართალი იქნება ასეთი ბრალდება.

5. ამიერიდან სასტიკად აღეკრძალოთ მოტაცება და ამის ჩამდენი ადმინისტრაციულის წესით გადასახლებულ იქმნას ვადით სხვა ქვეყანაში.

6. უკანონოდ შეთვისებულთა შორის ურევთან იმისთანანი, რომელთა განშორებაც აუცილებლად საჭიროა.

ამით ვათავებთ ჩვენს წერილს და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი სიტყვები თუ ბევრად ვერავის ვერაფრად გამოადგება, სხვებს მაინც გამოიწვევს საბაასოდ და იმათი ორიოდე სიტყვა საქმეს დაეხმარება.

## ბუნებით სვანი ილუმენი მ. თეოფანე<sup>1</sup>

სოფელ ივარში (ზემო სვანეთშია) რომ შეხვალთ, ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ ფერდობზედ დაინახავთ, თითქო არწივის ბუდეა მიკოსებულიო, ახალს სავანეს „ფეხს“. აქ მიგიყვანთ თქვენ საცალფეხო გზა, რომლით სიარული ხანდისხან საძნელოც არის შვავისა გამო (მთა სწყდება). თქვენ შორიდგანვე დაინახავთ მაღალ გუმბათიანს ეკკლესიას, თეთრად შეღებილს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ არის დამთავრებული. თუმცა ის ახალს არქიტექტურულს გემოზედ არ არის აშენებული, მაგრამ მისს ამშენებელ არქიტექტორისაგან ისიც გაგიკვირდებათ და დიდათ მიიჩნევთ. ამ უმთავრესს ეკკლესიას აქვს მოდგმული პატარა ეკკლესია, რომელიც მორწმუნე და ღვთისნიერ კაცზედ დიდს შთაბეჭდილებას ახდენს თავისი სინმიწილით, უბრალო მონყობილობით და სიღარიბით. ამ ეკკლესიას მოდგმული აქვს რამოდენიმე სენაკი ზოგი პანია, ზოგიც ზომიერი. აქაც ის სიღარიბე, მაგრამ სისუფთავე და უბრალო მონყობილობა!.. აქვე ნახავთ აბანოს, სხვა-და-სხვა გვარს ხეხილებს, შვენიერად მოვლილს ბოსტანს და სხვას. შესვლისთანავე თქვენ გაიგონებთ ზეცის მუშის საღირს, პატიოსან მუშაკ-ფუტკრის ზუზუნს... ის, თითქო უხარიან თქვენი მოსვლაო, გარს გვევლებათ, ხან წინ მოგივლისთ, ხან უკან, გეაღერებთ და თან თითქო თქვენი ცნობაცა ჰსურს: წმინდა გულით მოდიხარ სავანეში, თუ არაო? ცოტას გაივლით ამ მუშაკების სადგომს-ბინას, დაინახავთ-რგვალ ხის ბუკებს. ზოგს-კი ბინა შენობის კედლებში აქვსთ გამოკეთებული... აქვე ახლოს მოჩანჩქარებს ანკარა წყარო. აქა-იქ გაჭიმულან სათიბები და ყანები, სადაც ითესება პური, ქერი, შვრია, ფეტვი, ცერცვი, ოსპი და სხვ. ამას გარშემო შემორტყმია ტყემუნარი. ყველგან ბუნების სიღამაზე, სიმშვენიერე და დიდება!..

---

<sup>1</sup> მღვ. ი. მარგიანი, ბუნებით სვანი ილუმენი მ. თეოფანე – ჟურნალი „მწყემსი“, №12, 30 ივნისი, 1900.

ეხლა შევიდეთ ერთს საშუალო ოთახში – რას დავინახავთ? ერთს კუთხეში ხის ფიცრებზედ ლოგინია გაკეთებული; ლოგინს აღმოსავლეთით უდგია ოთხკუთხიანი მაგიდა. იქვეა ორიოდე უბრალო სკამი. მაგიდაზედ აწყვია საეკკლესიო წიგნები, რამოდენიმე წიგნაკები წმინდანების ცხოვრებიდგან, რამოდენიმე ნ-რი ჟურნალ „მწყემსისა“-სა, მიბაძვა ქრისტესი, ხელთნანერები და სხვა. ჩრდილოეთით კედელს ბუხარი აქვს; ბუხარს აღმოსავლეთით უდგია პატარა კიდობანი – ფქვილის ჭურჭელი და ზედ გობი. აგერ ბუხარზედ მიყუდებულია კეცები (პურის გამოსაცხოზად), მის ახლო აგდია ხის მამა. ლოგინის ჩრდილოეთ მხარეს გაკეთებულია პანია შკაფი და შიგ აწყვია სხვადასხვა ჭურჭელი. იქვე ჰკიდია ხის კანის „ბოყვით“ ლობიო, მის გვერდით მარილი და სხვა საკმაზავი მასალები. ფანჯრითგან შემოყვანილია სიმა და კედელზედაა მიბმული ზარის დასარეკად, რომელიც გარედ აივანზედა ჰკიდია. აგერ ლოგინის ერთს ნაპირას აწყვია დართული მატყლის ძაფები, იქვე საქსოვი სავარცხალი და ყოველგვარი მოწყობილება, რაც-კი რამ საჭიროა ქსოვისათვის და რაც სვანეთში ხმარებაშია.

მკითხველს ეჭვი შეეპარება და იფიქრებს, ალბათ ეს ოთახი დედაკაცის ბინაა, თორემ საქსოვ იარაღებს აქ რა უნდაო? არა... ლოგინზედ თქვენ დაინახავთ მწოლარეს თმა-ჭალარას და ლმობიერი სახის ადამიანს. ის ეს ორი წელია სენმა შეიპყრო და ფეხები დაუკავა-დაუხუთა. მიუხედავად ამისა მას წინანდელი ენერგია-მოძრაობა არ დაუკარგავს... არცა ჰყავს მომვლელი, არცა პატრონი! თვითონ აცხოზს, იკეთებს საჭმელს, თვითონ რთავს, ქსოვს, თვითონ რეცხავს ჭურჭელს და სხვა. ლოგინთან უდგია მისგანვე გაკეთებული ბორბლებიანი სკამი, რომლის შემწეობითაც მიდი-მოდის ოთახში და ოთახითგან ოთახში (უიმისოდ ვერ დადის). ვინ არის ეს ბუნებისაგან დასჯილი? იკითხავს პატივცემული მკითხველი? ეს არის ბუნებითი სვანი, იღუმენი მამა თეოფანე, რომელსაც შეიძლება იცნობდეთ.

აი ამ გამრჯელის, დაუძინებელ მუშა ბერის ხელს ეკუთვნის ყველა ის, რაც ზემოდ ავსწერეთ. ბევრი იშრომა ამ პატივცემულმა სულიერმა მამამ, ააგო სავანე, რომელსაც მისაკუთრა მისგან შეძენილი აუარებელი ადგილები, ბევრ ლატაკსა და დავრდომილებს აძლევდა ლუკმას, სცემდა ნუგემს და ეხლა როდესაც მას მოძრაობა აღარ შეუძლია, ვიმეორებ, ახლაც არ უძლებს გული, რომ სანყალს არ შეენიოს!.. რთავს, ქსოვს და იმითი ჰმოსავს გაჭირვებულებს! აი სად არის

ნამდვილი სიყვარული! აი სად სუფევს ქრისტეს მადლი! აი ჩვენი  
მაცხოვრის მიმდევარი!...

– „დიდ არს ღმერთი, შვილო, – მეუბნებოდა ის საუბრის დროს ღი-  
მილით; მე დამსაჯა ღმერთმა ამ სოფლად და მომეგო რიგისამებრ!..  
მე დავისაჯე, რათა ვადიდო ღმერთი მიუწვდომელი! დიდება მისსა  
სახიერებასა!“... ის ამ სიტყვებით არც სამდურავს აცხადებს ღმერ-  
თზედ და არც სასონარკვეთილებაში შედის, არამედ მადლობასა სწი-  
რავს ღმერთს და იმედოვნებს რალაცაზედ...

## წერილი სვანეთიდან (2)<sup>1</sup>

სვანეთის ორივე ნაწილს (სადადიანოსა და თავისუფალის) მდებარეობა, როგორც იცით, ერთნაირი არ არის: თავისუფალს სვანეთს უჭირავს უმაღლესი ადგილი, ვიდრე სადადიანოს და კავკასიონის უმთავრესი ქედის ძირშია მიკუნჭული. სადადიანო სვანეთის სოფლები დაფენილია მდინარე ცხენისწყლის ნაპირებზე და შედარებით უფრო მდაბალი ადგილი უჭირავს. ამიტომაც ჰავა პირველში უფრო მკაცურია, ვინემ მეორეში. ენკენისთვე-მნიფობისთვეში გზა თავისუფალ სვანეთისაკენ იკვრის და მთელი 8-9 თვე მისვლა-მოსვლა შეჩერებულია. მართალია, ზამთარში ხანდახან ფეხითაც შეიძლება მოგზაურობა, მაგრამ იმდენად საშიში და საძნელოა, რომ ადამიანს ყველაფერს დაავიწყებს... აქ თქვენ ყველაფრის უნდა გეშინოდეთ: შვავისაც, ქარბუქისაც, და სხვისაც. ესენი კი სადადიანო სვანეთში მაინცა და მაინც არც ერთი არ განუხებთ იმდენად რამდენადაც პირველში.

გზა სადადიანო სვანეთიდან ლეჩხუმამდე ძვირად იკვრის და თუ შეიკრა, ისიც რამდენიმე დღით შვავების გამო. მართალია არც აქაური გზებია უშიშარი და ზარდაუცემი, მაგრამ უზარმაზარი, მუდამ თოვლიანი მთები მაინც არ არის გადასასვლელი. ერთი სიტყვით გეოგრაფიული მდებარეობის ძალით სადადიანო სვანეთს უპირატესობა უნდა ჰქონდეს ყოველ მხრით თავისუფალს სვანეთზე და წინ უნდა იდგეს მასზედ, მაგრამ ეს ასე არ არის. თავისუფალი სვანეთი ბევრად წინ სდგას მეორეზე. ჩვენ ვამბობთ სწავლა-განათლების შესახებ, რომელიც სადადიანო სვანეთს ჯერ არც კი მოსწრებია. როგორც განათლების, ისე მოქალაქეობის მხრითაც თავისუფალმა სვანეთმა წარსდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი, სადადიანო სვანეთი კი ისევ სიბნელით მოცულს მორევში სცურავს და არავითარი წინსვლა მას არ ეტყობა...

---

<sup>1</sup> ბლ. მღვდ. ი. მარვიანი. წერილი სვანეთიდან. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, ზ 1831, 8 ივნისი, 1902.

თავისუფალმა სვანეთმა რომ გაასწრო სადადიანო სვანეთს სწავლა-განათლების მხრით, ამას გვიმტკიცებს ჯერ სკოლების რიცხვი და მერმე თვითონ ნასწავლთა რაოდენობა. თავისუფალს სვანეთში, სადაც 14 მრევლია, სულ 13 სკოლაა: 7 საეკლესიო (ქრისტიანობის აღმდგენელის საზოგადოებისა) და 6 სამინისტრო. სადადიანო სვანეთში კი, რომელიც 11 მრევლისაგან შედგება, ორი საეკლესიო სკოლაა და ორიც სამინისტრო. თავისუფალი სვანეთის საეკლესიო სკოლებში სწავლობს 319 ბავშვი და სამინისტროში 100-მდე, ესე იგი სულ თავისუფალი სვანეთის სკოლებში 419 ბავშვი სწავლობს. სადადიანო სვანეთის ორს საეკლესიო სკოლაში სწავლობს 54 ბავშვი, ორ სამინისტრო სკოლაში კი – 28 ბავშვი, სულ 82 სული; ასე რომ თავისუფალი სვანეთის სკოლებში წერა კითხვასა სწავლობს 337 ბავშვით მეტი, ვიდრე სადადიანო სვანეთში. ეხლა ვიკითხოთ, რამდენს სულს მიუღია საშუალო თუ სხვა განათლება? თავისუფალს სვანეთში მცხოვრებთაგანს სწავლა-განათლება მიუღია ჯერ-ჯერობით 30-35 სულს (არ იფიქროს მკითხველმა, რომ ჩვენ ამით ვამაყობდეთ; კნინი ციფრებია, მაგრამ იგი ჩვენ მხოლოდ შესადარებლად მოგვყავს), რომლებიც თითქმის ყველა სამსახურშია და სწავლობს ეხლახან ქალაქების სხვადასხვა სასწავლებლებში 20-25 კაცი, რომელთაგანაც ერთი უნივერსიტეტს ათავეებს (ივ. ნიჭარაძე ს. უშგულიდან). სადადიანო სვანეთში კი სწავლამიღებულნი უფრო მცირეა; სულ რომ გავადიდოთ, ხუთს არ აღემატება; სხვაგან სწავლობს 3-5 ბავშვი. ეხლა გავიგოთ, თუ რამდენი ჟურნალ-გაზეთი მიუღის თავისუფალს სვანეთს და რამდენი მეორეს? თავისუფალ სვანეთში მიდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: 2 „ივერია“, 3 „ცნობის ფურცელი“, 2 „კვალი“, 3 „ნოვოე ობოზრენიე“, 2 „კავკაზი“, 1 „სპ. ვედომოსტი“, 4 „ნივა“, 4 „მწყემსი“. სადადიანო სვანეთს მიუღის ერთადერთი ეგზემპლარი „ცნობის ფურცელი“.

მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა (სადადიანო სვანეთის დაქვეითებისა) ბევრია და მათი ჩამოთვლა ამ წერილის მიზანს არ შეადგენს. მხოლოდ ვიტყვით, თუ სამღვდელოება რამდენად იღებდა მონაწილეობას სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში. ჯერ არ იქნება ურიგო გავაცნოთ მკითხველს სვანეთის სამღვდელოების ვინაობა.

თავისუფალს სვანეთში 15 მღვდელში ექვსს საშუალო განათლება აქვს მიღებული, ხოლო დანარჩენებს შინაური. ამათში 8 სვანთაგანია. სადადიანო სვანეთის 11 მღვდელში მხოლოდ ორს აქვს მიღებული

საშუალო განათლება, დანარჩენებს კი შინაური. თავისუფალი სვანეთის სამღვდლოებას არ მოუტანია თქო ნაყოფი, – ამას ვერ ვიტყვით, რადგან იგი შეძლებისდაგვარად წინ უძღოდა ხალხს სინდისიერად... რაც შეეხება სადადიანო სვანეთის სამღვდლოებას, ამათში თითქმის არცერთს არა უზრუნვია რა სწავლა-განათლებისა და ხასიათის გასწორების საქმეში. არ უზრუნვია იმიტომ, რომ არც შეეძლოთ, რადგან ვერ იყვნენ მომზადებულნი ამისათვის (ჩვენ ვამბობთ უმეტესობაზე).

თუ ადგილობრივი სამღვდლოება ვერ უძღოდა წინ ხალხს, არც თავად-აზნაურობას უფიქრია რამ თავისი შვილების განათლებაზე. თითქოს არაფერიო, არც მთავრობას მიუქცევია ყურადღება ამ მოვლენისათვის და სადადიანო სვანეთს თანდათან უტოპებია უვიცობის მორევში...

ზემოთ გზების შესახებაც ვსთქვით ორიოდე სიტყვა. გზები ხშირი წვიმებისა და შვავებისა გამო აქეთკენ ძლიერ დაზიანდნენ, ასე, რომ მათზედ მოგზაურობისაგან ღმერთმა დაგიფაროსთ ყველანი! რიგიანი გზა აქამდისაც არა გვექონია და ახლა ხომ მათზე გავლა გაგიძნელდებათ. რას მივანეროთ, რომ მათი გაკეთებისათვის არავინ ზრუნავს ჯერჯერობით არ ვიცით! ყველაზე უფრო მომეტებული შრომა ეტყობა გზების შესახებ ლენტეხის საზოგადოების მამასახლისის ი. ლიპარტელიანს, რომელმაც ეგრეთწოდებული გზა „ლათქველიარი“ ისეთს ალაგას გაიყვანა (ძველი უხერხული მიატოვა), რომ ამ ალაგას სიარული უშიშარჰყო. ხსენებული მამასახლისის სიმკვირცხლე და დაუზარებელი შრომა მადლობის ღირსია ჩვენს მიერ და მთავრობის მხრითაც ყურადღებისა. ვუსურვოთ შემდეგისათვის მომეტებული მუყაითობის გამოჩენა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აქეთკენ აპრილში ძლიერ ცუდი ამინდები დაგვიდგა. 11-17 აპრილამდე სთოვდა. დანარჩენს დღეებში წვიმდა კოკისპირულად თითქმის ორი კვირის განმავლობაში. ამის გამო ატეხილმა სიცივეებმა აყვავებული ხეხილი დასწვა, ჯეჯილი გააყვითლა და უამისოდაც მიმჭლევებული საქონელი სიკვდილის პირას მიაყენა, რადგან საკვების სიძვირეა და გარეთ კი ვერაფერს ვერ შოულობს. გამოიდარა 23 აპრილს.

## ლექსუმ-სვანეთის რამე-რუმე<sup>1</sup>

ისევ უგზოობა.-მასწავლებელი პ. ხე-ნი და მისი გაჭირვება.-დაბა ლაილაში და ებრაელთა სკოლა.-საქონლის ჭირი.-ცაგერის „ენკენობა“ და უფასო სამკითხველო.

ისევ უგზოობის შესახებ უნდა ვესაუბრო მკითხველს. აბა, სხვა საგანი რომელი ავიღო, რომ ლექსუმის მაზრას შევეხო კარგის მხრით? არცერთი კუთხე ისე არ არის შენუხებული უგზოობით, როგორც ლექსუმი. ავდარში აქაურს გზებზედ გავლა არავითარს სულდგმულს არ შეუძლიან უხიფათოდ: ან მთლად ჩაეფლება კაცი ცხენითურთ, ან ტალახში ამოითხუპნება. სანამ კარგად არ მოშრება ტალახი, მანამ ურმის გზა ძნელდება და სოფლიდან სოფელში სიმძიმის ზიდვა შეუძლებელ საქმედ აჰხდება. სვანეთის გზებზე (ცხენის წყლის პირას) ლაპარაკი სრულიად არა ღირს: ან უვარგისს დამპალს ბოგირებს ვერ გადაურჩები, ან სახიფათო ბილიკების წერა შეიქმნები, თუ არ იმარჯვე. ნამეტნავად დაზიანებულია ცაგერიდან ლენტეხამდე მიმავალი გზა. უხიდობამ ხომ მთლად გააჭირვა საქმე. ამ ორი-სამი წლის წინათ გაკეთებული ხიდები ზოგი ჩაიქცა, ზოგი წყალმა წაიღო და მათ მაგივრობას გვინევს ბოგირ-ჭოკები, რომლებზე გასვლაც სუვოროვის მიერ ალპების გადალახვას უდრის. ზოგან ბოგირებიც არა გვაქვს და მგზავრი იძულებულია მთის გამხეცებულ წყლის ზვირთებს ებრძოდლოს (მაგ. მდ. ხელეურა). სწორედ გასაჭირი მდგომარეობაა და დროზე მიშველება პირველი საქმეა, მაგრამ ვინაა ჩვენში მთქმელი, ან ნათქვამის გამგონე?

უგზოობას ზედ ემატება ლექსუმიდან ქუთაისამდე მიმავალ „მელინეიკეთა“ აღვირ-ახსნილობა. ამეების თავგასულობასა და უსინდისო საქციელს საზღვარი არა აქვს. თუ გიჭირს, შენი მტერია, იმათ

<sup>1</sup> ი. მა-ნი, ლექსუმ-სვანეთის რამე-რუმე, – გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 2295. 17 ოქტომბერი, 1903.

ტყავი გაგაძრონ; ამან თქვენი ჭირი წაიღოს, საჭიროების დროსაც რომ ვერ იმოვნი ეტლს შენს ნებაზე? თუ იმოვნი და შენს მტერს იმის-თანა, მთელს მოგ ზაურობაში შენ შიში გამოიარო; შიში რომელია – ან ფეხით უნდა იარო ნახევრობით – ისეთი მკვდარი ცხენები უბიათ, – ან და სადღაც ღრიანცელში გადაგყრიან.

სხვის პიროვნების გათელვის შესახებ საუბარმა გაგვახსენა ერთი ამბავი, რომელიც, ვგონებ, უგულოსაც მოჰგვრის სიბრალულს. ერთი აქაურთაგანი, გვარად პ. ხე-ნი ოცდახუთი წელი მსახურებდა სოფლის მასწავლებლად ხან რაჭას, ხან ლეჩხუმსა და ბოლოს შვიდი წელი სვანეთშიაც (ს. ლაშხეთი). რაც ძალი და ღონე შესწევდა, თავს არ ზოგავდა და 25 წლის განმავლობაში წვრილი ცოლ-შვილით დატვირთულმა ბევრი წვალება გამოიარა იმ იმედით, რომ ბოლოს რაიმე შემწეობა მიეღო. მაგრამ იმედი გაუცრუვდა. რაღაც უბრალო მიზეზისა გამო, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ მოახვიეს თავზე, სამსახურიდან დაითხოვეს სრულიად უსახსროდა და ულუკმა-პუროდ. წარმოიდგინეთ, მკითხველო, მდგომარეობა ცოლ-შვილით დატვირთულის კაცისა, რომელსაც 25 წელი ხალხისთვის სამსახურში გაუტარებია და ოჯახის კეთილდღეობისათვის ერთიც არ უზრუნვია, და დღეს კი, სიბერის დროს, უსახსროდ დარჩენილა. აი, ამგვარს მდგომარეობაში ჩავარდნილი იძულებლი შეიქმნა სხვაგან წასულიყო და დღიურის მუშაობით თავი და ოჯახი ერჩინა. ცალკე ჯაფამ, ცალკე ფიქრმა – ყველა ამან თავისი ჰქმნა და საცოდავი მასწავლებელი ჭკუიდან შეიშალა. უნდა გენახათ, რა აუწერელს სანახაობას წარმოადგენდა: სახე დაღრეჯოდა, თმა გათეთრებოდა და სიმწრისგან საზარლად აღმოუდა. ეს იყო 25 წლის ჯაფისა და შრომის ჯილდო...

ცოტა რამ ლაილაშუედაცა ვსთქვათ. დაბა ლაილაშს მაღალი მდებარეობა აქვს და მშვენიერი სააგარაკო ადგილია, მაგრამ რად გინდა? საოცარი სიბინძურეა როგორც ებრაელთა უბანში, ისე თვით „ბაზარშიაც“. ებრაელთა უბანში გავლის დროს ისეთი არასასიამოვნო სუნი გეცემა, რომ 60 გრადუსიანი არაყივით გაგაბრუებს. დ. ლაილაშში 120 კომლამდე ქართველია, 20 კომლი სომეხი და 100 კომლამდე ებრაელი. აღებმცემა უმეტეს ნაწილად სომეხებისა და ებრაელების ხელშია. ურევან წვრილი კაპიტალისტებიც. მევახშეობა აქაც მძვინვარებს. სომეხებს ჰყავთ საკუთარი მღვდელი და აქვთ ქვის ეკლესია. ებრაელებს ჰყავთ ხახამი და ერთი მასწავლებელი, რომელიც ებრაულს წერა-კითხვას ასწავლის ბავშვებს. სწავლება მეტად პატრიარ-

ქალურადაა დაყენებული. სწავლის მსურველი ბევრია, მაგრამ საქმის მოთავეა ძვირი. საჭიროა ლაილაშელ ებრაელთათვის საკუთარი სკოლა, სადაც პირველდანიეებითი სწავლება ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს, რადგან სხვა ენა არ იციან. პირველადვე ებრაულს ენაზედ ბავშვების მიყენება დიდი მომაკვდინებელი ცოდვაა. მე თვითონ დავრწმუნდი, რომ ბავშვება იციან ებრაულად კითხვა, ლოცვები ზეპირად, მაგრამ არ ესმით მნიშვნელობა წაკითხულისა. როგორცკი შეუსანვლიათ ებრაული ანბანი, მაშინვე მასწავლებელს ბავშვები მიუყენებია დაბადებისთვის, რომელსაც უთარგმნის ქართულად, მაგრამ ეს თარგმანი უფრო თავისებური ხასიათისაა, ვიდრე ნამდვილი. როგორც თვითონ მასწავლებელმა მითხრა, თითო ბავშვი აძლევს სწავლის ფასს ორ-ორ მანეთს (60 ბავშვი ჰყავს) და ამასთან აქვს კერძო გაკვეთილები: ამზადებს ბავშვებს ქუთაისის ხახამთან წარსადგენად მონაშობის მისაღებად. კერძო გაკვეთილებში იღებს თითო კაცისაგან 12-15 თუმნამდე.

ლეჩხუმის მაზრას დ. ლაილაშში აქვს სახელმწიფო სასოფლო სამკურნალო ერთის ექიმით, ბებია ქალითა და ორის ფერშლით. ნამლები და რჩევა უფასოა, მაგრამ მეტი ნაწილი ხალხისა ვერ სარგებლობს, უგზობობისა და სიშორის მიზეზით. მიუხედავად ამისა, ხალხი დიდის პატივისცემით იხსენიებს ექიმს თ. დ. ლ-ძეს, რომლის ტკბილი სიტყვა და ქცევა წამალს უდრის.

მთელ ლაშხეთის საზოგადოებას (400 კომლია) მოედო საქონლის ჭირი – თურქული და გაჭირვებაში ჩააგდო. არ იცის კაცმა, ან პური რითი გალენოს, ან თივა რითი მოიტანოს, ან შეშა რითი მოზიდოს და ან სხვა საჭიროებას რითი გაუმკლავდეს. „სხვისი ჭირი ლობეს ჩხირიო“ – სწორედ საწყლებსაც ასე ემართებათ, რადგან ყურადღებას არავენ არ აქცევენ. ასეთსავე მდგომარეობაშია ს. ს. ოყურემისა და მახურას საქონელი.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ცაგერში ენკენობა (ბაზრობა) იმართება ხოლმე. ვერც წრეულს მოგვიტანა რაიმე კეთილი ამ ენკენობა-ბაზრობამ, რომელიც 14-28 ენკენ. გასტანა. ისევ ის უვაჭრობა, ისევ ის სიძვირე ფულისა და სავაჭროისა, ისევ ის ქურდობა, ჯიბგირობა, უსაქმო კაცების ხეტიალი და ცხენების წვალება-ჯირითი და მეტი არაფერი. ყველაზე უფრო ნაზარალევი დარჩნენ სვანები, რომელთაც მსხვილი საქონელი მოდენეს გასაყიდად, მაგრამ გასაღებით-კი ვერა გაასაღეს-რა და თითო საქონელზე ათ-ათი შაური მანც

გადაახდევინეს ბეითლებმა. ბაზრობამ, რომელიც დ. ცაგერს გაიმართა და მალე ისევ ჩაიშალა, გაგვახსენა სამკითხველო, რომელიც ეს მეორე წელიწადია, რაც დაარსდა, მაგრამ მკითხველი კი ნაკლებად მოეძებნება. იგი მოთავსებულია სასამართლოს შენობაში და მეთაურობს თვით მომრიგებელი მოსამართლე. მეთაურობა მეთაურობაა და სამკითხველოს ღიას ძვირათა ნახავთ. წარწერაც მშვენიერია კარებზე: „ცაგერის უფასო სამკითხველო“. „რის სამკითხველოა, ღია ჩვენ ვერა ვნახეთ, ვერცა-რა მკითხველებია შიგ და უფასო იქმნება, აბა ფასს ვინ დაადებს“, – სთქვა მოსწრებულად ერთმა კაცმა, როდესაც ხსენებული წარწერა წაიკითხა. ალბად, ამას სხვებიცა ჰგრძნობენ და კარებზე მიუწერიათ: „საუკუნოდ იყოს შენი განსვენება, უფასო სამკითხველოვ!“

## წერილი ლეჩხუმიდან<sup>1</sup>

ჩვენსკენ სასიამოვნო ნამუშევარია. ხალხს თუმცა დიდი ხანია, რაც სარჩო შემოაკლდა, მაგრამ რადგან მოსავალს კარგი პირი უჩანს იგი ძლიერ გამხნევდა. რაც გვალვამ დაგვაზარალა, წელს წვიმამ გვასიამოვნა!.. პურები ისეთია, რომ უკეთესი კაცის თვალს არ უნახავს... კოხისა კი ემინია ყველას. ხალხი ამბობს: „მადლობა ღმერთს, საწყალ ხალხს ის არ გასწირავსო, თუმც ამ ცრუ ნასწავლებმა საქმე გაგვიჭირეს ურწმუნებითო“...

სწორეთ ამისთანა დროსაა საჭირო, რომ მოძღვარი დარაჯად უდგეს ხალხს და ურწმუნობას შეებრძოლოს. მაგრამ, სამწუხაროდ ეს ასე არ არის და ჩვენ სულ წინააღმდეგს ვხედავთ... მღვდელი აღარ მღვდელობს და აბა რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ მისგან!...

ჩვენებურ მღვდლების უსწავლელობასთან ერთად სხვაც ბევრი სიკეთე აკლიათ. შური, მტრობა, ერთმანეთის გაუტანლობა, დაბეზლება და ამგვარები, საუბედუროთ, ჩვენს სამღვდელოებაში ძლიერ მაგარი ფესვებით ხარობენ და სატანურს ნაყოფს იძლევიან. „დუქანში“ და ძმა ბიჭებთან ღვინის სმა ხომ ზოგიერთებისათვის ძლიერ სასიამოვნოა.. მართალა გვყანან ფაქიზნი მოძღვარნი, მაგრამ ცოტანი და მათი კეთილი აზრი ამდენს ურწმუნობასთან იხუთება კვდება ...

მაგალითები ავიღოთ. ერთი მღვდელი მეორეს ადგილს ეცილება (მრევლს) და ხალხს უჯანყებს, ამისთვის ის ფულსაც ხარჯავს; მეორეს სხვისი სიკეთე ეხარბება და სცდილობს წაახდინოს მესამე, მეოთხე და მეხუთე „ბლალოჩინობის“ სურვილით გამსჭვალულნი ყოველ გვარ მდაბალ საშუალებას ხმარობენ მოძმის დასალუპავად, რათა სხვის უბედურებაზედ თავიანთი ბედნიერება ააშენონ! მაგრამ ეშმაკის გზა ღვითისაგან წყეულ არს!...

ამას წინეთ ერთს უკადრის სამღვდელოების დამახასიათებელს გარემოებასა ჰქონდა ადგილი ჩვენს კურთხეულ მაზრაში. რამდენი-

<sup>1</sup> მღვდელი, წერილი ლეჩხუმიდან, – გაზეთი „შინაური საქმეები“, №23, 1910, გვ., 12-13.

მე დიდების მოყვარე და ბლალორინობის მძებნელმა მოძღვარმა ჯერ ურიის დუქანში და მერმე ღვინის სარდაფში მიტინგისებური შეკრებილება გამართეს, თან სხვა მღვდლებიც მიიზიდეს. შეიქნა სმა, რომლის დროსაც ბევრი საგულისხმო სიტყვები წარმოითქვა. ერთი შეზარხოშებული მღვდელი ამბობდა: „მე ბედენიკზე არ წარმადგინა ბლალორინმა და ის არ მინდა ბლალორინადაო“. მეორე გაიძახოდა: „ყველაფერი მაგას აქვს, ნაბლიუდატეობა, ბლალორინობა, გამომძიებლობა, „ზაკონოუჩიტლობა,“ სუდში ეგ აფიცებს კიდევ რამდენი, ჩვენ -კი არაფერი“?. შემოსულ კაცს უნდა ჰქონდეს ყოველივე თანამდებობა და ჩვენ, აქაურებს-კი არაფერიო“. მესამე ღალადებდა: „მე თუმცა მისის წარდგინებით ჯილდო მომცეს, მაგრამ ეხლა დეკანოზობაზედ აღარ წარმადგინა და ვინც დეკანოზობას მომცემს, იმას აღვირჩევ ბლალორინადაო“, მეოთხე ძალზედ გასძახოდა: „ჩემმა შვილიშვილმა ეკკლესია გატეხა და ბლალორინი რომ არა, პოლიცია ვერ დაიჭირავდა მასაო!“ მეოთხე მღვდელი გაჰკიოდა: „მღვდელი მიჩიოდა ფულებსა და ბლალორინმა ეპისკოპოსს ჩემი თავი „დააშტრაფინაო“. მეექვსე ბანს აძლევდა: „გამომძიების დროს ბლალორინმა მხარი არ დამიჭირა, ეგ ხალხს უფრო ესარჩლება და რათ მინდა მაგისტანა ბლალორინიო“. მეშვიდეც გაიძახოდა: სათქმელი რაც აქვს ჩვენ ბლალორინს, პირში მოგვაყრის და არ გვეფერება, მოგვეფეროს და გასწორდეს (?) თორემ არ გვინდა ბლალორინადაო“ კიდევ ვინ ჩამოთვლის, რამდენი რამ არა საკადრისი ითქვა „დუქანში“ მოძღვართაგან მდაბიო ხალხის გასაგონად... საკმარისი იყო ღვინის სმასთან ერთად რამოდენიმე ამაღელვებელი სიტყვები, რომ წინაღვე გამოცხვარ საჩივარზედ მოეწერათ.

გასაგონათაც ძნელია, რაც ჩვენებურ ზოგიერთ მოძღვართა შორის ხდება! ამ გვარ საქმეებზე ხომ მზათ არიან? აბა ერთი სინჯეთ, რაიმე სასარგებლო საქმეებში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეთ! ცივ უარს არ გაკმარებენ, ერთს კარგად შეგლანძლავენ! როდესაც ამას წინეთ სამღვდლოებას წინადადება მიეცა ზნეობრივ განმანათლებელ ძმობის წევრებად ჩანერისა, ყველამ დიდის რიხით უარი განაცხადა!! მოდი და გააკეთე რამე ამ გვარ სულიერ მოძღვრებათა!...

გირჩევთ, სულიერნო მოძღვარნო, პირდაპირ თქვენ დანიშნულებას მოჰკიდოთ მაგრათ ხელი და ინტრიგანობა-საჩივრობას თავი დაანებოთ. არავის ნება არა აქვს უნარ მოკლებულს სხვას შეუშალოს ხელი მუშაობაში... დროა შევიგნოთ ეს მცნება...

## სვანეთი (1)<sup>1</sup>

ყველამ იცის, რა მიყრუებული კუთხეა სვანეთი. ზამთრობით სვანეთში გადასვლა შეუძლებელია, ზაფხულობით საშიშია, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ სვანეთი დღეს ყველაფერს მოკლებულია: მართლაც ჟურნალ-გაზეთებში (სამწუხაროდ მათ სამიოდე კაცი იწერს მარტო) ორის თვის განავლობაში ძლივს მოაღწევს ხოლმე ჩვენამდის, ასე რომ მანდაურული ძველი ამბავი ჩვენთვის ახალია; წერილის გაგზავნა რომ გვინდოდეს, კაცი უნდა ვიქირაოთ. ერთის სიტყვით, უგზოობა, ძლიერ გვანუხებს და არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ? მაგრამ როგორც შევიტყვეთ, მთავრობას გადაუდვია რამდენიმე ათასი მანეთი სვანეთში გზების გასაყვანად. ადვილად წარმოიდგენთ, მკითხველო, რა სიხარულს მივეცით თავი ამ ამბის გაგონებაზე? ... დიად ძალიან გვიხაროდა, მაგრამ ეს სიხარული მწუხარებად გადაგვექცა. როგორც გვეუბნებიან და გვესმის, ზოგიერთს პირებს გზის გაყვანა არასასურველისა და გამოუყენებლის მხრით ე.ი. ლენხერით ჰსურს თურმე და სცდილობენ, ეს სურვილი აღასრულონ. ლენხერით გზის გაყვანის უვარგისობაზე და გამოუყენებლობაზე ამ წერილში ჩვენ არაფერს ვიტყვით; ამ საგნის შესახებ ჩვენს აზრს გამოვთქვამთ შემდეგ, როდესაც კი დრო ნებას მოგვცემს. აქ კი უნდა ვურჩიოთ იმათ, რომლებსაც ლენხერით გზის გაყვანა ჰსურთ, რომ პირადი ინტერესები უკან დასწიონ და საზოგადო ინტერესებს ემსახურონ.

ამჟამად სვანეთს ჰყავს თავის საკუთარი ექიმი, ბატონი ტერენტიროვი და დალაქი ბ-ნი ბარელიძე. ამ გარემოებით, ჩვენ რასაკვირველია, ძლიერ მოხარულნი უნდა ვიყოთ. მაგრამ არ შეგვიძლიან ცოტაოდენი უკმაყოფილება მაინც არ გამოვაცხადოთ. ბ. ტერენტიროვი მართალია პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ დალაქს ბ. ბარელიძეს კი უნდა ვურჩიოთ, რომ ფეხის ქირას, თუ ცხენისას, მისვლისთვის და ნახვისათვის სამს მანეთს ცოტა რამ დაუკ-

<sup>1</sup> ინ-მანი, სვანეთი, - გაზეთი „ივერია“, № 52, 8 მარტი, 1895, გვ., 2.

ლოს, რადგან სამის მანეთის შოვნა მოწყვეტილ, გადაკარგულ სვანეთში მცხოვრებისათვის მეტად საძნელოა. მეორე, კარგი იქნებოდა უიმისოდაც ლატაკს სვანებს წამლის მიცემის დროს ხორაგს – ყველს, პურს, ხორცს, არაყს და სხვას რამეს არ ართმევდეს. ჩემის ფიქრით, ის წამლები რომლითაც თქვენ ბ. ბარელიძე ექიმის ბრძანებით ურიგებთ გაჭირვებულთ, სახელმწიფოა და მუქთად უნდა ეძლიოს მათ. არამც თუ გვგონია ეს ასეა. სვანს პურისა, ყველისა, ხორცისა და არაყის მეტი არაფერი გააჩნია და თუ ესეც სხვას მისცა და სხვა არჩინა, მას რაღა დარჩება.

## სვანეთი (2)<sup>1</sup>

„ივერია“ დიდი მწუხარებას აცხადებდა სვანეთში ხალხის დამშევის შესახებ და ჰსურდა ყოველივე საქმის გარემოება დანვრილებით გაეგო. ბ-ნ ქაიხოსრო გელოვანმა ცოტად თუ ბევრად განმარტა შიმშილის ვითარება სვანეთში. შეიძლება, როგორც ბატონი „მეველე“ ბრძანებს, ზოგიერთს გაზვიადება უყვარსო; იქნებ ასეც იყოს, მაგრამ მე ვიტყვი მხოლოდ ნახულს.

შიმშილობა არის და იყოს სვანეთის შემდეგს საზოგადოებაში: უშკულისა, კალისა, იფარისა, წვირმიშისა, მულახისა, მესტიისა, ლენჯერისა, ლატალისა, ბეჩოსისა და სხვაგან. იქამდისინ მივიდა, რომ ზოგიერთი ბალახისგანაც აკეთებდნენ ერთგვარ საჭმელს ფაფას და იმას სჭამდნენ. შემდეგში, როდესაც გზა გახსნეს მთაგრეხილზედ (ლატფარზედ), ყოველი დამშეული სვანი გაექანა ლეჩხუმისაკენ, სადაც დიდის წვალეებით შოულობდა სიმინდს და მოჰქონდა შინ სახლობის გამოსაკვებად. ამგვარად სვანებმა დროებით სული გამოიბრუნეს, მაგრამ ვისაც არც ცხენი ჰყავს, არც ფული მოეძევა, რომ ორიოდე კაკალი სიმინდი მოეზიდნა ლეჩხუმიდან ოჯახის გამოსაკვებად, დარჩა უსახსროდ და უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. ეს გარემოება, რასაკვირველია, არ დარჩა უყურდლებოდ მაზრის უფროსმა ბ-მა ალშიბაიამ აცნობა ეს სამწუხარო მდგომარეობა გუბერნატორს: თვითონაც კი თავის ხელით შეუდგა შეწირულობის მოკრეფას ლეჩხუმში და შეჰკრა ორ ათასამდე ფუთი სიმინდი, როგორც ამბობს ბ-ნი გელოვანიც.

შემდეგ შეწირულობის შეკრებისა მაზრის უფროსმა მოსთხოვა ადგილობრივს ბოქაულს ი. ლოლობერიძეს, გაეგზავნა მასთან ლეჩხუმში ყველაზე უფრო დამშეულები და რომ იქ მიეღოთ შეკრებილი სიმინდი. ბოქაულმა გაგზავნა სვანები დანიშნულს ადგილს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ შინ ხელცარიელები.

<sup>1</sup> ივ. მუყალელი, სვანეთი, – გაზეთი „ივერია“, 212, 5 ოქტომბერი, 1893.

მეორე წასვლაზე კი სვანებმა მიიღეს სიმინდი თვითო მოსახლეზე ორ-ფუთ ნახევარი. უმაღლესმა მთავრობამ ასესხა სვანებს უსარგებლოდ რამდენიმე ხნით 4000 მანეთი ფული. ვინ მოიფიქრებდა რომ სვანები ამ ფულის სესხებაზე უარს განაცხადებდნენ, მაგრამ გამოდგა სულ სხვა. ყველა სზოგადოებამ ხელწერილით უარი განაცხადა ამ ფულის სესხებაზე. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ნუთუ სვანები არ საჭიროებენ და იმიტომ განაცხადეს უარი? შეიძლება სვანები არ დამშეულან და ტყუილად ლაპარაკობენ? დიდათაც საჭიროებენ სვანები არამც თუ ეხლა, არამედ სხვა დროსაც; მაგრამ სვანებმა უარი განაცხადეს ფულის სესხებაზე არა თავის ნებით არამედ სხვის ჩაგონებით.. ასეთის წვალებით გაატარეს სვანებმა მთელი ზამთარი და ზაფხული, სანამდისინ წლევანდელმა მოსავალმა არ იჩინა თავი. მაგრამ ვაი იმ მოსავალს, როგორც წელს არის სვანეთში. ჯერ იყო და გვიან დადნა თოვლი, ხვნა თესვა დაგვიანდა; მერე იყო და მთელი ორი თვე ისე გავიდა, რომ ერთი წვეთი წვიმაც არ მოსულა. ამის გამო გვალვამ ნამუშევარი ერთიანად გაახმო, არ გაიზარდა და ნაყოფიც ნაკლები მისცა. შარშანდელ მოუსავლიანობას წლევანდელიც დაემატა და ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში ჩავარდება ეხლა სვანეთი, თუ შემწეობა არსაიდან არ აღმოუჩნდა. იმედია ჩვენი თანამოძმენი მაინც არ დაგვივიწყებენ და შემწეობას აღმოგვიჩვენენ საიდანმე. ისიც ძალიან შემწეობად ჩაითვლება, სხვათა შორის, რომ სვანებს სადმე სამუშაო უშოვნონ, მაგალითად რკინის გზებზედ მიწის თხრა და სხვაგან.

ამასთან კიდევ ერთი უბედურება დაგვემატა: 10-12 აგვისტოს ს. ხალდეში (სვანეთშია) გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელსაც იქ „სალა-იმალექს“ ეძახიან და ორ დღეში 18-მდე ხარძროხა დახოცა. ეს ჭირი საქონელს გამოჰყოლია რაჭიდან და სულ მუსრს ავლებს.

ამჟამად ზემოს სვანეთში სულ სამი სკოლაა: ორი „ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელობაზედ, იფარში და მესტი-აში, მესამე კი სახელმწიფო – მუჟალში. სამივეში სწავლის საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიდის, მხოლოდ სამწუხაროდ ის დაგვრჩენია რომ, რომ უკანასკნელში ქართულს ენას არ ასწავლიან და იმიტომ რუსულის ენის სწავლება სვანურის ამარად უძნელდებათ.

ეს რამდენიმე წელიწადია, რომ სვანეთს შემოეჩვია ოთხიოდე ვაჭარი. მოაქვთ დამპალი საქონელი და ისე ასალებენ ხალხში, რომ გასაოცარია. ერთხელ ერთ ვაჭარს ეშოვნა საიდანღაც ორად დახეული

ცხვირსახოცები და უბრალო ბეჭდები, რომელსაც ოქროსად ასაღებდა. გარდა ამისა, მათში ისეთებიც ურევიათ, რომელნიც ცუდ საქმეს ჩადიან. ურიგო არ იქნება, ამისთანა საქმეებს ყურდღება მიექცეს და ბოლო მოეღოს.

ცრუმორწმუნეობა სვამეთში და ლეჩხუმში ისევ ძლიერ არის გავრცელებული. დ. ლაილაში (ლეჩხუმშია) ორ ურიის ქალს და ერთს კიდევ სომეხს გაუკეთებიათ რეზიდენცია და მარჩიელობენ. თუ ვინმე ავად გახდება მაშინვე მარჩიელთან მივბიან. თუ ვინმეს წასვლა უნდა შორს ის მკითხავს ეკითხება, ვარგა თუ არა ამა და ამ დღეს მოგზაურობაო. თუ რამე საქმე აქვს სასამართლოში, იმ შემთხვევაშიც ეკითხება, მოვიგებ ამ საქმეს თუ არაო. რასაკვირველია, მარჩიელი ამ შემთხვევაშიც ძალიან ეშმაკურად იქცევა და ატყუებს სანყალ ხალხს. ასე გასინჯეთ სვანეთიდგანაც კი მიდიან დ. ლაილაში მარჩიელთან ოთხ-ხუთ დღის მანძილზედ. მეტადრე მაშინ, როცა ავად გაუხდებათ ვინმე. საჭიროა სვანეთს საკუთარი ექიმი ჰყავდეს, რომ ხალხს გაჭირვებაში დაეხმაროს.

## ეთნოგრაფიული მასალები სვანეთზე, სოფელი მუჟალი (ზემო სვანეთი)<sup>1</sup>

სვანეთი მეტადრე ზემო, როგორც მოგეხსენებათ მიყრუებული და ღარიბი ქვეყანაა. იგი ოთხივე კუთხით მაღალის მთებით არის შემოზღუდული, რომელზედაც მუდამ თოვლი ძევს და ამოტომ ძლიერი სიცივეც იცის. ზამთარი ჩვენში რვა-ცხრა თვეს გასტანს ხოლმე, ზაფხული – სამ თვეს. ამ ცხრა თვის განმვალობაში ჩვენში შინაური საქმეების გარდა, არაფრის მუშაობა არ შეიძლება, რადგან დიდი თოვლი იცის. მაშ უსაქმოდ რა უნდა ხალხს შინ? არაფერი, მაგრამ ნასასვლელი გზა რომ არსაით არ აქვს? ისეა დამწყვედელი ამ ვინ-რო ქვეყანაში, თითქოს საპატიმროში იყოს ტუსადი მოქცეული. ამიტომაც სანამ ზამთარი დადგებოდეს, ახლო-მახლო სოფლებში გადის სამუშაოდ და ამგვარადა ჰმოულობს თავისს საზრდოს. ზოგიერთი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ზაფხულში სამუშაოდ წასვლას და ზამთრობით კიდევ მიდის. დიდი თოვლიანი მთები უნდა გადაიაროს და ამიტომ ბევრჯერ ხდება უბედურება, უკუღმართი გზე-ბია, რომ ათს სულში ხუთი ძლივს გაატანს სამშვიდობის. მაღლი არ იქნება, რომ მარტო ზაფხულში კი არა, ყოველთვის შეგვეძლოს აქეთ-იქით თავისუფლად სიარული, როგორც სხვა ხალხს? რასაკვირველია მაღლი იქნება, მაგრამ მზრუნველი რომ არავინ გვყავს? უგზოობისგან ჩვენსავით არავინ არ იტანჯება. ამ ბოლო ხანებში ცოტა მაინც გვეშველა. ადგილობრივმა ბოქაულმა ბ-მა ივანე ლოლობერიძემ ბრძანება მისცა მამასახლისებს, რომ ხალხი შეეკრიბათ და გზის მუშაობა დაენწყებინებინათ. ეს ამბავი კი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ უფრო უშიშრად ევლო, გზები უნდა შეესწორებინათ. ეს ბოქაულის ბრძანება აასრულეს ზემო სვანებმა და მშვენივრად შეასწორეს გზა

---

<sup>1</sup> მუჟალელი, სოფელი მუჟალი (ზემო სვანეთი), – გაზეთი „ივერია“, 204 25 სექტემბერი, 1891.

ლატაფრის მთის იქითა მხარეს, ძირითვან წვერამდი. ლატაფრის აქეთა მხარე კი ისევ გაუკეთებელი დარჩა. ნეტავ ველირსებით კი, რომ უშიშრად და თავისუფლად შეგვეძლოს სიარული?

ამჟამად ჩვენში ერთი დიდად სასიამოვნო ამბავი მოხდა: აქ დაარსადა ორკლასიანი სასწავლებელი. ეს სასწავლებელი თავისი ხარჯით ააშენა მულახის საზოგადოებამ, რომელიც შესდგება ცხრა პატარა-პატარა სოფლებისაგან. სასწავლებლისათვის საჭირო ავეჯეულობა კი წინადგე იყო მომზადებული. მონაფეების რიცხვი ლამის სამოცს აღემატოს. მასწავლებელმა, სანამ სასწავლებელს ააშენებდნენ, დაინყო კიდეც ყმანვილების მზადება. ქართულს ენას არ ასწავლიან. ამის ნაცლად სვანურს ასწავლიან, რომლის სწავლა, ჩემის ფიქრით, გამოუსადეგარი უნდა იყოს და ეს გარემოება-ლა დაგვრჩენია ჩვენ სამწუხაროდ. ეხლა სვანებსაც კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სასწავლებელი გვაქვსო.

დიდს მადლობას ვუძღვნით იმათ, ვინც ჩვენის სასწავლებლის დაარსებისთვის იზრუნა. უფრო დიდს მადლობას იმას ვუძღვნით, ვინც, ჯერ ერთი, ქართულის სწავლას არ მოგვაკლებს და, მეორე, გზების გაკეთებას იკისრებს.

## სვანეთი (3)<sup>1</sup>

აიღეთ ხელში გეოგრაფიული რუქა, გადაშალეთ, მონახეთ მდინარეები: ენგური, რომელიც პირდაპირ შავ ზღვას ჩაერთვის და ცხენისწყალი, რომელიც მდინარე რიონში ჩადის, გადალახეთ სამეგრელო, ლეჩხუმი და თქვენ წინ გადაიშლება მეზობელი სვანეთი, მდებარე ხსენებული მდინარეების სათავეების შუა.

სვანი თავის ქვეყანას ეძახის „შვანს“, ხოლო თავის თავს „მუშვანს“. მის მეზობელ ქვეყანას – სამეგრელოს სვანი ეძახის „ზანს“, მეგრელებს კი – „მუზანს“, ხოლო ეს უკანასკნელი კი მას ეძახის „შონის“.

მეზობელი ხალხი მაჰმადის სარწმუნოებისა – ყაბარდოელები ინოდებიან სვანების მიერ „სავიარ“-ად, ქვეყენას კი ეძახიან „სავ“-ს, ხოლო ისინი სვანებს უწოდებენ „ებზე“-ს (ებზელერ).

სვანმა თავის ჩამომავლობის შესახებ არაფერი იცის. წერილობითი ცნობებიც სვანეთის შესახებ ძლიერ ცოტაა, როგორც ქართულს ისე უცხო მატყანეებში.

ვინ არიან სვანები, ან საიდან წარმოდგნენ – ეს კითხვა ჯერაც არ არის ნათლად გარკვეული, ზოგიერთნი სვანებს ქართველთა ნათესავ ტომად აღიარებენ, ზოგი კი წინააღმდეგნი არიან ამ აზრისა, თუმცაღა თავის აზრს ვერაფრით ვერ ასაბუთებენ. პირველს აზრს ადგანან მე-17 საუკუნის მწერალი დოსითეოზი – იერუსალიმის პატრიარქი; შარდენი, გიულდენშტენდტი, კლაპოტრი და დიუბუა დე მონპერე. უმრავლესი ნაწილი ახალის მწერლებისა კი არ ეთანხმება ამ აზრს და არც მოჰყავს რაიმე მაგარი საბუთები, რომ მათი სიტყვა დასაჯერებელი იყოს. ამ დასს ეკუთვნის ბ. სტოიანოვი, თუკი ეს პატიოსანი, „სვანური ენის მცოდნე“, ნებას მოგვცემს ჩავსწეროთ იგი მწერალთა რიცხვში.

---

<sup>1</sup> მლედ. ი. მარგიანი, სვანეთი (ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა სვანეთისა), – ჟურნალი „მოგზაური“, №6, 1902, გვ., 365-371; №7-8, 1902, გვ., 424-433; №1-2, 1903, გვ., 14-24; №11-12, 1903, გვ., 276-286.

ჩვენის ფიქრით, სვანები ეკუთვნიან ქართველების ტომს. მართალია ასეთის აზრის წარმოქმნას ზოგიერთნი აჩქარებდნენ ჩამოგვართმევენ, მაგრამ ჩვენ მაინც ამ აზრს ვერვინ ვერ შეგვაცვლევინებს, დაწმუნებლი ვართ რა იმაში, რომ დღეს თუ ხვალ ეს საკითხი დაბოლოვდება და ყველა აღიარებს სვანებს ქართველთა ნათესავს ტომად. ამ აზრის თქმას გვაბედინებს შემდეგი მოსაზრებანი: პირისახით სვანი ძლიერა ჰგავს საქართველოს სხვადასხვა მთიულ ხალხს – ფშავ-ხევსურებს და სხვას. გარდა ამისა, სვანების ზნე-ჩვეულება ბევრითა ჰგავს ქართველების ყოფა-ცხოვრებას.

პირველ ნახვაზედ სვანი შეიძლება ძნელი გამოსაცნობი იქნეს, მაგრამ თუ დავუკვირდებით მას ახლოს, დავრწმუნდებით, რომ ის ქართველთა ნათესავს ტომს ეკუთვნის.

სვანური ენა (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ), რომელიც პირველს გაგონებაზედ უცხო ენად ეჩვენება კაცს, თითქმის იგივე ქართული ენაა. სამი მეოთხედი სვანური სიტყვებისა ნამდვილი ქართული სიტყვებია. ამის გარდა, სვანურს სოფლებს უმეტეს ნაწილად ქართული სახელები ჰქვია. სვანური გვარები ხომ სულ ქართული გვარებია. ეს აზრი არც ქართველ მემკვიდრეთა აზრს ეწინააღმდეგება. სიტყვა სვანეთი მათის ფიქრით წარმოსდგება, სიტყვისაგან „სვანეთი“. ამავე აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ სვანები თავის ქვეყნის გაყოფის დროს ხმარობენ სიტყვებს „უბე ხევ“ (ზედა ხევი) და „ჩვაბე ხევ“ (ქვედა ხევი). ასევე ხმარობდნენ წინეთ საქართველოს სხვა მთიული ხალხიც.

სვანეთი სავსეა ძველი საყდრებით, ხატებით, ტყავზე დანერილი ძველი საღმრთო წიგნებით და სხვა ძვირფასი ნივთებით. რისთვის უნდა აეშენებინათ სვანეთში ქართველებს ამდენი აურებელი ეკლესიები, ან რისთვის უნდა ეგზავნათ სვანეთში ქართველებს ამდენი სიმდიდრე, თუკი არა სთვლიდნენ სვანებს თავისს მონათესავე ხალხად? აქ არ იქნება არ მოვიყვანოთ უცხო და ქართველ მწერალთა აზრი სვანეთის შესახებ.

სვანეთი პირველად ცნობილია ქირისტესობამდე ორნახევარი საუკუნის წინეთ საქართველოს პირველი მეფის ფარნაოზის დროს. ფარნაოზ მეფე თავის სიძეს ქუჯს ამწესებს სვანეთისა და ეგრისის ერისთავად. ქრისტეს ამალლების შემდეგ ანდრია მოციქული სიმონ კანანელთან ერთად და სხვა მოწაფეებითურთ, რომელთა რიცხვში

მატათაც იხსენება, ჰქადაგობს ქრისტიანობას მესხეთსა და აფხაზეთში, აქედან მიდის სვანეთში, რომელსაც ქალი მართავს, რომელიც ქრისტიანობას იღებს. მატათა და სხვა მოწაფენი რჩებიან სვანეთში, ანდრია კი სხვა მოწაფეებითურთ მიდის ოსეთისკენ. ეს არის ქართველ მემატაიანეთა აზრი. ამ აზრსავე ეთანხმებიან ბერძნების მწერლები. მათში ერთი ფიქრობს, რომ სიმონ კანანელი მოჰკლეს სვანებმაო. ბიზანტიის მწერლები: სტრაბონი (66 წელს ქრისტეს შობის წინეთ და 24 წ.ქრ. დაბადების შემდეგ), პლინი (29-79 წ.ქრ. შემდეგ), რომელთაც აღწერეს რომალებისა და სპარსელების ომი მე-5 და მე-6 საუკ. ლაზისტანის გულისათვის იხსენიებენ სვანებს და უწოდებენ მათ „სოანებად“. „სოანები“ სცხოვრობდნენ დიოსკურიის ახლოს... ისინი იყვნენ ძლიერნი მეომარნი, ჰყავდათ საკუთარი მეფე და ჯარი, შეეძლოთ 200 000 ჯარისკაცის გამოყვანა. ჯარი ძლიერ გამბედავი იყო, მაგრამ გამოუწყობელი. „სოანები“ ისარს შხამავდნენ, რომლის სუნი იმნამსვე ისტუმრებდა დაჭრილს. ისინი თავიანთს მდინარეებში ბევრ ოქროსა ჰპოულობდნენ ნადირთა ტყავების შემწობით, სვანეთის უფროსს ნიშნავდა კოლხიდის მმართველი. „სოანები“ ეხმარებოდნენ სპარსელებს რომალების წინააღმდეგ ომში. იმათ მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება კლოხიდელებთან ერთად და იცავდნენ მას მაგრათ.

მატიანეს სიტყვით მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში არჩილმა, გიორგი ერისთავის ძმამ მიიღო წილად ეგრისი და სვანეთი. მე-8 საუკუნის გასულს, მეფე ლევან მეორის დროს, აფხაზეთი რომელშიც შედიოდა იმერეთი სამეგრელოთურთ, გაიყო რვა საერისთავოდ და სვანეთიც ცალკე საერისთავოს შეადგენდა. მე-11 საუკუნის დამლევს მეფე გიორგი მეორის დროს სვანეთის ერისთავად ნაჩვენებია ვინმე ვარდანი, რომლის ჩაგონებით სვანები აჯანყდებიან და თავს ესხმიან სამეგრელოს. მე-12 საუკუნეში თამარ მეფის მამის დროს, სვანები ერივნენ შანშე დადიანის ჯარში და აოხრებდნენ სომხეთის ქალქს ანისს. ისინი დაესწრნენ ქუთაისს თამარის გვირგვინოსნობის დროს. მათი ერისთავი იყო ბარამ ვარდანიძე. სვანებს იტყუებენ შეთქმულებაში თამარის წინააღმდეგ მისი ქმრის რუსეთის თავადის სასარგებლოდ. თამარს აჰყავს პირველი მინისტრისა და ჭყონდიდელობის ხარისხზე ვინმე სვანი, გელოვანთა გვარის უფროსის შვილი, რომელიც სცხოვრობდა განდეგილ-მწირად გარეჯის მონასტერში. მე-13 საუკუნის ნახევარში რუსუდანის დროს ათაბაგის ივანე მხარგ-

რძელის ჯარში ერივნენ ლეკები და სვანები 40 000 კაცამდე. სომხების ისტორიკოსების სიტყვით საქართველოში მონღოლების შემოსევების დროს თავის შვილით თავს აფარებს სვანეთში, სადაც მოდის მოსალაპარაკებლად ორი თათარი მოციქული. ბაგრატი დიდის დროს (მე-14 საუკუნის დამლევს) სვანები თავს დაესხნენ ქუთაისს და გადასწვეს. ბაგრატი აუარებელი ჯარით შედის ს. ეცერში, რომელიც სადადეშქელიანო სვანეთში სძევს, სჯის, დამნაშავედ აცხადებს მათ. ბაგრატი ჩამოართმევს ერისთაობას ვარდანიძეს და შემდეგ ისევ შეინყნარებს და გადაჰყავთ გურიაში. სვანებს კი აძლევს გელოვანს. ამგვარად თამარ მეფის დრომდე სვანეთის საერისთავოს შეადგენდა. თამარის დროს კი იქ ერისთავად იყო ბარამ ვარდანიძე. მისი შთამომავლობა უფლობდა სვანეთში ბაგრატის დრომდე. გელოვანების გვარი ძველებურია.

სვანეთს უჭირავს მალლობი მთიანი ადგილი. ის ყოველივე მხრით შემოზღუდულია მაღალი და აუვალი მთებით, რომლებზედაც ზამთარ-ზაფხულს თოვლი სძევს. შიგნით სვანეთი დაყოფილია ქედებად (ზუგებად), რომელთა სამხრეთი ნაწილი ხშირი ტყით არის დაფარული, ხოლო ჩრდილოეთისა მაღალი ბალახით, სადაც დაუდისთ დიდძალი საქონელი საძოვრად. ეს ზუგები, ან მთაგრეხილები გამოდიან უმთავრესი კავკასიონის ქედიდან. უმეტესი ნაწილი ეს გრეხილები შესდგება კაჟისაგან, რომელიც აქა იქ მუქ ფერს იკრავს. ამ ზოლებს შუა, ბევრგან, პირდაპირ სათავეებთან გაჭიმულია ვეებერთელა საყინულეები (ოლ-სვანურად), რომლის სიგრძე ხანდისხან 10-16 ვერსამდის მიაღწევს. ეს საყინულეები შეუმჩნევლად მიიზღაზნებიან ქვეით და ქვეით. ზოგიერთნი მათგანნი თითქოს დაკიდებულან მთაზედ და ისე მაგრად აწვებიან იქეთ-აქედგან, რომ აგერ, ერთ წამს, მოსწყდებიან და მათი შემადრწუნებელი ხმაურობა იქაურობას ზარსავით მოეფინებაო. საზარელი სანახავია საზოგადოდ საყინულე. რამდენიმე ვერსის სიგრძეზედ გაჭიმულია ქვასავით მაგარი ყინულის მინდორი, რომლის ზედაპირი დაფენილია ხან ნემსივით წვეტიანი ყინულებით, ხან უზარმაზარი რკინისა და კაჟის ქვებით, ხან მიწით და ხან რით. ესენი ნაშვავებია, აგერ ნემსივით წვეტიანს ყინულზედ წამოსკუპებულა უშველებელი ქვა, რომლის (ზაფხულობით) ტემპერატურა ადნობს გარს შემოვლებულს ყინულს, ბოლოს ველარ იმაგრებს თავს და შემადრწუნებელის ხმაურობით ვარდება ვეშაპისებურ ხახადალებულს საყინულის მუცელში და იკარგება უფ-

სკრულში, სადაც მას უარესი დღე ადგება. ამ უზარმაზარ საყინულე-ებიდგან გამოდიან სვანეთის ღრიალა და ცივი მდინარეები. ზაფხულობით ეს მდინარეები მუქი ფერისაა. ეს იმიტომ, რომ საყინულე, რომელიც შეუმჩნევლად ქვევით და ქვევით მიიზღაზნება, აწვება მის ქვეშ მდებარე ქვებს, მტვრად აქცევს მათ, რის გამოც წყალს მუქი ფერი ეძლევა, და უერთებს მის ქვეშ მიმდინარე წყალს, რომელსაც მიაქვს ეს შეზავებული მადნეულობა, გადის კლდე-ღრანტეებში, სადაც უარესი დღე ადგება, ქაფდება, იკვრის ბურთსავით, ისვრის ვეებერთელა ზვირთებს, გადაჰქუხს და იქაურობას ელეკება. რასაკვირველია, ქვიშაში ბევრი მადნეულობაა შერეული. ამ ბუნების სავსებით კალმით აღწერა არ შეიძლება. მკითხველი მხოლოდ მაშინ მიხვდება ამას და შეიგნებს, როდესაც თავისი თვალით ნახავს მათ, ამ უსულო ვეშაპებს და მთაზედ მოგზაურობით გაძლება... რაო? განაყინულზედ მოგზაურობა შეიძლებაო? იკითხავს ზოიერთი მკითხველი. დიახ, სასიამოვნო (ჩემთვის და სხვისთვის არ ვიცი, მკითხველო!) სანახაობას წარმოადგენს საყინულეზედ მოგზაურობა. არა მგონია ვინმე შეედრებოდეს მას ამაში, ვერც ალპინისტი, ვერც სხვა ვინმე. სვანს თუ ყაბარდოსკენ, ჟეგემ-ბახსანისკენ მოუხდა წასვლა უთუოდ საყინულეებით უნდა გაიაროს. ამ შემთხვევაში რამდენი კაციც უნდა იყვეს, ზოგიერთს საშიშ ალაგას ერთმანეთს გადაებმებიან თოკით წელზედ, ერთი წინ მიდის, ხელში ჯოხი უჭირავს და თოვლიანს ალაგს, რომელიც საშიშია ჩატეხისაგან, ჯოხით სინჯავს სანდო არის თუ არაო. ხშირადაა, რომ ზემოთ თოვლი სძევს, ქვეშ კი ღია ნაპრაღია საყინულესი და თუ ამისთანა ალაგს დააბიჯე ფეხი, უფსკრულში ჩავარდები. აი ამ შემთხვევისთვისაა გამოსადეგი თოკი. წინა კაცი რომ ჩავარდება, იმას მეორე დაიჭერს, მეორეს მესამე და ამგვარად ბოლომდე. ბევრისგან სვანეთის მთის ქედები შესდგება შავი შიფერისაგან. მზა ასპიდის ფიცარი ყველგან მოიპოვება; სვანი მით სარგებლობს, პურს აცხობს ზედ და სახლებს ხურავს. მთებში ბევრი მადნეულობაა: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა, გოგირდი და სხვა. ეს იმით დამტკიცდება, რომ თითქმის ყოველს ნაბიჯზედ თქვენ ხედავთ რკინისა, გოგირდისა და სხვა მადნეულს, წყლებს, რომელთა სიმრავლეს კაცი განცვიფრებაში მოჰყავს. შესანიშნავი წყლებია: ს. იფარში-გოგირდის წყალი, რომელიც კანს უხდება; ს. მუჟალ-მულახში - რკინისა და მჟავე წყლები, სასმელად მშვენიერი, ს. ბეროში - მჟავე წყალი, ს. ცხუმარში - მჟავე წყალი და სხვა. შესანიშნავი

მწვერვალებია: ვიშბა<sup>1</sup> (17 000 ფუტი), თვეთნულდ, მუშურ, ლატფარ, ლეხზირ, ლასილ.

სვანეთი გაჭიმულია სამხრეთ-დასავლეთიდან აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისაკენ კავკასიონის ორ ქედს შუა; მას უჭირავს ძლიერ მაღალი ადგილი და თითქმის ოთხივე კუთხით შემოზღუდულია მაღალი მიუვალი ციცაბო მთებით, რომელზედაც მუდამ თოვლი სძევს. ადვილი წარმოსადგენია, რომ ამის გამო სვანეთის ბუნება სასტიკი იქმნება. ზამთარი სვანეთში 7-8 თვეს გასტანს. ოქტომბერში, ხანდისხან სექტემბერშიც აქ თოვლი სძევს და გადასავლელი მთაგრეხილები იკვრის. მხოლოდ ივლისის დამლევს იწყობა მთაზედ მისვლა-მოსვლა, რასაკვირველია, ცხენითაც; მანამდისინ კი სვანები დამწყვდეულნი არიან ერთ ალაგს და არსად თავისუფალი გზა არ აქვთ.

ზამთარში აქ თოვლი ხან ორ-სამ არშინამდე მოდის, ხან კი ნაკლები. სიცივეებიც იცის, მაგრამ არც იმდენად სასტიკი, როგორც რუსეთში (ორთა შუა რიცხვით 12-14 გრადუსი). ყინვები თუ ცოტა თოვლია, უფრო მძლავრია; დიდის თოვლიანობისას კი მაინც და მაინც სასტიკი ყინვები არ იცის. მზეს ზამთარში ძვირათ თუ დაინახავს სვანი. ის ან სულ დაფარულია ღრუბლით, ან ოდნავ-ლა მოსჩანს. სვანი სიცივეს ძლიერ იტანს, ის სიცხეს იმდენად ვერ იტანს, რამდენადაც სიცივის ატანა შეუძლია. ხშირად სვანი მოგზაურობის დროს მთელს ღამეს თოვლში ათენებს. მისი ლეიბ-საბანი თოვლია და ღამის დარაჯი უზარმაზარი მთები, რომელიც უფრო მომეტებულ სუსხს უგზავნიან მას. ასეთი ღამეები თითქმის ყოველ სვანს ახსოვს, მაგრამ ის გულგრილად იხსენიებს მას და ერთი სამღურავიც არ წამოსცდება. გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა სვანეთში საუკეთესო დროა. ესენია: ივნისი, ივლისი, აგვისტო და ენკენისთვე. სწორედ ეს ოთხი თვეები უმშვენიერესნი თვეებია სვანეთისათვის და მგზავრისთვისაც. ამ დროს თქვენ არც სიცივე განუხებთ და არც სიცხე. თქვენს წინ გადაშლილია მშვენიერი სანახაობა: ტყე შემოსილია, მთები ამწვანებულია, ყანები და მინდვრები თქვენს თვალს ატკბობს, მდინარეები ადიდებულან, მირბიან ღრიალ-ღრიალით; აგერ წყალი ეძგერება თამამად უზარმაზარ ქვას გაიტანს, აგერ კლდის ნაპირს ჩამოლენავს და მტვრად აქცევს, იკვრის ბურთსავით და თავდაღმა ეშვება. შიგ უტ-

---

<sup>1</sup> ავტორისეული შენიშვნა: „ეს სიტყვა, ვგონებ, თათრულია: ვიჩ ბაშ – სამი თავი; ორი წვერი ეხლაც ჩანს, ხოლო მესამემ ალბათ იკლო და გასწორდა დანარჩენებთან“.

კბილესი კალმახი სცხოვრობს. ჰავა ამ ოთხ თვეში ზომიერია: სიცივე არ იცის, გვალვა კი ნაკლები მოვლენაა. სვანეთში ნიადაგი მიწისა ბევრგვარია და საზოგადოდ კი ნოყიერი.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ სვანმა მისს წარსულზედ ბევრი არაფერი არ იცის მეთქი. მართალია, დარჩენილან აქომამდე რამდენიმე გადმოცემანი, მაგრამ ესენი უფრო ახლო-მახლო დროს შეეხებიან, ვიდრე ძველსა. ხალხს კარგად ახსოვს თამარ მეფე. ერთ ლექსში იგი იხსენიებს თამარ დედოფალს:

„თამარ დედოფალ თამარე! თამარ დედოფალ თამარავ!  
თხუმას ჯაგან ზუჩიო! თავსა გედგა ზუჩიო!  
რაშილდს ხასგურ თამარე! რაშზედ იჯექ თამარავ!  
ჰუნგირ ჯიგან ლუშკადი, უნაგირი მოჭედილი გედგა!  
ჰალვირ ჯისდან ლუკვები? აღვირიცა კოპებიანი გედო!  
ქომარ ჯასდან ლუკვები? ქომებიცა ოქროსანი გეცვა.  
და სხვა.

ეს ლექსი ძლიერ გავრცელებულია და ფერხულზედაც იმღერება, უმეტეს ნაწილად ქალები მღერიან.

სვანების წარსულსა და მათს ომიანობას, შორს რომ არ წავიდეთ, თვით კომკები გვიმტკიცებენ და გვეუბნებიან, რომ ძველად იგინი ძლიერ მეომარი ხალხი ყოფილა... არ არის სახლი, მას რომ კომკი არ ჰქონდეს მიდგმული. ეს კომკები, სწორეთა სთქვას კაცმა სამაგალითო არხიტექტურულის გემოთი არიან აგებულნი: მაღალი, სწორი, მაგარი და თეთრად შელესილი კომკი იქაურობას ამშვენებს. ეს კომკები აგებულია მე-13 საუკუნეში, როდესაც მთელი საქართველო აწინილ-დაწინილი იყო და ყველა თავისაკენ იწევდა. სვანეთიც მაშინ განზე გადგა და თავისი საკუთარი გამგეობა გაიჩინა, რასაკვირველია, არამტკიცე და დროებითი. მასაც მისი მტერი ჰყავდა: სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სხვა. ყველას უნდოდა, რომ სვანეთი დაემორჩილებინა და მით ძლიერ ასაბია მოენახა, მაგრამ სვანეთის დაპყრობა ისე ადვილი არ იყო. „ერთობილნი სვანნი“, როგორც თვითონ იხსენიებენ წიგნებში (წარწერები საღმრთო წერილის წიგნებზედ), პირიქით აბეგრებდნენ მათ და საქმეს უჭირებდნენ. უფრო მძლავრი იქნებოდა სვანეთი, რომ მას შინაური ომი არა ჰქონოდა: სოფელი სოფელს ემტერებოდა, საზოგადოება – საზოგადოებას, სადადეშქელიანო სვანეთი თავისუფალ სვანეთს და მეზობელი მეზობელს. აი ამისთანა დრომ გამოიწვია კომკების აგება. ეს დრო იყო

სწორედ არეულობის დრო: ერთმანეთის შიშით კაცი გარეთ ველარ გამოდიოდა, გახშირდა კაცის კვლა, სახლის გატეხა, ერთმანეთის დაჭერა, გაყიდვა ტყვეებისა და სხვა უბედურობა. იმ დროში სახლის გატეხა და იქიდან ქონების გამოტანა, ან კაცის დაჭერა სასახელოდ მიაჩნდათ; მას ეძახდნენ „(ლი) მაჰხვალს“ (მახვილი). კაცს რომ დაიჭერდნენ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მას მისი ჭირისუფალნი გამოისყიდდნენ. მართლაც ამისთანა შემთხვევისათვის დადებული იყო ეგრეთწოდებული „ტყვემიშ“ (ტყვის დასახსნელი), რომელიც ზოგან 24 მანეთს უდრიდა და ზოგან კი მეტს და რომლის მიცემის შემდეგაც ტყვეს გაათავისუფლებდნენ. იყო მაგალითად, რომ ჭირისუფალი არ ჰყავდათ, ან ძლიერ სუსტი – ტყვეს გაჰყიდდნენ ან სვანეთშივე, ან ჩრდილოეთ კავკასიაში (მაჰმადიანებში). ფასის მიღება კი ერთმანეთში მორიგეობით იყო. მართლაც ამგვარად ბევრი წევრი მოაკლდა მართლ-მადიდებელს ეკლესიას და ისლამიზმს მიეკვდლა.

ისიც ხდებოდა, რომ თუ ტყვე შეძლებული თემისა იყო, შიშის გამო „ტყვემიშს“ ვერ ახდევინებდნენ და ისე ათავისუფლებდნენ. დატყვევებას, სახლის გატეხვას და კვლას, რასაკვირველია, სამაგიერო მოჰყვებოდა – სისხლს იღებდნენ. ამგვარად სისხლის აღებამ (ლიწვრი) ღრმად გაიდგა ფესვი, გამძლავრდა. ეს სენი იმდენად იყო გამჯდარი ძვალ-რბილში სვანთა შორის, რომ ეხლაც არ არის მისუსტებული სრულიად. ამ ჩხუბს და უსიამოვნებას მორიგეობაც მოჰყვებოდა ხოლმე, აი აქ მოქმედებდა სვანთ იურიდიული მხარე, მართლმსაჯულება – ეგრეთწოდებულნი მედიატორენი (მორვალ), ორი, ან სამი კაცი (მისდა მიხედვით თუ როგორი საძნელო საქმე იყო გასარიგებელი), იკისრებდა მოციქულობას (მეცქვილარ) მხარეთა შორის, რომ საქმე მორიგეობით გაეთავებინათ. აქ, რასაკვირველია, მოციქულებს ბევრი ხვენწა-მუდარება სჭირდებოდათ, მხარეების ყაბულს მოყვანისათვის: ერთი მისას ამბობდა, მეორე მისას გაიძახოდა. ბოლოს დაიყაბულებდნენ მედიატორების გამოსარჩევად: ყველა თავისთვის ირჩევდა მედიატორეს ორ-ორს, სამ-სამს, ან მეტს, ერთიც თავმჯდომარესავით საერთო უნდა ყოფილიყო გამორჩეული. ირჩევდნენ იმისთანებს (ხშირად ნათესავებს), რომლებთანაც კარგი განწყობილნი იყვნენ და რომლებზედაც იმედი ჰქონდათ. ხშირად მოხდებოდა, რომ მხარეები ვერ შეთანხმდებოდნენ მედიატორების გამორჩევაზედ, ე.ი. ერთი რომ რომელიმეს დაასახელებდა, იმას მეორე იწუნებდა: იგი მე მემტე-

რებაო, ან უსამართლოაო, ან ხატი არა სწამსო და სხვა. ამ შემთხვევაში თვით მოციქულები არჩევდნენ მოსმართლებს. მედიატორები შეიკრიბებოდნენ და მხარეებს დააფიცებდნენ, რათა ყოველივე სიმართლით ეჩვენებინათ და მათს განჩინებაზედ ყაბულს გამხდარიყვნენ. აფიცებდნენ ცხოველსა (უცხვ) და მძლავრს ხატზედ. შემდეგ გაუმასპინძლებოდნენ ორივე მხარე რიგ-რიგად. აქ მოსახლე სცდილობდა ჯეროვანი პატივისცემა მიეცა მსაჯულებისათვის, ჭამის დროს, მანამდისაც მხარეები ამბობდნენ „სარჩელს“ (სარჩივარი), დანვრილებით თავიდგან თუ რაიმე ახსოვდათ, ლაპარაკობდა უმეტეს ნაწილად მჭევრმეტყველი, რომელიც სვანს ძლიერ მოსწონს. ხარჯის გათავების შემდეგ მედიატორენი დასხდებოდნენ სადმე განცალკევებით და ჰქონდათ სჯა-ბაასი საქმეზედ. მსაჯულები ერთმანეთს რომ ვერ შეეთანხმებოდნენ, ხშირად სჯა ორ სამ დღეს გასტანდა, ხშირად სულაც დაიშლებოდნენ. თუკი მორიგდებობდნენ ზეპირ განაჩენს დაადგენდნენ და მიწაში ნიშნად სიმაგრისა, ქვას დაუსობდნენ, რათა შემდეგში არავის გადაეფიცა. საქმის დასრულებას მხარეებს შეატყობინებდნენ. ესენი თავის დასაჯერებლად ხშირად ფიცში შეიყვანდნენ ხოლმე მსაჯულებს, რომ საქმე მიკერძებით არ ყოფილიყო გარჩეული. ამ შემთხვევაში მხარეებს (რომელიც აფიცებდა) უნდა მიეცათ თითო მსაჯულისთვის ორ-ორი მანეთი (ზოგან სამ-სამი), შემდეგ აცხადებდნენ განჩინებას (ნამოროვ), აცხადებდა უკეთესი მოლაპარაკე.

თუ კაცის მოკვლის საქმეს ასამართლებდნენ, იმ შემთხვევაში მსაჯულნი ეგრეთწოდებულს „წორს“ (სისხლის ფასი) უწყვეტდნენ; „წორი“ ორთა შუა რიცხვით უდრის 1500 მანეთს, მაგრამ განირჩეოდა გლეხის „წორი“ აზნაურის „წორისაგან“, რომელიც პირველზედ თითქმის ორჯერ მეტი იყო. ხშირად გლეხების საქმეში მოსამართლედ აზნაურნიც ერივნენ. ამ შემთხვევაში ერთი აზნაური უდრიდა ორ გლეხს და მის მაგიერ მეორეს მხარეს ნება ჰქონდა ორი გლეხი გამოერჩია მოსამართლედ. აქ კი გამოსჩანს აზნაურის უპირატესობა გლეხთან. ცოლ-ქმრებისაგან, ან დანიშნულებისაგან ერთმანეთის მიტოვება თითქმის სისხლის სამართლის საქმესავით ძნელად მიდიოდა და მორიგების შემდეგ მოსამართლენი სწყვეტდნენ ეგრეთწოდებულს „ნაცვრიელს“ (დატოვების მაგიერი), რომელიც 500-600 მანეთამდე ადიოდა.

გასამართლების შემდეგ განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ უმე-

ტეს ნაწილად მოციქულებს. მოკლულის ჭირისუფალნი ან დატოვე-  
ბული ცოლისაგან, გინა ქმრისაგან, მიჰყავდათ დამნაშავეის სახლში,  
რომელიც გარდა გადანყევტილისა, ასაჩუქრებდა სათითოულოდ  
ყველას. შემდეგ მისვლა-მოსვლა ისევ ხშირდებოდა მათ შორის,  
მაგრამ რომ დაჰკვირვებოდით, ეს კავშირი ვერ იყო გულწრფელი.  
გულწრფელობა მჟღავნდებოდა მეტადრე მოზარდ თაობასთან,  
რომელიც არ ივინყებდა სისხლს და სულ იმას ფიქრობდა, რომ სის-  
ხლი აელო. მას ყველგან, შინ და გარეთ, ჭირში და ლხინში სულ ამის  
ამბავი ესმოდა და გული ბრაზით ევსებოდა. რაც უნდა ბუნებით კე-  
თილი ყოფილიყო სვანი, მას საზოგადოება, სადაც იგი სცხოვრობ-  
და, ისე გადააკეთებდა, გამოზრდიდა, რომ დანაშაულობის ჩადენა  
აქ ჩვეულებრივი საქმე იყო, სისხლი უთუოდ უნდა გადახდილიყო.  
ყველა მიხვდება, რომ ამ გვარს პირობებში სისხლის აღება არამც  
თუ ვერ მოისპობოდა, არამედ გამძლავრდებოდა. აშკარაა აგრეთვე,  
რომ ამ შემთხვევაში, იურიდიულად რომ გავშინჯოთ, თვითონ კა-  
ცის მკვლეელი კი არ იყო დამნაშავე, არამედ მთელი საზოგადოება;  
ის მხოლოდ იარაღი იყო. ხშირად სისხლის აღება 30-60 წლის შემ-  
დეგ, ან კიდევ გვიან მოხდებოდა შვილებისაგან, შვილიშვილებისა-  
გან, თუნდაც რომ შერიგებულნი ყოფილიყვნენ. აქ მკითხველს ეჭვი  
დაეზადება, რომ, მაშასადამე, სვანს ფიცი არ სწამებიათ. არა, სვანს  
წინეთ ფიცი ძლიერ სწამდა, მაგრამ ვიმეორებთ, რომ აქ ფიცის გა-  
ტეხვა არ გამოდიოდა, რადგან თვით მთელი საზოგადოება ჩადიოდა  
დანაშაულობას. გარდა ამისა, რადგან მკვლელობას მეორე მკვლე-  
ლობა ხშირად გვიან მოჰყვებოდა ხოლმე, იმიტომ ფიცი, როგორც  
ამბობდნენ, გარეცხილი ჰქონდათ და ახალზედ აღარ მოქმედებდა.

ფიცი სვანეთში ორგვარი არსებობდა: ერთი უბრალო ფიცი, რო-  
მელსაც სვანები „ლინბანალს“ ანუ „ნაბანს“ ეძახიან. ეს სიტყვა წარ-  
მოსდგება უთუოდ ნაბანისაგან, რადგან ძველად დაფიცების დროს  
ხშირად ხატის ნაბანსაც ასმევდნენ ხოლმე.

მეორე უფრო მაგარი ფიცი არის ეგრეთწოდებული „გარცამ“  
წარმომდგარია გარდაცემისაგან, რადგან ესე გვარი ფიცის მიღება,  
თითქმის გადაცემისა ჰგავს. ფიცი გარცამი ასე ხდებოდა: შევიდოდ-  
ნენ ეკლესიაში, ან ხატს გარეთ გამოიტანდნენ, დააყენებდნენ ერთად  
დასაფიცებლებს, წინ დაუდგებოდა დამფიცებელი (ვინც აფიცებდა),  
დაინყებდა ფიცის სიტყვებს თუ რა საგანზე აფიცებდა, და შემდეგ

ნიშნად თანხმობისა, დაფიცებულნი გაივლიდნენ ჯოხს ქვეშ, რომლის თავზედ ხატი ესვენა.

აი მაგალითი ფიცის სიტყვებისა: მაღალო ღმერთო! ყოველივე შემოქმედი შენა ხარ! ეხლა შენ გფიცულობს ეს კაცი; შენ თუ გაგტეხოს, ან გულში გადაასხვავფეროს, – ციდან წვიმა და თოვლი მოდის; მიწიდან მოლი და ჯეჯილი ამოდის; წყალს ქვა მოაქვს, დიდი წყალი ქვიშას იდებს შენმა გამტეხმა ამდენი თეთრი ხარი და ცხვარი გიძღვნას, მაღალო ღმერთო, მაინც ამის ამოუნყვეტელად ნუ დადგები! სააქაოს სიცოცხლე მოუსპე; ცუდი სენი შეჰყარე! მოკვდეს და სააქიოს ცხოვნებას ნუ აღირსებ! ქრისტესთანა წილი ნუ ექნების! ფისის ტბაში ჩააგდე! დღეს მე ამ კაცს ვაფიცებ და არ გაიტანოს, – ასე უქენი! ქრისტემ რომ მისი მოციქულები თან იახლოს და ღვთისმშობელმა სეფისკვერი თან მიიღოს, – ამ ფიცის გამტეხის ამოუნყვეტლად ნუ დადგები! ამინ!

შინ რომ ერთმანეთში ეჩხუბებოდნენ სვანები, იმ დროს, თუ საჭიროება მოითხოვდა, საზოგადო მტერსაც საერთო ძალით იგერიებდნენ. მათს ომიანობას კერძო და ძალმომრევი ხასიათი ჰქონდა უმეტეს ნაწილად. ყოველ საზოგადოებას ჰყავდა თავისი მამასახლისი, რომელიც ომიანობის დროს სარდლობდა (ლაშქრის მუჟედვ) და გულზე ეკიდა ოქროს ხატი „სალშქარ“. ხშირად მხოლოდ ერთი სოფელი, ან საზოგადოება გაილაშქრებდა ვისმეზედ; ამ შემთხვევაში მას უფრო კერძო ხასიათი ჰქონდა. შესანიშნავი იყო ის ომი, რომელსაც მთელი სვანეთი იწყებდა. შეიკრიბებოდნენ „ერთობილნი სვანნი“ სადმე საშუალო ალაგას (ხშირად სოფ. მესტიასა და მულახში) და საერთო ხმით გადასწყვეტავდნენ ომსა, თუ სხვა რასმეს. ამ შეკრებილებას სვანები ეძახდნენ „სვიმრას“ და ცოტათი თუ ბევრად ანარხიული ხასიათი ჰქონდა. აქ წინამძღოლად ნიშნავდნენ უფრო განთქმულს მამასახლისთაგანს, აძლევენ „სალშქარს“ და ერთი აზრით გამსჭვალულნი ზარსა სცემდნენ მტერსა.

სვანები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი მტერზე გალაშქრებულთ „სალაშქრითურთ“ ვერავინ ვერ სძლევს. მართლაც, ამ იმედებით გამსჭვალულნი სვანნი მონინააღმდეგეს არ გაახარებდნენ ხოლმე. ყველაზე უფრო მძლავრნი საზოგადოებანი ყოფილან: მულახი და უშგული, შემდეგ მესტია, ლატალი და იფარი. აი მოხუცებულების ნაამბობი: მაშინ კიდევ მშვილდ-ისარი ყოფილა ხმარებაში, აფხაზეთის და ყაბარდოს ჯარი შემოსევია ტვიბერის გზით მულახ-

მუჟალს და დაბარგებულან მალლობზედ, ს. ჟაბეშის მთავარანგელოზის ეკლესიის ახლოს ვაკეში. ომი გამწვავებულა, მაგრამ მტერს სვანებისაგან ნასროლი ისრებითაც უსარგებლია და წინააღმდეგობა გაუწევია. ამიტომ მულახ-მუჟალელებს ისრები დაუმოკლებიათ და მტერს ველარ გამოუყენებია ისინი. იგი უკუქცეულა. შემდეგ კიდევ ერთი ხერხი უხმარიათ სვანებს: წისქვილის დოლაბები აუტანიათ მალლა, შიგ გაუყრიათ გრძელი ხეები, დაუგორებიათ და მტერი გაუჟლეტიათ. სიმღერაში ურევია: „ტვიბერიშე წერაქვს კულარ ხონიბდახ ზისხიშე“! (ტვიბერში) სადაც ომი მოხდა (ბალახს სისხლის წვეთები ეკიდა!).

სვანებისგან ქუთაისის გადანვის შესახებ მოხუცებულნი ეხლაც გვიამბობენ შემდეგს: თავისუფალი სვანეთი მულახის მეთაურის წინამძღოლობით ქუთაისისკენ გაემართა. მთავრეხილის ლატფარის ტყის თავში გზის განაპირას სვანებმა სათითაოდ კაჟის ქვა დასდვეს. ქუთაისის გადანვის შემდეგ ისინი ხონით დაბრუნდნენ, მაგრამ ბომბუას ხიდი ჩაუვარდათ; ერთი ნაწილი მათი ხის იქით იმერეთისკენ დარჩენილა, სხები ისევ სვანეთში გამგზავრებულან და ხსენებულს ქვის ხროვასთან მოშორებით მათაც დაუყრიათ ქვები, მაგრამ ეს ნაკლები გამოსულან პირვანდელზედ. ამეებს მართლაც შეამჩნევთ ხსენებულ ალაგას. ვინც ბომბუას ხიდზედ ვერ გამოსულა, ის იმერეთში დარჩენილა და ახლაც ამიტომ შევხვდებით იქ ახლომახლო სოფლებში შემდეგ სვანურ გვარებს: ჟორჟოლიანს, იოსელიანს, ჯაფარიძეს, დევიდარიანს, კახიანს, რატიანს, და სხვა.

მულახელებს ჰყოლიათ დაბეგრული შემდეგი სოფლები სვანეთშივე: მუჟალი, ორი ხარით, წვირმი, იფარი, ადიში, ელი, კალა, რომლებსაც გარდა ბეგარისა, საომრად წასვლის დროს ხარჯი უნდა ეჭმიათ; ლელტეხი, უშგული და სხვა. ერთს დროს ს. ლენტეხის, ელისა და უშგულის ბეგარა მულახელებს ლატალელებისათვის მიუციათ მტრის წინააღმდეგ მოხმარებისათვის. სოფლები: ცაგერი, გვესო, ჩხუტელი და ლუხვანოც დაბეგრული ჰყოლიათ მულახელებს თეთრი ხარით; გარდა ამისა მოსახლის თავზედ უნდა მიეცათ თითო რკინეულობა და თითო ნემსი. უშგულელებმა და მულახელებმა სხვადასხვა დროს ააოხრეს და დაბეგრეს რაჭის შემდეგი სოფლები: ქიორა, ღები, გლოლა, და სხვები აი ერთი ლექსიც:

1. უშგულის ხევი დაიდრა
2. ეცერს კაცი გაუგზავნა..

3. სულა სვანეთის თავია –
4. ფუთა დადიშქელიანია...
5. იყარა დიდი ჯარია
6. შეიქმნა დიდი ჯარია!..
7. ეს ეცერი დაუშგული
8. წინამძღვარია ფუთა დადიშქელიანი.
9. პეტრე-პავლობის დღე დილას
10. ცხენები შევიკაზმენითა.
11. გადასმა ტურფა დაიწყო;
12. ვერ მოშორდება თვალია
13. ეხლა შენცა...
14. რომ გადავიარეთ
15. თავრეზ კარგი სოფელია...
16. ზედ გოუარე კარია
17. ნებელმა ხიდი გვამაგრა,
18. „სვანებო თქვენი ჭირიმე!
19. გვემართოს შენი ბეგარა“.
20. ხვამლის თავზე გაგვიწია;
21. რქა თეთრი ნიშა ხარია...
22. დედა ღვთისას შევანროთ!
23. რქამოღუნული ვერძია.
24. მაცხოვარსა შევანროთ!..
25. ჭიხორისა ჭალას,
26. ცერისოდენა ღელას
27. მეფე მიყავდა პირაღმა!..
28. ჭიორი კარგი სოფელია...
29. ზედა დარბაზით შევედი;
30. ჭიორი გაუტეხელი
31. გვემართოს შენი ბეგარა
32. ერთი ოსური ცხვარია...

გმირს ფუთა დადიშქელიანს, რომლის წინამძღოლობითაც მიდინან რაჭაში და რომლის გაძლიერების შიში ჰქონდათ, მით უფრო, რომ დადეშქელიანებს ყოველთვის თან სდევდათ აზრი თავისუფალი სვანეთის დაჭერისა – უშგულელები შემდეგომში ჰკლავენ. ცოტ-ცოტა წამალი ყველას მოუგროვებია და მითი თოფი გაუტენიათ, მერმე ფოთის ჩახმახისათვის მოუბიათ თოფი, რომლისთვისაც ყველას

ხელი მოუკიდნია. შემდეგ ნიშანში ამოულიათ და გაუნევიათ; თოფი გავარდნილა და მოქეიფე ფუთა მოუკლავთ. ამგვარად იმიტომ მოქცეულან, რათა მოკვლა მარტო ერთს არ დასდებოდა, არამედ მთელს სოფელსა. მაგრამ არც დადებულნიანებმა შეარჩინეს. ამათ გაიტყუეს უკეთეს-უკეთესი კაცები ეცერისაკენ და დახოცეს.

ერთხელ ვინმე გელოვანის წინამძღოლობით ჯარი შემოსევია ს. ჩოლურს. თ. გარდაფხაძეებს მულახელებისათვის უთხოვნიათ შემნობა და ამათაც თხოვნა შეუსრულებიათ. მულახელების ჯარის უფროსს ხმელი ცერცი მოეყრევინებინა რიყეზედ და ბერ გელოვანის ჯარის შესამჩნევად უბრძანებია მისი ჯარისათვის ეკენკა ცერცი და ეჭამა. ერისთავმა და მისმა ჯარმა რომ დაინახა ესა, ეგონათ სვანები რიყის ქვას სჭამენო, შეშინდნენ და უკუიქცნენ.

სვანეთს დასავლეთ-სამხრეთიდან აკრავს სამეგრელო-სამურზაყანო, ჩრდილოეთით ყაბარდო (ყეგემი, ბახსანი) და ქაშაგი (ჩრდილოეთ-კავკასია), აღმოსავლეთ-სამხრეთით – რაჭა-ლეჩხუმი.

ზამთრობით სვანი, როდესაც მას სახლში არავითარი სამუშევარი არ აქვს რა, მიდის რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთ-სამეგრელოსკენ და იქ დღიური მუშაობით შოულობს ორიოდე გროშს, რომლითაც ისტუმრებს სახელმწიფო ბეგარას. (სვანი ამას ფოშტის ფულს ეძახის) და ოჯახის მოთხოვნილებებსაც ოდნავ აკმაყოფილებს. ამ ადგილებში სვანი უფრო მიწის მუშაობას მისდევს: გაჰყავს არხები, თხრილები, აშენებს ყორეებს, სჭრის ხეს, სიმინდს და სხვასა. სვანი თითქმის მუდამ ჩივის ხოლმე „აღების“ (ასე ეძახიან იმას, ვისთანაც მუშაობს) უსამართლობა-გაიძვერობაზედ. ბევრი მათგანი ოფლით ნაშრომს არ აძლევს დაუკარგავს. მაგრამ სვანი იმგვარია, რომ შენი არაფერი უნდა რა და თუ მისას ნაართმევ, გაშმაგდება და იცოდე არ შეგარჩენს. ამიტომ ის არც თავის უსამართლო აღას შეარჩენს ნაოფლარს, თუ კარგი სიტყვით ვერ გაანყო რამე (საჩივრით კი რა უნდა მოუხერხოს?), მერე ჩხუბზედ მიდგება: შეიკრიბებიან ხოლმე ერთად და ერთ ალიაქოთს ასტეხენ. დაშინებული ალა იძულებული ხდება დააკმაყოფილოს სვანი. თუ ამითაც ვერაფერი მოახერხა, მერე ღამით შეიპარება სახლში, ორ იმდენს გამოიტანს და გაუყენებს შინისაკენ. თუმცაღა ბევრჯერ ამგვარი საქციელი არ შერჩებათ სვანებს მართლმსაჯულებისაგან, მაგრამ ის მაინც ამას არ დაეძებს, რადგან დარწმუნებულია თავის სიმართლეში. თან უკვირს, რატომ იგივე მართლმსაჯულება მისთვისაც არ მართლმსაჯულებს!..

სვანეთს ჩრდილოეთით ჰფარავს კავკასიონის უმთავრესი ქედი, რომელიც იმ ადგილას უდიდესს სიმაღლემდის მიდის (ადგილობრივ ოთხ ვერსზედ მეტი). ამ ქედს გადაღმა სცხოვრობენ მაჰმადის სარწმუნოების ხალხი, რომელთა სახელებია: ყაბარდოელები, რომელნიც მდინარე ყუბანის სათავეებში არიან დასახლებულნი; ურუსბიები – ბახსანში, ჟეგემდები – ჟეგემში, ბიზინგები და ბალყარები. ყველა ამ საზოგადოებათაგანში სვანეთიდგან მიდის გზა ყინულით უმთავრეს ქედზედ. აი, ამ ხალხს უფრო ეტანება სვანი ზაფხულობით. იქ სვანს მიაქვს მსხლის ჩირი, რომელსაც სვანები „ლუფხველე“-ს ანუ „ლუბადეს“ ეძახიან, ლამაზად დანული ხის კალათები, რომელიც იმ ქვეყანაში ძვირია და სხვა. ამეებს სვანი სცვლის ადგილობრივს ნაწარმზედ: მატყლზედ, საფენ და მოსასხამ ნაბადზედ, რომელიც აქ ნაქებარია, თხა-ცხვარზედ და სხვაზედ. გარდა ამისა, სვანი ურიგდება მაჰმადიანებს დღიურად, ანუ თვიურად და ეხმარება თიბვაში. ქირად ღებულობს საქონელს: ხარსა, ცხვარსა და ცხენსა. ეს არის მიზეზი იმისა, რომ სვანმა თათრული (იქაური ენა განირჩევა ნამდვილი თათრულისაგან) ზედმიწევნით იცის. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ სვანი ზოგჯერ ორ-სამ წლობით აძლევს მაჰმადიანს თავისს 13-18 წლის ვაჟს მოჯამაგირედ. პატარა სვანი ზედმიწევნით სწავლობს თათრულსა, ეჩვევა იქაურს ზნე-ჩვეულებებსა და სულ იცვლება. როდესაც თავისს სამშობლოში დაბრუნდება, ის სულ უცნობი ხდება; ამჰარტავნობს თათრული ენის ცოდნით, ყბედობს, აქებს „ნაფრაზს“ და ეკლესიაზედაც აცრუებული აქვს გული. ის არც ქრისტიანთა რიცხვში ურევია არც მაჰმადიანებში და ამგვარ ადამიანისაგან კი სიკეთე არა გამოვა რა – ცუდის მეტი. უფრო სამწუხარო ის არის, რომ რამდენიმე სვანთაგანი მთლად მოწყდა მართლმადიდებელს ეკლესიას, მაჰმადიანობა მიიღო და მუდამ იქა სცხოვრობს (16-18 კაცამდე).

წინეთ, როგორც რუსის მთავრობის დამკვიდრებამდე, ისე შემდეგაც, სვანები და მაჰმადიანები თითქმის მუდამ ომოდნენ ერთმანეთში და მტრულად უცქეროდნენ ერთმანეთს. საქმე იმაშია, რომ ძველი სვანეთის საზღვარი უწევდა ჩრდილოეთისაკენ. კავკასიონს ქედს გადაღმა და მდინარე თერგისა და ყუბანის სათავეებში მდებარე ადგილებს, რომლებიც ეხლა მთიულ მაჰმადიანებს უჭირავთ, სვანები თავის საკუთრებად რიცხავდნენ. ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ იმისთანა საბუთები, რომლების სიმართლემიც ეჭვი არ არის.

ჩრდილოეთ კავკასიაში სვანები უჩვენებენ კომპებს ერთგვარის აგებულებისა თავიანთს კომპებთან და ამტკიცებენ, რომ ეს კომპები აგებულია მათი წინაპრებისაგან, რომელთაც ეკუთვნოდათ ეს ადგილები და ქრისტიანული სასაფლაოები მათზე. უჩვენებენ აგრეთვე ეკლესიების ნანგრევებს. ამ ადგილებსა ჰქვიათ სვანური სახელი, მაგალითად „სგიმარ“, რაიცა ნიშნავს მადნეულს წყლებს (თავის მიდამოებითურთ).

მართლაც ხსენებულს ადგილებში არის მადნეული წყლები. გარდა ამისა, სვანები ამ ადგილების ბაჟს თითქმის ყოველწლივ იღებდნენ მაჰმადიანებისაგან, მაგრამ რუსის მთავრობის დამყარების შემდეგ ეს თითქოს მოისპოო, და გიაურები ნებით აღარ იხდიდნენ დადგენილს ბეგარას. მიუხედავად ამისა, სვანები ძალით იღებდნენ თავისას. მაგალითად, სხვათა შორის 1858 წელს მულახ-მუჟალელებმა ჟეგემიდან მორეკეს ოთხი ათასი თხა-ცხვარი, ვირები, სამასამდე ცხენი, ხარი და ძროხა და თან რამდენიმე კაციც გამოაყოლეს. 1872 წ. კიდევ დაეცნენ და წაართვეს ურიცხვი ჯოგი. ეხლა, მართალია, სვანები ისე ამკარად ველარ ჰბედავენ თავდასხმას, მაგრამ მისს ბეგარას მაინც არ არჩენენ და ყოველწლიურად მოჰყავთ ნაპარავად საქონელი.

მაჰმადიანებმა სამაგიეროდ ეკლესიებს გაუნიეს მტრობა: აუარებელი ეკლესიები დააქციეს, შიგ მდებარე ძვირფასი ხატები და ნივთები წაალაგეს და შეურაცხყვეს... სვანებიც უწევდნენ მაგივრობას, მაგრამ სჯულსა და მათს „მჯგითებს“ ისინი არ ეხებოდნენ. სვანების პაპების სასიქადულოდ ჩაითვლება ის ამბავი, რომ მაჰმადიანობას არ გაამარჯვებინეს ქრისტიანობაზე და ხელი შეუშალეს სვანეთში მისს შემოსვლასა და გამეფებას, რასაც მაჰმადიანები ეგრე გულმოდგინედ სცდილობდნენ...აი ზოგიერთი მათგანი: სვანს თავი უძველეს ქრისტიანად მიაჩნია, თავისი ღმერთი კი უმაღლეს ღმერთად, რადგან მისი ღმერთი, როგორც თვითონ, ისე მაღლა სუფევს!: ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ იგი სხვა სარწმუნოების კაცს კარგის თვალით არ შეხედავს. სვანი სჯულის მხრივ თავის თავს წინ აყენებს იმერლებზე და მეგრელებზედაც.

სვანუ ენაზე თქვენ შეხვდებით ლექსებსა და მოთხრობებს, რომელნიც უფრო ვაჟკაცობას, ნადირობას, გაჭირვებასა და ომიანობას შეეხება. სიყვარულზეც სვანი ძვირად თუ მღერის. აი ზოგიერთი მათგანი:

1. ყანსავ ყიფიანე! ყანსავ ყიფიანო
  2. უმჩა, უდგარა! მოუხუცებელი და უკვდავი!
  3. ხოჩა ღვაჟარე, მარჯვე ბიჭები
  4. ბახას ხიშიაღედ! ნაბიჯზედ ომობდით!
  5. ბარჯას ჯასდანდახ მხრებზე დაგედოთ
  6. ნამცა თოფარე, ნამცა თოფები, –
  7. დუთხე პილარე თხელპირიანები
  8. ხოლა ღვაჟარე ცუდი ბიჭები
  9. ტვიბას ზუსდანდახ ლელემ ეყარენით!
- და სხვა...

ყანსავ ყიფიანი არის ძველი დროის გმირი. მისი გვარი სოფ. წვირ-მიში ცხოვრობდა (ახლაც). ამ სიმღერაში დახასიათებულია ყველა სა-ზოგადოება თავისუფალი სვანისა ს. ლატალიდან დანყობილი ვიდრე ს. უმგულამდე.

### **ყურმა**

ოი, ჩემო ყურმა ყურშაო!  
 ყურმას ყეფილი – ცისა ქუხილი!  
 ყურმას ნახტომი – დიდი მინდორი!  
 ყურმას ტოტები – კალოს ოდენი.  
 ყურმას საბმელი – ოქროს ეჟვანი.  
 ყურმას საჭმელი – პური ქაბაზი.  
 ყურმას სასმელი – ღვინო ბადაგი.  
 ყურმას ლოგინი – საბან-ბუმბული.  
 ოი, ჩემო ყურმა, ყურშაო  
 ყურშაო ჩემო ყურშაო!  
 ეს სიმღერა ფერხულზედ დიდად უწყობს...

### **ბუბა ქაქუჩელა**

(ეს სიმღერა გადაიღო ნოტებზედ ბ. ბალანჩივაძემ)  
 ბუბა ბუბა ქაქუჩელა! ბუბა ქაქუჩელა! ბიძია ქაქუჩელა,  
 ბუბას არყილ ხაკუჩელა! ბუბა ქაქუჩელა! ბიძიას არაყი უნდა ბიძა  
 ქაქუჩელა!  
 თვითომ კათხულდს ჩუ ლალთურედ ბუბა თვითომ კათხას კიდო  
 შესვამთ ბიძია ქაქუჩელა ქაქუჩელა

ეჯი გუჟი ხოჩა გვერა, ბუბა ქაქუჩელა. იგი გულსა მოგვიხდება ბუ-  
ბა ქაქუჩელა

ქრისტეს ზულვად ჩოთმაზურად, ბუბა ქრისტემ ზლვად გადღეგრ-  
ძელოთ ბუბა ქაქუჩელა ქაქუჩელა

ამეჩუნაშ მერდე მარე, ბუბა ქაქუჩელა. აქა მყოფნი ადამიანნი ბუ-  
ბა ქაქუჩელა.

### **ჰალაშ<sup>1</sup>**

(ს. ბეჩოში გაგონილი ბრმა სვანისაგან – ბაბდიშ კვიციანისაგან).

შენი იყავი ძალი შენი სანებისა ორქოლი სახელი: რევაზ, მარევაზ,  
ქარევაზ, ვენ-ქარევაზ, ვენ-პარევაზ, დავითნი ქარევაზ, ვინადირესა  
ელსა, მალსა მასკისაისა; გულსა ნაღმართი; დარარაისა შინა უთხა-  
რი – შეგაგდებო; ბრალთა კურკუმთა... ცხეკსა შინა, სარცხვილსა ში-  
ნა: მოვალ ჰალი ეშმაკი, მოვალ ზედა კაცთა შობიერი; ზედა მიჩუნ-  
ყრაც ჩემო ნავანკლავ ქრისტიანი... ართხვებისა თქვენისა ულოვან,  
უტოვან, თუ გან მე შენ გაიქარო. ელოგინი ქრისტე ჯვარი სანებია-  
ნი, მიქელ-მთავარ-ანგელოზიანი პირჯვარი მონორამი – ლაღადებს  
იურსალიმსა; ბღვირი, ფიჩირი, გარამჭაჭია, გარამფსალია, ოთხან  
მილოვან, მიტოვან, თუ გან მე შან გაიქარო!.. ფუ, ეშმაკ.

### **ჰალაშ** (მეორე გვარი, ბეჩოშივე გაგონილი)

ერევეზ, კერევეზ, ანგალოზ მინასანადირა, სანახენო ნათარებსა  
დოუდგურო; დილომითა დაგჭირთა, დაგჭირხავ ამისთანე ბოქმამში;  
ზურგიელი სახამიჩი, ისპარჩილო, თუ ასე ქაქარებულა! თუ ეშმაკ!..

### **ლუქნიაშ** (დასუნულისა)

წითელი გველი, ყვითელი გველი, შავი გველი; აყაყი, ბაყაყი, წინ-  
წილაი წილაკვისა... ეხისა, ფეხისა; ქრისტიანის ფეხისა; იშლი, მიშლი,  
ივერ-მირემ; ირემ-ფირემ ჯოხსა სალსა, წყალსა გამოდი! –

### **ნა – ირიშ** (ნადირის პირის შეკვრა)

ეკენია, ბეკენია; ბეკეს ხათი სანაფია; მაღადღად კარსა ჯიბურკე-  
ლი კინასა ოქსელადი ბულისა; ქრისტემ ჩაჰკარ, ჩამოჰკარი ნადირისა  
პირისა, უჰ!..

---

<sup>1</sup> ჰალ (ალი) – სვანების ფიქრით, მავნე სულია, რომელსაც შეუძლია კაცი შეც-  
ვალოს, უგრძნობელი გახადოს და კიდევ მოკლას, მეტადრე მთაზე მოგ ზაურობის  
დროს (შენიშვნა ეკუთვნის ი. მარგიანს – შემდგ.)

მეორე გვარი

ეკენია, ბეკენია; ბეკეს ხატი ზუსეტია... ერთო ღმერთო! ჩემო ყანი<sup>1</sup>  
ნადირს პირი ჟივხაკული ჟალი ოდა ჟამს.

**თვალცმი – იყო** (თვალცემულისა)

თვალცმიდიყო, ბოგიყო, ზონტიყო, ცანციყო ონსურეთსა, ომფურეთსა სიყრიგა... მეშხე ჟელარ ჯისულსუნებ<sup>2</sup>... ოსაფისა, დედანანილო, უჯურთელა, ნანკვეტილა... ფუ, ეშმაკ!..

(თვალნაკრავი ბავშვებისა და ავადმყოფ საქონლისა).

დედაო ჯარი, მარიამ ქალწული, ქარსაცია! რასოური, რასატირი, რასა ჯლილი? გაშდა შავი კლდე, შავი კაცი; ვილმა დაიჭკინე, დაღმა დეიშინე; უფლის ალა მისი სალა, ქათმისალა... შავი კაცი, შავი ქალი, ნითელი კაცი, ნითელი ქალი, მახარობელი, შორებელნი, გარეული, ეშმაკური; ფუ, ეშმაკს!..

**ნელკავიშ** (ს. მუჟალში ჩანერილი)

ათი ქუთური – ქუთური, ჩანგი სამი სოფელი; განი ერთი ასკილია შვიდისანია; ასიანთსა მევიდეს, ბასიანთსა მეფინეს ქაღებთა სიფიცხლითა, ვაჟებთა ციბილითა; მოვიდეს ბოლაბოზალი – მერცხალი, ერთსა მგელსა გვამ ხარსა უჰუ! ჰუ.

მეორე გვარი

არცხალი, მარცხალი, საი სამწვადი; გელი-მოგელი, გელი-ბურზელი! ტუჰ! (ყურში ჩაჰყვირებენ ავადმყოფ საქონელს).

**შელოცვა მუცელ-კეთილისა** (ს. მუჟალში ჩანერილი).

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა, ამინ ესე საშორნო წიგნი მოგეცით ჩვენ მოიყვარყვალიტ აზრუმელმან მიქელგაბრიელ მთავარანგელოზის მოწმობითა და თავსდადებობითა... არც შენ ჩვენგან და ჩვენის გვარისაგან არა გეშინოდეს და არც მოგიახლოთ შენ... ჩვენი სახელები ეს არიან: ათი, ათირმან, შათირმან,

<sup>1</sup> ჩვენ შეუცვლელადა ვწერთ; მართალია, ქართული სიტყვები ბევრგან დამახინჯებულია, მაგრამ გამოცნობაც არაა ძნელი...

<sup>2</sup> სვანური სიტყვებია ჩამატებული: შავი ძაღლები გისისინებენ. (შენიშვნები ეკუთვნის ი. მარგიანს. შემდგ.)

მოიყვარევალიტ აზრუმლისმან, ტყაოსანმამ, შიოსანმან და წითელო-სანმან; წითელო ხატო, უშველე წითლის მუცლისტკივილისაგან მონასა ამასა თქვენსა (სახელი და გვარი). ნიორი, ზღმარტლი და რთხმელის კუკური თალათინში, ან წმინდა ჩვარში გამოკერილი უნდა შეიბას ილლიის ქვეშ.

### **შაკიკის შელოცვა**

(ხელში რკინეულობა უჭირავთ და შუბლზედ უსობენ)

შაკიკისა მოჩვევისა სატეფავისა ბოლოსა; ისე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა... მოვიდა წმინდა გიორგი, იერუსალილიმში დანა ვიყიდე. – წითელ-ყვითელ ყვავილებსა, ფუა, ფუა, განქარდა! (გააფურთხებს შემლოცავი.)

### **ღიერის შელოცვა** (ს. მუჟალში გაგონილი).

(ღორის ქონსა და გოგირდს ერთად შეურევენ და აადულებენ; მერე მტკივანს ალაგას წაუსვამენ და ამბობენ.)

ოჰო, ღიერო, ღიერო, უსახლკარო და მშვიერო! ჭამალსა გიზამ წამალსა, უკუფხოსა და ნაქასა...დილას ადრე გეიპარე, მე ნულარ მკითხავ ქასვლასა. ხვარამს ძირი გაუნყდება, ძვარამს სიმი გაუჭყდება.

### **იავ ქალთი**

1. იავ ქალთი ბებუცია, სოფელ ქალთა შუშპარია;
2. შუშპარ ჩუბენ კიანია, ძიან ჩვენი ოყვარეო;
3. მოყვრის მოყვარენიაო, მოკლეს ხვარამზენიაო!
4. ელია და მელია, ეხლა რაჭა ჩვენიაო!
5. ვენახისა სთველია, ჩიტიც მოგვინველიაო!
6. კათხას ჩაგვინკეპნიაო, ქალაქს ჩაგვიგზავნიაო,
7. ქალაქელი დედლებიო ადიან და ჩადიანო;
8. ხუცის ცოლთან ჩადიანო
9. ხუცის ქალი თავს იბანდა, თანუშია წყალს უსხამდა.
10. ხუცის ცოლმა<sup>1</sup>..., ჯამ-ჭურჭელი დაამტვრია!
11. მეფეს ცხვირი მოუქცია, ციხეს თავი გადასტეხა!
12. თათრის ჯარი გააქცია<sup>2</sup>, გურიელი დააბრუნა!

<sup>1</sup> ავორისეული შენიშვნა: „უჯერო სიტყვაა ნახმარი“.

<sup>2</sup> ავტორისეული შენიშვნა: „ზოგან – დადიანი გააქცია. (შენიშვნები ეკუთვნის ი. მარგიანს. შემდგ.)“.

სვანეთში თქვენ შეხვდებით შემდეგ ნოდებათა: თავადებს (და-დეშქელიანი გელოვანი და გარდაფხაძე) აზნაურებს და გლეხებს. პირველს ორს ნოდების ხალხს სვანი ეძახის „ვარგ“-ს (ვარგისი). და-დეშქელიანს – დაჩქელანს, ან „ოთარშერს“; გარდაფხაძეებს - „გალ-ფხანარს“.

ზემო სვანეთი ორს ნაწილად განიყოფება: ზედა ხევად (ყებე ხევ), ანუ თავისუფალს სვანეთად, რომელსაც ბატონ-ყმობა არ გამოუც-დია, და ქვემო ხევად (ჩვაბე ხევ), ანუ სადადეშქელიანო სვანეთად, სა-დაც საბატონო გლეხები ცხოვრობენ.

თ. დადეშქელიანთ სვანეთში დიდი პატივისცემა აქვთ. ისინი სხვა ნოდებისაგან განირჩევიან: მათ, როგორც მეფეს, ისე უყურებენ მათ-ნი გლეხნი და ეძახიან „ფუსდს“ (პატრონი). საზოგადოებანი: ბერო, ეცერი და ცხუმარი ეხლა ყველა თ. თათარყანს დადეშქელიანს ეკუთ-ვნის.

საკმარისია წარმოიდგინოს კაცმა განსვენებულის თ. კონსტანტი-ნე (მურზაყან) დადეშქელიანის მაღალი, ზორბა ტანი, ფართო ბეჭები, ლომისებური ღონე და სიმარდე, დიდრონი არწივისებული თვალები, გრძელი ხუჭუჭა თმა, გოლიათისებრი მკლავები, დინჯი, ნელი საუბა-რი, მახვილი, ყურთათვის არაუსიამოვნო ხმა და გულ-უხვობა, რომ კაცმა შეადგინოს ტიპი თ. დადეშქელიანთ გვარისა. მოსაწონი აგებუ-ლება აქვთ თ. გელოვანებსა და გარდაფხაძეებსაც; ესენი სცხოვრო-ბენ: ს. ს. ლაშხეთსა და ჩოლურში. სვანი აზნაური ბევრათ არაფერით არ გამოირჩევა გლეხისაგან: ტანისამოსს იცვამს ცოტათ თუ ბევრათ მდიდრულად. გვარებია: იოსელიანი, დევდარიანი, ჩარკვიანი, ყიფია-ნი, ჯაფარიძე, ჟორჯოლიანი, გოშთელიანი და ქურდიანი.

სვანი აგებულებით ძლერ ჩამოგავს საქართველოს დანარჩენ მთი-ელ ხალხს: მომაღლო ზორბა ტანი, მსხვილი ბეჭები, მომსხო თავი, შავი თმა, მრგვალი პირსახე, დიდრონი შავი თვალები, საშუალო მომ-სხო ცხვირი, სქელი ტუჩები, საშუალო ყურები, მოკლე და მსხვილი კისერი, ძარღვიანი მსხვილი მკლავები, ზედ დიდრონი ულაზათო ხე-ლები, მსხვილი ულაზათო ფეხებივე, – ყველა ეს დაახლოებით გვიხა-თავს სვანის ტიპსა.

როგორც მთის კაცი, – სვანი ჯანმრთელი აგებულებისაა, და ამი-ტომ ფიზიკური ძალაც თან დასდევს, თუმცა-ლა ზანტია. სვანს იმო-დენა მძიმე ტვირთის გადატანა შეუძლია მთაზედ, რომ იმ სიმძიმე ტვირთს ბარათ ვერ წაიღებს სხვა კაცი, მაგ. იმერელი, ლეჩხუმელი.

უზომო ჯაფის გადატანა ადვილად შეუძლია სვანს, თუმცა-ღა იგი ბუნებით ზარმაცია. დედაკაცები, მართალია, იმდენი ძალით ვერ არიან აღჭურვილნი, როგორც მამაკაცი, მაგრამ ჯაფის გადატანა მათაც არანაკლებათ შეუძლიათ. იგი საოცარს დაუღლელობას იჩენს მუშაობის დროს...

სვანი ძლიერ შორს იხედება, მაგრამ ხშირად, მუდმივი კვამლი, მეტადრე გრძელს ზამთარში, ძლიერ ასუსტებს სვანის მხედველობასა. იგი იცნობს შემდეგს ფერულობას: თეთრს (თვეთნე), შავს (მეშხე), ყვითელს (ყვითელ), წითელს (წირნი), ლურჯს (ირჟი), რუხს (ფარვ) და სხვას. არჩევს აგრეთვე თავისფერს (შდუგვიმ ფერიმ). ხალხის უმეტესობას კარგი ყურთა სმენა აქვს, მოსწონს ჩვეულებრივი არა უღაზათო ლაპარაკი. უმრავლესობა ლაპარაკობს მსხვილი, ბოხი ხმით... საზოგადოთ სვანმა დინჯი ლაპარაკი იცის, მაგრამ არის განსხვავება: ზემო, თავისუფალს სვანეთში (ხევში) იციან ნელი საუბარი (ქართული ელემენტით), ხოლო ქვემო ხევში (სადადეშქელიანო სვანეთში) უფრო მოჩქარო (მეგრულის ელემენტით).

სვანმა სიარული იცის დინჯი და ნელი. უჯოხოთ სვანი არასად არ ნავა; თუ სდგას, ჯოხზედ არის დაყრდნობილი და ისე გესაუბრება... უფროსის წინ სვანი ცდილობს თავი დაიჭიროს ზრდილად. მოხუცებულს უპირატესობა აქვს სხვა ასაკთან შედარებით.

ახლა დავათვალიეროთ სვანის ოჯახი. – ზუგები, მთაგრეხილები, ქედები და ღელეები ჰყოფენ სვანეთს რამდენიმე ნაწილად, სადაც გამწკრივებულნი არიან ცალ-ცალკე საზოგადოებანი. სვანეთის სოფლებს აქვსთ თავისი განსაკუთრებული ხასიათი. ისინი უფრო ხშირად ფერდობზედ არიან გაჭიმულნი, – უმეტესი ნაწილი მთის კალთაზედ; ზოგი მათგანი არწივის ბუდესავითაა მიკოსებული მთის კალთაზედა და იქითგან გადაჰყურებს მღელვარე ცივს ენგურსა. თვითო სოფელში მოსახლე 3-30 უწევს. 6-8 სოფელი შეადგენს ერთს საზოგადოებას, რომელსაც მართავს მამასახლისი და რომელსაც საკუთარი სახელი აქვს. თავისუფალს სვანეთში არის სულ 11 საზოგადოება: 1. უშგულისა, 2. კალისა, 3. იფარისა, 4. მულახისა, 5. მესტიისა, 6. ლენჯარისა, 7. ლატალისა, 8. ბეჩოისა, 9. ეცერისა, 10. ფარისა<sup>1</sup> და 11. ჩუბეხევისა. ბევრს ალაგას შეხვედებით სახლების ნანგრევებს და მიტოვებულს

<sup>1</sup> ავტორისეული შენიშვნა: „ეს საზოგადოება ეკუთვნოდა თ. მურზაყან დადეშქელიანს, რომელსაც ჩამოერთვა. (შენიშვნა ეკუთვნის ი. მარგიანს – შემდგ.)“.

პატარა სოფლებს. ამ სოფლების დაცარიელება-განადგურებას სვანები მიაწერენ 1812 წლის „ჟამს“, რომელიც აქ სასტიკად მოქმედებდა და თურმე.

სვანი უმეტეს ნაწილად აშენებს ქვითკირის სახლსა; ოთხკუთხიანსა და ორ სართულიანსა. გარედან ჰფეთქავს კირით, ერთის შეხედვით სვანის სახლი ლამაზი გამოსჩანს და ამაყად გამოიციქირება. მასალად ხმარობს უფრო სიპს ქვას და ეს არის მიზეზი, რომ შენობა მალე ზიანდება და ინგრევა. სახლი ყველგან ყავრითაა გადახურული და ზედ ქვები ლურსმანის მაგივრობას უწევენ, გარდა ს. ს. კალა – უმგულისა, სადაც სახლებს ქვის ფიცრითა (ასპიდის ქვა) ხურავენ. სვანი აშენების დროს თითქმის არავითარს იარაღს არ ხმარობს, რომ ხელი შეუწყოს, გარდა „ქაფრისა“ შელესვის დროს. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია თუ რა არქიტექტურული, გემოთი იქნება აგებული სვანური სახლი. ზოგან კედელი შენეულია, ზოგან გამონეული, უსწორმასწორო და უმაგრო. პირველადა ჰყრიან საძირკველს, რომელსაც სვანები ეძახიან „ხუნს“. ზედ აჰყავთ კედლები. ერთი კაცი „ხელვან“ შიგნით მუშაობს, მეორე გარედან ადგია; სხვები უზიდავენ ქვა-კირსა და „ხალიკსა“ (ხვინჩკები). კარების ძირში უდებენ ქვის „ნაგერსა“, რომელსაც აქ ეძახიან „ლაგაგის“. სახლის სიმაღლე 6-8 არშინამდე უწევს, მხოლოდ ორ სართულადაა გაყოფილი. კედლებს რომ სამი არშინის სიმაღლემდე აიყვანებენ, დირეებსა სდებენ; დირეს სიგრძით 14-18 არშინია და მსხვილი. ქვეშ სვეტებს უყენებენ დირებზედ უსწორ-მასწოროდ დაპობილს ხეებს აფენენ და ზედ აყრიან მინას, რომელიც იატაკობას უწევთ. კედლების სიმაღლე რომ 6-7 არშინს მიაღწევს, მერმე მიჰყვებიან კუთხეებიდან და განის კედლებს თანდათან უმაღლებენ, თანდათან აწვრილებენ ისე, რომ ბოლოს კეხივით ამაღლებული რჩება; ზედ სდებენ დირეებს, დირებზედ კოჭებს, კოჭებზედ „ჭერებს“ და მერე ყავარს. ზემოთა ვთქვით, რომ სვანის სახლი უფრო ხშირად ორსართულიანი არისმეთქი. ქვედა სართული თავის მხრით განიყოფება რამოდენიმე ნაწილად. ამ განყოფილებებში შეგიყვანთ ერთი საზოგადო კარი: პირველად თქვენ გაივლით „ჰაგამს“, რომელიც წინა ოთახს მოგვაგონებს; აქ ინახავენ სხვადასხვა ავეჯეულობას, საიდანაც წარმოსდგება მისი სახელი (ჰაგამ) (ჰადგამი). მეორე სახელი ჰქვიათ „სანველ“ (სანოლი). ზოგიერთ სახლს ამისთანა განყოფილება ბარე ორი-სამი აქვს და თუ მიჩვეული არა ხარ, ისე მათი გავლა გაგიძნელებდა: არსაიდგან სინათლე არ მოსჩანს და წყვილიადი სიბნელეა. პირ-

ველს შესვლაზე გეგონება ქვესკნელში მივდივარო. მერმე შეხვალთ მოზრდო საჯალაბო ოთახში, რომლის შუაგულს ალაგას კერას დგას. გარშემო უდგია საჯდომი ავეჯები. შემდეგ ინყობა საქონლის დასაბამი განყოფილება, რომელიც ხისაა და თითო საქონლისათვის ცალკე თავის გამოსაყოფია გამოჭრილი. წინ საჭმლის დასაყრელი ბაგა აქვს, ისიც ფიცრული. ზევიდან გადახურულია ხით. ამ განყოფილებას ეძახიან „ისგუნტაბს“. ხმარებაშია სიტყვა „ბაგა“. ზედა სართული განიყოფება ორ ნაწილად: „დარბაზად“ და „გუბანდად“. დარბაზში ინახავენ თივასა და ბზეს, „გუბანდი“ დანიშნულია საზაფხულო სამყოფად. სვანის სახლი უმეტეს ნაწილად მინაშია ჩასმული ნახევრამდის და ძლიერ ბნელა, მხოლოდ ორი ჭუჭრუტანა გაძლევთ მცირე სინათლეს. ამ ჭუჭრუტანებზე, რომლებიც ფანჯრის მაგივრობას სწევენ, ჰკიდი პატარა კარები, რომლებსაც ღამე მიხურავენ. იციან შუა ცეცხლი და შეშაც ძლიერ ბევრი ეხარჯებათ. ზამთარში სვანის სახლი მაინდამაინც ბევრ სიცივეს არ უშვებს. თუმცა-ღა არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის რიგიანად იფარავდეს სიცივისაგან. ქარი თამამად ნავარდობს შიგ და ამის გამო ზამთრობით სვანეთში სახადით (გაცივებით) ავადმყოფობა გახშირებულია. ზაფხულობით სვანის სადგომში სიგრილეა, თითქმის მუდამ ზამთარ-ზაფხულ სვანის სახლი კვამლითაა გაბურული, რადგან კვამლის ერთი თავისუფალი გასავალი არააქვს. რომელ ჭუჭრუტანასაც არ უნდა მიადგეს, გარედან ქარი ეცემა და უკანვე შემოაბრუნებს ასე, რომ კვამლი იქვე ჩერდება. ამიტომაცაა, რომ თითქმის ყოველს სვანს (ზამთრობით უფრო) თვალების ანთება აწუხებს. ყოველს სახლს მიდგმული აქვს კომპი, რომელიც წინათ არეულობის დროს, სვანს სამსახურს უწევდა: შიგ შეაფარებდა ოჯახობას და თვითონ მალლიდან თოფსა და სხვა იარაღს ისვროდა. კომპის სიმაღლე 10-11 საჟენია; ის საუცხოო სილამაზითაა აგებული და მართლაც რომ მის აღმშენებელთ ხუროთმოძღვრული ხელოვნება გამოუჩენიათ. ყველა კომპი ოთხკუთხიანია და გარედან კირითაა შეფეთილი. საძირკველი საჟენნახევრამდე მაინც არის ჩასული მინაში. აქიდგანვე იწყება კრული (სვანურად კრუივ), რამდენიმე საჟენის სიმაღლეზე. მერმე განყოფილებანია. კომპი განიყოფება 4-5 სართულად, რომლების სიმაღლე თითო საჟენზედ მეტია. პირველს ოთხს სართულს ეძახიან „გუბანდს“ (შუა-გული ბანი) და ზედას, რომელიც უფრო დაბალია, „ჟიბე გუბანდს“ (ზედა გუბანდი). სართულიდან სართულამდი ავიყვანთ უხერხული ხის კიბეები. ყველა სართულს თავისი

საკუთარი პანია ფანჯარა აქვს – მოგრძო და ვიწრო. ზედა განყოფილების დანიშნულება იყო ის, რომ არეულობა-ჩხუბის დროს (მეზობლობაში უფრო) იქ შეიკრიბებოდნენ მეთოფურნი და „შდურვალე-ბიდან“ (ფანჯრებიდან) ნიშანში იღებდნენ მტერსა და ეომებოდნენ. დანარჩენ სართულების დანიშნულება ის იყო, რომ შიგ სხვადასხვა ბარგს ინახავდნენ და ოჯახობას შეხიზნავდნენ ჩხუბის დროს. ეს კოშკები აგონებენ სვანს წარსულ არევ-დარევის დრო, რომელსაც იგი ხშირად მოიგონებს ხოლმე და „ლაშვანს“ (სვანობა) ეძახის. წინათ რომ ეს კოშკები სვანისათვის სასიქადულონი იყვნენ და სიამაყით გამოიციქრებოდნენ, ეხლა დაჰკარგეს მათ ფასი სვანის თვალში; ის აღარ აქცევს მათ ყურადღებას და გეგონებათ რაღაც დარდი აწევთ გულზედ და ჩაღუნულნი გამოიხედებიანო. ამიტომაცაა, რომ ბევრი კოშკი უპატრონობით დაქცეულა, მაგრამ კიდევ რამდენიმე საუკუნე ნახავს მათ, თუმცა-ღა წარსულის სიამაყით კი ველარა...

სახლის ახლოს კალოა და კალოს რომელსამე მხარეს „ლაღჩა“ აგებული (ხის შენობა, რომელსაც წინა მხარე ღია აქვს) და შიგ ინახავენ ნამჯას გაღენჯამდე. ეზოში (ჰაზვი) აქა-იქ ხეხილებია (ჭკუტა მსხალი და ვაშლი) ჩამწკრივებული; გარს არტყია ქვის გალავანი 3 და 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> არშინის სიმაღლისა.

სახლში სახმარი საჯდომი ავეჯეულობაა: საკურცხვილ (კრესლო), სკამ (სკამი), ბანდარ (გრძელი სკამი), ლურგიმ (დივნის მსგავსი გრძელი საჯდომი), კვილ (მრგვალი ხის გადანაჭერი), ჰასკამ (საზურგეთი). ეს ნივთები შემომწკრივებულია კერიის გარშემო; კერიასა და დგამებს შუა ადგილს ეძახიან „ყველფს“ (ლეჩხუმშიც ხმარობდნენ ამ სიტყვას). ჭურჭლები: თვინგ (თუნგი), კარდალ (კარდალი), ცხვად ანუ ზამ (ქვაბი), ლაჰრაყია ცხვად (საარყე ქვაბი), ლულენ (დიდი ქვაბი, რომელშიც ერთი ან ორი ხარი მოიხარშავის ერთბაშად), სეგდა (რძის საწველი ჭურჭელი), ოხარ (წყლის ჭურჭელი – მხარზე გადაიკიდებდნენ), კიჟო (წყლის სასმელი ყურიანი), ღვებ (ღოფურა ლეჩხუმში), ბარქამ (გობი-სამეგრელოშიც ბარქამს ეძახიან), სტამან (კოკა – სტამანი სახარებაში), ფაკნი, ანუ ფაკან (სახარებაში პინაკი – ჯამი); ნამუშევარის სარწყავი: კარან ანუ საჩფუნ და კვიდოლ (კოდი).

სვანეთის სახლში თითქმის მუდმივი სინესტეა, უმეტესად ქვედა სართულში, რომელშიაც ცხოვრობენ ზამთარში პირუტყვებთან ერთად. მის ასაცდენად სვანი არაფერს არ ხმარობს, თუ შუა ცეცხლი არ უშველის. ცეცხლს სვანი ძვირად თუ დააქრობს სახლში. ის შეხ-

ვევს დაწოლისას ან დღისით მუშაობის დროს, ცეცხლს ნავარში და ამგვარად შეხვეული ცეცხლი არ ქვრება. საჭიროების დროს სვანი ცეცხლის გასაჩენად ხმარობს კვეს-აბედს, რომელსაც თვითონ აკეთებ. ღამით სვანი სახლს შუა ცეცხლის შემწეობით და კვარით ანათებს ასე, რომ შეშისა და კვარის კვამლი ერთად შეერთებული იქაურობას აშავებს და თვალებს უწითლებს ადამიანს. კვარის მაგიერ იმ ადგილებში, სადაც ნაძვის ხე ძვირია, ხმარობენ არყის ხის გამხმარ ქერქს, რომელსაც ძლიერ ეკიდება (კალა-უშგულში). სხვაგვარს სანათურს სვანი მოკლებულია. შეშათა ხმარობენ ბევრგვარ ხეს: ნაძვს, ფიჭვს, მუხას, რთხმელას, არყის ხეს, ვერხვს, წიფელს და სხვას. ბალის ხეს არა სწვავენ, რადგან შეწირული აქვთ<sup>1</sup>; ის კი არ იციან, რომ მისი ცეცხლი თვალებს უფუჭებს.

სვანი ხმარობს შემდეგს რკინის იარაღებს: ნაჯახს (კადა), ნალდს (ნასოლ), ბურღვს (სიფრით), ხორცის ამოსაღებად ჩანგალს (ფუცხვს), ასტამს; ხისას: ორთითას, ფინალს, უღელს (უღლა), ფორხას (ლუშდიქ-ლაფცხი), სახვნელს (ლენნიშ), ფარცხი (ლაჭადირ). ხსენებულს იარაღებს სვანი თვითონ აკეთებს რკინისას და ხისას, მაგრამ ყოველსავე ხელოვნურს გემოს მოკლებულია. რკინას და სპილენძს სხვა ქვეყნიდან ეზიდება. მოსაგერებელს იარაღებს შეადგენს კაჟიანი თოფი, ხანჯალი, დამბაჩა, ლივერი (ახლო ხანებში შემოიღეს) და იშვიათად დაშნა. ამ ბოლო ხანებში სანადიროთ აქა-იქ შემოიღეს ბერდანიისა და მარტინის სისტემის თოფები, თუმცა-ლა აშკარად ვერა ხმარობენ. ყველაზე უფრო უძველეს იარაღად მიაჩნიათ მშვილდისარი. სვანს თოფი და ხანჯალი მოსწონს ყველაზე უფრო და ამიტომაც არც კი იშორებს მათ. შესანიშნავია კაჟის შემდეგი თოფები: სტამბოლისა და ყირიმისა. ბევრი მათგანი მოოქროვილია, სალტეები ვერცხლისა აქვთ და ნიშანზედ ძლიერ კარგად მიდის. ამასთანა თოფი კი სვანს დიდ რამედ მიაჩნია. წინეთ ისინი ფასობდნენ 200-300 მანეთად (ეხლა 100-150).

წინეთ სვანები ისარს შხამავდნენ და ძლიერ შორსაც ისროდნენ. ნადირობის დროსაც მშვილდ-ისარს ხმარობდნენ და მისგან დაჭრილი ნადირი ძვირათ გადარჩებოდა. ეხლაც პოულობენ მთა-კლდეებში მირჭობილ ისრებს უეჭველად მონადირისაგან ნატყორცნს.

---

<sup>1</sup> რადგან ხატების ფიცრები ბალის ხისაა. (შენიშვნა ეკუთვნის ი. მარვიანს – შემდგენელს).

## ჰინ იყვანე „ბაპ“ -ჯი, ანუ „პაპ“ ჯი? <sup>1</sup>

(„ლოცვა იერუსალიმისა, მათი ჯვართა,  
მათი პირითა გიკურთხოს ქრისტემან  
კვართი-კავრათალი, ოლარი, გიგილი,  
ფილოვანი, ხელი შემოსილი ცოცოხალს  
მღვდელს გეგის (ანუ დიაკონს),ვაჰანდელეს,  
ექს-მელქს ფარა-მონაფეთა მისთა იამენ! „...“)

ყველამ ვიცით, რომ ჩვენმა მხარემ ბევრი განსაცდელი გამოიარა, მეტადრე სარწმუნოების მხრით. მუდამ მტრების შემოსევა და ქვეყნის განადგურება ხელს უშლიდა წინსვლას... წინსვლა რა იყო, მაჰმადიანობა მძლავრდებოდა და განადგურებას გვექადადა. ამას ზედ დაერთო შინაური უთანხმოება, შური და სიძულვილი ურთიერთ შორის... ყველაფერს თავის დალი დაასვეს მტრებმა: სადაც კი ადვილად მისწვდებოდნენ, ყველაგნ ძალდატანებით შეჰქონდათ თავიანთი სარწმუნეობა, ზნე და ჩვეულება; ეკლესიებას რყვნიდნენ და წმინდა ნივთებისგანა სცლიდნენ...მთაღდ გასცლიდნენ მათ ძვირფასი ხატებისა და ნივთებისაგან, რომ მოშორებულნი ჩვენი მეზობლები არა... ერთიანად აღმოფხვრიდნენ ქრისტეს სარწმუნოებას და ყველაგნა მაჰმადიანობას გაამაფებდნენ, რომ ისევ ის მეზობლენი არა ... ვინ იყვნენ და არიან ეს მეზობლენი? ესენი არიან თქვენი თანაძმები გვარტომებითა და სარწმუნოებით: სვანნი, ფშავ-ხევსურნი და სხვა მთიულნი ხალხნი და მათნი მოძღვარნი, უკეთ რომა ვთქვათ „ბაპები“ და „დეკანოზები“. ჩვენ ვიტყვით პირველთა შესახებ .

სვანეთი, მოგესხენებათ, უგზო-უკვლო ქვეყანაა, ძველად მაინც მეტად მიუდგომელი მხარე იყო. იგი შედგენდა საქართველოს სამეფო ნაწილს და თუ ხშირად თავისუფლების დროშას ატარებდა, – ეს

<sup>1</sup>ავტორისეული შენიშვნა: „ეს წერილი იყო დაბეჭდილი „მწყემსის“ 1903 და 1904 წ. ნომრებში. ხელმოწერა ვებეჭდავთ ზოგიერთის სურვილითა და თხოვნით, უფრო ვრცლად. ავტორი“. აქ წარმოდგენილი წერილი დაბეჭდილია გაზეთ „შინაური საქმეების“ 1911 წლის ნომრებში: №26, გვ., 2-3, №30, გვ., 13-15; №31, გვ., 13-14.

მხნეობისა გამო სვანთა და იმ არეულობისა რომელიც თითქმის მუდამ ჟამს სუფევდა ჩვენში. სვანეთსაც ისეთივე მღვდელნი ჰყავდა იმავე დროს, როგორც დანარჩენებს, მაგრამ ისევ იმ განსაკუთრებითმა პირობებმა სვანეთი თითქმის განაცალკევა სხვებისაგან და რამდენიმე ხანს თავისფლების დროშა მიენიჭა. ამ განცალკევებას არანაკლებ უწყობდა ხელს სვანთა გულადობა და გეოგრაფიული მდებარეობა მხარისა, – გამოიყენა თუ არა ეს დროს სვანეთმა. ეს კია რომ იგი უკან ჩამორჩა სხვებს: სარწმუნოება სიბნელით იმოსებოდა, არეულობა, კაცის კვლა, სისხლის აღება და ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ნამდვილი მოძღვრები სად იყვნენ და მათი ადგილი დაიჭირეს „პაპებმა“, ანუ „ბაპებმა“ ერთ დროს თავისუფალი სვანეთი ცაგერელ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა ხოლო სადაშქელიანო სვანეთი „ცაიშს“, რომელნიც უგზავნიდნენ მათ (სვანეთს) ნაკურთხს მღვდლებს, მაგრამ შემდეგ ეს დამოკიდებულება თანდათან მოისპო. ეს დამოკიდებულება ამგვარი იყო. პაპებს ყოველთვისა ჰყავდათ შეგირდები („დიკვნარ“), რომლებსაც ასწავლიდნენ საღმრთო წერილს და სხვა სამსახურსა. როდესაც პაპა მოხუცდებოდა და შეგირდიც გაიწვინებოდა, ამ უკანასკნელს აგზავნიდა ეპისკოპოსთან ცაგერს ან ცაიშს, რომლიც, ხელდასმულს აბრუნებდა სვანეთში. ძღვნად მიჰყავდათ ხარი, რომლსაც კურთხევის დღეს ჰკლავდნენ და მიიწვევდნენ ეპისკოპოსს კრებულთურთ. ზემოთა ვსთქვით, რომ შემდეგში ეგ დამოკიდებულება თან-და-თან მოისპო-მეთქი. მოისპო ამგვარად, რომ პაპებმა თითონ მიითვისეს კურთხევის უფლება თავისი თავის შეხედულებით ხელს ასხამდნენ „დიაკვნებს“ პაპებად და ეკლესიასაც თავისით განაგებდნენ. ამიტომ ადგილი წარმოსადგენია და არცაა გასაკვირველი, თუ თვითო სოფელში მათი რიცხვი 10-15-დე აღიოდა. „ბაპ“ (ზედა ხევში, ანუ თავისუფალ სვანეთში) ხოლო „პაპ“ -ა (ქვედა ხევში) ისე იცვამდა, როგორც სხვა სვანი: თავზედ ნაბდის წვეტიანი ქუდი, ან ფაფანაკი ეხურა, ტანზედ ეცვა ჭუჭყიანი შინაური ხელობის ტილოს მსხვილი პერანგი; რომლის საყელო კანაფის მსხვილი ძაფით იკვრებოდა, ზედ შინაური ხელობისვე მსხვილი მატყლის ჩოხა მერმე იმისვე შარვალი (შარობარ) და პაიჭები, ფეხზედ მრგვალი ქალამნები ბანრით შემოჭირებული, წელზედ ერტყა დაუხელელი ტყავის სარტყელი, ამასაც მოდიდო ადგილობრივი ხელობის უშნო ხანჯალი ამძიმებდა. ბეჭზედ კაჟის თოფი „ყირიმი“, ან „სტამბოლი“ ეკიდა. ყველა ეს გამოუცნობლადა ხდიდა პაპს უბრალო სვანისგან. სხვა ხნავდა პაპაცა ხნავდა, სხვა ომობდა, პაპაც ომობდა და წინ უძღვოდა ლაშქარსა.

მაგრამ ამავე დროს ის კიდევ მღვდლობდა თუ შეიძლებ ასე ითქვას... მასში თქვენ ნახავდით იგეთ ძალას, რომლიც ხალხს პატივისცემას და სიყვარულს აგრძნობინებდა. აი ამ „პაპებმა“ დაიცვეს სვანეთში ქრისტიანობა მოსაპოვისაგან და ხელი შეუშალეს სვანეთში მაჰმადიანობის გამეფებას, გამოსტაცეს ხელიდან მაჰმადიანებს წმ.ძვირფასი ხატები და ნივთი, რომლეთაც ეხლა თვალ წინა ვსპობთ. ამით ხალხს დაუფასებელი სამსახური გაუწიეს. პაპების ყოფა-ცხოვრებაში ბევრი რამე ღირს შესანიშნავია, მეტადრე საინტერესოა წირვა-ლოცვის, ნათვლის, გვირგვინის კურთხევისა და სხვა საიდუმლოების წეს-რიგი და მათი აღსრულება.

### **რას ხმარობდნენ პაპები სეფისკვერად, ზედაშედ და სამკაულად?**

პაპების სეფისკვერისათვის ბეჭედი არა ჰქონდათ, ბეჭედის მაგივრად გამოცხობამდე სეფისკვერს, რომელიც შესაფერის სინმინდით ვერა ცხვებოდა, ჯვარის სახეს გაუკეთებდნენ და შუაში მარილის კვინიტს ჩასდებდნენ, ზედაშედ არაყსა, რანგსა (თაფლისგან კეთდება) და წყალსა ხმარობდნენ, ხანდახან ღვინოსაც შოულობდნენ, ბარძიმის მაგიერობასა სწევდა ხის ანუ სპილენძის კათხა; ფეშხუმიც ხის ანუ სპილენძისა იყო, ვარსკვლავიც ხისა, სპილენძისა და რკინისგანა კეთდებოდა. ლახვარი რკინისა, და ფარნები ჩითისა; ოდიკი სრულეზით არა ჰქონდათ. ჩითის ოლარი ფილონი, მოყვანილოლობით თითქმის ნააგავდნენ ეხლანდელებს!... სამკლავები არ იცოდნენ არც სტიხარი და სარტყელი ჰქონდათ. გინგილის მაგიერ „დიაკვნები“ ჩითის ნახევებს გადიდებდნენ ხოლმე კისრზედ და ვისაც ისიც არ ჰქონდა, ლეკვერთხს შემოიხსნიდა და იმას გადაიკიდებდა.

10-20-დე პაპა შეიკირბებოდა და სანირავად ეკლესიისაკენ გასწევდა. ეკლესიის კარებს რომ დაუხლოვდებოდნენ, დაიწყებდნენ მიმავალნი ლოცვას: „მიწყალენ ჩვენ... დიდებად უფალო შეგვიწყალენ ჩვენ, ანდად მოსწყალეებისა კარი...“მერმე შევიდოდნენ ეკლესიაში და შეუდგებოდნენ ცისკარს. ზოგის შუალამის ჟამნს კითხულობდა, ზოგი „დიდიება მაღალიანს, ზოგი რას; ამას მოაბამდნენ წირვის ჟამს; აქ უნდა ვსთქვათ რომ ისინი არ არჩევდნენ წითურს ნასაკითხავებისაგან და ყველას კითხულობდნენ. -წირვის დანყებად უფროსი პაპა რომელსაც ზედამწირველს ეძახოდნენ, ეტყოდა დანარჩენებს, რომ ერთს მაცხოვრის სახელზედ ეწირნა, მეორეს ღვთისმშობლისა, მესამე წმინდა გიორგისა და სხვა. შემდეგ ზედამ-

წირველი აიღებს კონდაკს, სხვები მოიხრიან თავს კონდაკის ქნევით ამ ამბობს: „ლოცვა იერიუსალიმისა, მათი ჯვართა, მათითა პირითა- გიკურთხოს ქრისტემან კვართი, ოლარი, გიგილი, ფილოვანი, ხელი შემოსილი ცოცხალს მღვდელს გემის (ანუ დიაკონს აბრამს); ვაჰანდელეს, ექს, მელექს, ფარამონაფეთა მისითა. იამენ! ამის თქმაში პაპები პირჯვარს ისახვენ და ამბობენ: „კირიელისონ“-ს (უფალო შეგვიწყალენ). მერმე შეიმოსებოდნენ: ზოგი ჩითის ოლარასა და ფილონს ჩაიცვამდა, ზოგი ჩითის ნახევებს და ვისაც ესეც არ ჰქონდა, ლეკვერთხს, გადაიკიდებდა კისრეზედ. შემდეგ დაიჩოქებდნენ ყველანი და ღმერთს შეევედრებოდნენ: „ხოშა ღმერთ! დამბადებელ ფუსნაბუასტიმ! (დიდო ღმერთო! დამბადებელო, მპყრობელო, საიქიოსაო!) დღევანდელი უღვინო წირვა ღირსეულად შეინირე! წმინდაო მადლიანო! ცისა საღმრთო მადლიანო! შენ შეენიე“ ბექაის (ვისიც მწირველნი იყვნენ).

შემდეგ ზედამწირველი შევა აღსავლის კარის საკურთხეველში და კონდაკის ქნევით ამბობს: „ღმერთო აკურთხევე, საყდარი ესე! ღმერთო! აკურთხევე ტრაპეზე ესე! ღმერთო დამბადებელოო, დასნარი ჯვარი შენი. კირიელისონ!“

სხვა პაპები სდგანან თან ეკლესიაში, ზოგი კონდაკს კითხულობს, ზოგი ზეპირს ამბობს და ზოგი რას. ყველა დაყრდნობილია „ყავარჯენზედ“, რომლზედაც წირვის შემდეგ დანით ნიშანს დაასვამდნენ, დააჭდობნენ წირვის სათვალავად. შეიქმნდბოდა ხრიალი და ერთი ამბავი. აქ ცოტა განზედ გადავუხვიოთ. ნეტარ ხსენებული, მსცოვანი მღვდელმთავარი გაბრიელი სვანეთში მოგზაურობის დროს დაესწრო პაპების წირვას და წარმოიდგინეთ, რომ წირვის გათავებამდე (თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას) თვალზედ ცრემლი არ შეშრობია და შემლით კი ხელი არ შეუშალა პაპებს; არც შეიძლებოდა ხელის შემლა! შეებრალა უვიცობაში მყოფი პაპანი და ღმერთს მათ პატიებასა სთხოვდა. მისი ნატვრა ის იყო, რომ, რაც შეიძლებოდა, მალე დაემყარებინა სვანეთში ჭეშმარიტი „ღვთის მსახურება“, რაიც შეასრულა: მან ჭეშმარიტნი მოძღვარნი აღურჩია სვანეთს და გამოიყვანა დაღუპვისაგან!

ზედამწირველი ხმა მალლა დაჟეჟილად, იტყოდა: „საღმრთო ჟამი წირვისა წმინდისა იოანე ოქროპირისა“. მერმე შეუდგებოდა კვეთას ლახვით სეფისკვერს განალებდა და იტყოდა: „ვითარცა ცხოვარი კვლად მიიგვარაა“, და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისველისა არა აღალებს პირსა მისსაა. სიმდაბლით მისითა სასჯელი მისი მიეღოს..“.

ბარძიმის მაგიერობას ხის კათხა სწევდა, რომელშიაც ჩაასხამდენ არაყს, ან რანგსა.

ზედამწირველი აიღებს ვარსკვლავს და ამბობს: „კუთხნი, კუთხნი, კამარიან ცისანი შენ ხარ ქრისტია, მონაფეთა ზედა იამენ!“ სხვა პაპები იტყვიან გალობით, რომელიც ღრიალს უფრო წააგავდა: „შენ ხარ! უფლისა მიმართ ვილოცოთ! კირიელისონ!“ (3 ჯერ). პირველი პაპა:

– უფროვ, სუფროვ შევნიერება შეიმოსა... შენ ხარ ქრისტია მონაფეთა ზედა იამენ!... და გადააფარებს ჩითის ნახევს, რომელიც დაფარნის მაგივრობას სწევდა.

სხვა პაპები ამბობენ: – შენ ხარ! უფლისა მიმართ ვილოცოთ; კირიელისონ (3 ჯერ).

ზედამწირველი: – დიაკონმა პირნექელიანი... შენ ხარ ქრისტია მონაფეთა ზედა იამენ!..

კონდაკში გამოკრეფილი სამოციქულო და სახარება ეწერათ. გამოსვლაზედ კონდაკს დაიკავენს ზედამწირველი და ამბობს: – სიბრძნით აღემართენით... მოხედე მშვიდობა ყოველთა...

მეორე პაპა: – ებრაელთა მიმართ სწავლე პავლე ცხაკითხავ, ძმანოო! და წაიკითხავს სამოციქულოს.

ზედამწირველი: – სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ წმინდა სახარება მშვიდობა ყოველთა!

სხვები: – დიდება ღმერთსაა!..

ზედამწირველი: – ორთხნოო სახარება მათაისი, ლუკაისი, მარკოზისი და ივანაისი ცხაკითხავიი!..

სადაც ზედამწირველი სახარების კითხვის დროს ხმას გააგრძელებდა, იქ სხვა პაპები იტყოდნენ: – დიდება ღმერთსა! – ამასვე ამბობდნენ სახარებისა გათავებისას.

ბარძიმ-ფეშხუმის გამოსვენების დროს ზედამწირველი იტყოდა: – აცოცხლე ღმერთო, მეფე ჩვენი, კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი!

სხვა პაპები გალობით: – ამან, მიკროფან ქერუბიმთა ვსაიაოო, დავჩქანსაა ცხოველმყოფელისა მეუფისა ყოველთასა, ძღვნის მომწირველთაისა ამან ალილოია ჰა ჰაოოჰოჰო ევია ჰაი!..

ზედამწირველი: – მღვდელმან ამაღლებაა ძღვევისაგან მეგალობელნი, მეხმობელნი, მეღალადებელნი და მეტყველნიი!.

იმასვე გაიმეორებდნენ სხვა პაპები და ზედ მოაბამდნენ გალობით: – წმინდაო, წმინდაო, წმინდაო... და გაათავებდნენ: იამენ ჰეიი!

ზედამწირველი: – მიიღეთ და სჭამეთ ესე ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი მრავალ მისატევებელად ცოდვათა იამევენ!

ზედამწირველი: – სუთ ამისგან ყოველთა ესი არს სისხლი ჩემი ჩვენთვის დათხეული მრავალ მისატყვევებლად ცოდვათა!.

პაპები გალობით: – მრავალთათვის ჩვენთვის დათხეული მრავალ მისატყვევებლად ცოდვათა იამევენ!

ღირსარსის თქმის შემდეგ პაპები გაიხსენებდნენ ცოცხალს, რომლის მწირველნიც იყვნენ, ან მიცვალებულსა, შემდეგ იხრიალებენ:

ათმაზირ (დალოცე) დევდრიანიშ გვარ ი მინე მიცვალებულს ჩი შეუნდე, ათმაზირ ივსელიანიშ გვარ ი მინე ლეშუნდების ჩიის შეუნდე! (დალოცე დევდარიანის გვარი და მათ მიცვალებულს ყველას შეუნდე; დალოცე ივსელიანის გვარი და მათ შესანდობელს ყველას შეუნდე!) – ამგვარად მოიხსენიებდნენ სოფლის ყველა გვარეულობას .

ზედამწირველი: – შიშითა ღვთისა სარწმუნოებით მოხვედით!

სხვა პაპები წაღმა მიბრუნდებიან და ამბობენ: – ჩვენ შიშითა ღვთისათა ეამენ! ბოლოს ყველანი დაიჩოქებდნენ და დალოცავდნენ ვისიც მწირველნი იყვნენ, ესე იგი, ვინც მათ გააძღვებდა იმ დღეს.

კიდევ ბოდიში, რომ ცოტა განზედ ვუხვევ, აქ ზოგიერთმა ეგებ დასცინოს პაპებს, მაგრამ ჩვენს დროში ხომ „ნამდვილნი მოძღვარნი“ უარესს სჩადიან და იმდაბლენენ თავს. რანდენი მოძღვარი ამბობს სხვის გასაგონად ლოცვის დროს (მაგალითად პარაკლისის დროს):

– აცოცხლე, ღმერთო, ჩემი მჭმეველი, ჩემი მსმეველი! რა სახსენებელია სმა-ჭამა იქ, როდესაც ლოცვაში ასე სწერია: – „აცოცხლე კეთილის მყოფელნი ჩვენნიო?!“

ბოლოს გააქრობდნენ სანთელს და იწყებდნენ: – ღმერთო! ვისაც ქრისტიანობა არ სწამდეს, ვინც უქმე დღე გასტეხოს, ვინც ჩვენ არ მოგვიგონებდეს, იმასადაგვარად თვალეზი დავუხსეო!

ზედამწირველი ბარძიმ-ფეშხუმს გაასუფთავებდა, სხვა პაპები გაინანილებდნენ სეფისკვერებს და ამბობდნენ: – ნაწილი შენი, ნეკვეტენი შენი წმინდეს პეტრეს პავლეს როდის რუხვითა სუფევითა შენითა იამევენ!

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პაპები კითხულობდნენ წიგნებში ყოველივეს განურჩევლად წითურისა; ბევრმა კითხვა არც კი იცოდა და ზეპირად ამბობდა ლოცვებს, იმასაც თავისებურათ...

## ნათვლა

ძველათ ნაკურთხი მღვდლებისაგან დატოვებულს მირონს ყოველწლობით უმატებდნენ ზეთსა და იმასა ხმარობდნენ მირონათ

ნათელის დროს. ის ინახებოდა გათლილს რქებში. მშობიარე დედა-კაცს ძველად აბინავებდნენ ცივსა და „უკაცურს“ სახლში. განთავისუფლდებოდა თუ არა დედაკაცი ძეობისაგან, მაშინვე მოიწვევდნენ პაპას, რომელიც წაუკითხავდა ლოცვას, რასაც „შეგნაბს“ (შეგონება) უწოდებდნენ; იქვე გადაიხდიდა აიაზმასაც. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ მოიწვევდნენ პაპას ბავშვის მოსანათლავად. დედა-კაცი განცალკევებით იყო, პაპა არ ეკარებოდა ბავშვს და არც ნათლია. პაპა კითხულობდა ლოცვებს განურჩევლად წითურისა, შებერვის დროს პაპა ამბობდა შორიახლოდგან:

– შებერავს, ფუჭ ვაჟი შენი შვილია, თუ ქალია, ქალი შენი შვილია.

წყალში ბავშვს თვითონ დედა ჩასვამდა, ხოლო პაპა ამბობდა:

– ნათელს იღებს მონა ესე ღვთისა სახელითა მამისათა იამენ და ძისათა, იამენ და სულისა წმინდისათა, იამენ! (3 გზის).

შემდეგ ნათლია დაიკავებდა გრძელს ჩხირს და იმით სცხებდა მირონს ბავშვსა; ჩხირს კი იქვე ცეცხლში დასწვავდა. მეორმოცე დღეს დედა-კაცი მივიდოდა ეკლესიაში, სადაც პაპა „საორმოცოს“ წაუკითხავდა... ამას ეძახიან „ლიწიწილ“ (წანილობა); იმ დღიდან ის ეკლესიის და ოჯახის მონაწილე ხდებოდა, მანამდე კი არავინ არ ეკარებოდა გარდა ერთი ვინმე ბავშვისა.

### გვირგვინის კურთხევა

გვირგვინის კურთხევა სახლში იცოდნენ. სურდათ ერთმანეთი ქალ-ვაჟს თუ არა, იმის განკითხვაში პაპი არ შედიოდა. ხშირად გვირგვინის კურთხევა ხდებოდა ძალაუნებურად. იყო მაგალითები, რომ ძმის ნაცოლევზედ დასწერდნენ ხოლმე ჯვარსა, რითაც აშკარად ასრულებდნენ მოსეს კანონს: „ძმამან ძმის თესლი აღადგინოს“.

„წვილსა“ და „ჩიჟეს“<sup>1</sup> დააბრძანებდნენ სკამზედ და ნემსით ერთმანეთს გადაუბამდნენ კალთებსა. მერე პაპი შეუდგებოდა ისევ არეულად ჯვარის წერის კითხვასა. ღვინის მაგიერ არაყს ხმარობდნენ. გვირგვინის მაგივრობასა სწევდა ვაზის რგოლები, რომლებზედაც ხის ჯვარი იყო დამაგრებული. უკანასკნელი პაპა, რომელიც ამ ბოლო დრომდე კიდევ ასრულებდა ფარულად გვირგვინის კურთხევის წესსა, იყო განთქმული მელექსე-მეჭიანურე ქავზთი, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ გარდაიცვალა.

<sup>1</sup> ავტორისიული შენიშვნა: „წული- დედოფალი, ჩიჟე- მეფე (სიძე)“.

## **ზეთის კურთხევა**

ზეთის კურთხევისათვის დიდისამბით ემზადებოდა მოსახლე, რომელსაც იგი სწავდა: დაჰკლავდა ოთხამდე ხარს, მოამზადებდა ბლომად არაყსა და პურსა და მოინოდებდა ოცამდე პაპას. პაპები ჯერ ზეთს მოუკიდებდნენ, მერე ჩამოსხდებოდნენ რიგ-რიგზედ, „ტაბაკ-ზედ“ ზეთს დასდგამდნენ, ხელში კურთხევანი ეჭირათ და კითხულობდნენ ზეთის კურთხევის წესსა. ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე სრულდებოდა ზეთის კურთხევა. ერთი კვირის გასულს იმ მოსახლის ყველა მწვერი სათითაოდ მივიდოდა უფროსს პაპასთან და აღსარებას ეტყოდა შემდეგის სახით: ხელში ეჭირათ თომის (ბალახია) კონა და ამბობდნენ: ამდენი ცოდვა მიქნია! შემდეგ პაპა გახსნიდა მათ ცოდვათაგან. ბოლოს მოინვევდნენ მთელს სოფელს და სასიხარულოს გადაიხდიდნენ...

## **ბრწყინვალე აღდგომის ღვთისმსახურება**

ქათმის ხმობისას შევლენ პაპები ეკლესიაში; ერთი შიგნით დარჩება და კარებს მიხურავს, სხვანი გარედგან ეტყვიან:

– აღებენით ბჭენი თქვენი, მთავარო და აღებენით ბჭენი საუკუნენი და შევიდეს მეუფე დიდებისა; შიგნიდან პაპა მიუგებს:

– ვინ არს ესე მეუფე დიდებისა? გარედგან მიუგებენ:

– მე ვარ უფალი ძალითა დიდებისა! მერმე შევლენ ეკლესიაში და შეუდგებიან ცისკარსა. ცისკრის შემდეგ ერთი პაპა დადგება ეკლესიის კარებთან და მალაღის ხმით იტყვის:

– ქრისტე აღსდა! გიხაროდესთ, ვისაც გესმოდესთ, არა გესმოდესთ: პირსა და პირმეტყველსა, კაცსა და პირუტყვსა, ტყეს და კლდესა, ქრისტე აღსდგა, გიხაროდესთ!

აი მოკლე და მძლავრი სიტყვები, ბევრად უკეთესი და გულის სიღრმეში ჩამწვდომი, ვიდრე ჩვენი მოძღვრების უგუნებო, მჭკნარი და ძალას მოკლებული ქადაგება!..

## **მიცვალებულის წესის აგებისათვის**

მიცვალებულის დასაფლავებამდე პაპა ყოველ დილა-საღამოს უკითხავდა: ნეტარ არიანს, სერობას და პანაშვიდს. მიცვალებულის კუბოში ჩასვენების დროს პაპა უთუოდ უნდა დასწრებოდა. ის შეხვევდა მიცვალებულს სუდრითა, თავიდგან ფეხებამდის ჯვარის სახედ ძაფს დაადებდა, მერე დაფხვნილის ნიგოზს გადააყრიდა მიცვალებულს და იტყოდა:

– იამენ იესო ღვთისათა, იამენ მამისა ძისათა, იამენ და სულისა წმიდისათა, იამენ! ერთჯერ-თქო, ორჯერ-თქო, სამჯერ-თქო, თავიდან ფეხებამდე გცხებია მეორე მოსვლამდი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა!

როდესაც მიცვალებულს მიასვენებდნენ საფლავზედ, პაპა გადასახავდა ჯვრის სახეს ჯვრითვე და იტყოდა სამგზის:

– იამენ იესო ღვთისაითა, იამენ და ძისათა, იამენ და სულისა წმიდისაითა, იამენ! საფლავი ლაზარესი, ძვალი იობისა, სული აბრამისა, ესე ხიდი ყოველთა ჩამოსავალი არს!..

თავისუფალ სვანეთის სოფელ მუჟალში შეხვდებით დღეს მოხუცებულს, შტატ გარეშე მყოფს მღვდელს, მამა გიორგი მარგიანს, რომლიც წინეთ „პაპა“ იყო და რომელსაც დღეს თეთრი წვერი უმტკიცებს გამოცდილებასა.

ზემორე ნათქვამი პაპათა შესახებ ჩვენ გვაქვს ნაამბობი ხსენებული მღვდლისაგან. ამსათვის და რადგან მღვდლის გ. მარგიანის ცხოვრებაში ბევრი საგულისხმო რამ მოიძებნება, ურიგო არ იქნება ორიოდ სიტყვით მისს წარსულ ცხოვრებასაც შევეხოთ. მღვდელი გ. მ-ნი არის გლეხის შვილი. ბუნებითი სვანი, ს. მულახს დაბადებული. მამა მისი მურზა იმ დროში შესანიშნავი ყოფილა ვაჟკაცობითა და სტუმართ-მოყვარეობით. თავის სამს ვაჟს დროის შესაფერადა ზრდიდა



და 16 წლის გიორგის თოფის ხმარება თამამად შეეძლო. აღსანიშნავია ერთი გარემოება მამა გიორგის ცხოვრებიდან. ეს იმ დროს იყო, როდესაც რუსის მთავრობა ახლად შემოვიდა სვანეთში და თავის წესებს ამყარებდა.

ნაცვლად პაპებისა მთავრობამ „ახალი მღვდლები“ გაუგზავნა სვანეთსა. ახლად მოსული მღვდლები პირველად ეხამუშა ხალხს და არც არაფრად არ ეპიტნავენოდა: მას ჰყავდა საკუთარი, ღვიძლი მღვდელი, მასთან აღზრდილი შესისხლორცებული. ამის გამო, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პირობებში უნდა ყოფილიყვნენ „ახალი მლოცველნი, მეტადრე გამძღავრებული პაპების გადამკიდენი. პირველად ორმა-სამმა თუ გაბედა სვანეთში მისვლა, ისინიც იძულებულნი იყვნენ ცუდათ ყოფილიყვნენ, რადგან მათს საქმეს პაპები ასრულებდნენ.

ერთს ზაფხულის დღეს ორი მღვდელი მიადგა მურზა მარგიანს, როგორც პურმარილით განთქმულს, და მფარველობის განევა სთხოვა. ამ უკანასკნელმა, როგორც შეშენის მთის კაცს, პატივით გააცილა სტუმრები მეორე სოფელ მესტიამდე. აქ რამდენიმე აზნაურმა, გვართ ჯაფარიძეებმა, განიზრახეს მღვდლების შეპყრობა, მაგრამ მურზა მარგიანმა შესძლო მღვდლების შეხიზვნა მახლობელს კოშკში. ამ გვარად სტუმართ მოყვარე სვანმა მღვდლები გადაარჩინა სიკვდილს, მაგრამ თითონ-კი ვერ გადარჩა: უკან დაბრუნებისას დახვდნენ ისევ ის აზნაურები და შეპყრობა დაუპირეს. ეს ლაღმა მთიელმა იუკადრისა და თავი შესარცხვენად არ მისცა. ასტყდა იქით-აქეთ თოფის სროლა, რომლის დროს მურზამ ორი აზნაური მოკლა და ერთიც დასჭრა და შემდეგ თითონაც მოკლული იქმნა.

აქეთგან იწყება ახალი ხანა გიორგისა და მისი ძმისათვის; ისინი იხიზნებიან კოშკში, რადგან ჯაფარიძეებისაგან სისხლის აღება მოელოდათ მიუხედავად იმისა, რომ მურზას გვამი დიდის საფასით (1500 მან.) იქმნა გამოყიდული ჯაფარიძეების ხელთაგან. ამ დროს შემთხვევით შეეყარა გიორგის, მაშინ უნცროსს პაპას, კეთილმონესე სვანეთის ეკლესიათა მღვდელი ქუთათელაძე, რომელმაც შეატყო ნიჭი გიორგის და წაიყვანა ქუთაისის სწავლის მისაღებად. დავაჟკაცებული გიორგი სწავლობს ყოვლად სამღვდლო გაბრიელის ხარჯით ქუთაისში და რამოდენიმე ხნის შემდეგ იმწესება მედავითნედ სვანეთშივე. აქ ახალგაზდა სვანი, ყოფილი პაპა, გულსმოდგინეთ ეკიდება სამსახურს, რის შემდეგ მღვდლის ხარისხს პოულობს მოკლე ხანში.

მლოცველლი გიორგი გამოდის ახალს ასპარეზზედ სავსებით მომზადებული: იგი ხალხის შვილია მასთან შეზრდილი და შესისხ-

ლხორცებული. სახარების ქადაგება და კეთილი ცხოვრება უპოვებს მას ხალხის სიყვარულსა და ნდობას. იგი სათაყვანებელ პირადა ხდება არა თუ სვანთა, არამედ სამღვდლოთა შორის, რომელიც მას ერთხმად მოძღვართ-მოძღვრად ირჩევენ<sup>1</sup>.

საზოგადო მოღვაწეობის გარდა მ.გიორგი შესანიშნავია, როგორც ჭმარითი მამა და ოჯახის ბურჯი. მიუხედავად ცუდის პირობებისა იმას ოთხივე ვაჟი მიჰყავს ქუთაიში სასწავლებლად; თითონ იკლებს, გაჭირვებულადა სცხოვრობს და ამგვარად ოთხსავე შვილს სწავლას აძლევს: ორს საშუალოს, ერთს მდაბალს და ერთსაც სამხედრო სამსახურისას. მამა გიორგიმ თავისავე სიცოცხლეში მისცა გზა შვილებს და გამოიყვანა ისინი ცხოვრების ასპარეზზედ სამოქმედოდ. სამი შვილი მღვდლობს სამშობლოში, ხოლო მეოთხე ჯარშია ოფიცრად. თავისი ასულნიც მ.გიორგიმ ღირსეულს კაცებს მისცა და ამ გვარად ერთი ოჯახითგან რამოდენიმე ოჯახი შექმნა და მით საზოგადოებას ცოტათ თუ ბევრად მომზადებულნი წევრნი ჩააბარა.

ყოველსავე ამაში მ. გიორგის მარჯვენა ხელს შეადგენდა მისი მეუღლე, ბუნებითი სვანი და უსწავლელი ქალი. მაგრამ ოჯახისა და შვილების ერთგული.

დღეს მ. გიორგი თუმცაღა გათეთრებულია, მაგარამ კიდევ მხნედ არის. მთელი სვანეთი თაყვანსა სცემს მას „მახვშის“ (უფროსს) ეძახის. მიუხედავად თავის სიმხნისა, მან სამსახურს თავი დაანება და მრევლი შვილს დაუთმო.

მისი ჭაღარა მონაწილეობს მასში დიდს გამოცდილებასა, ტკბილი საუბარი – იესო ქრისტეს მცნებათა გავლენას, ღრმა ქართული – საღმრთო წერილის სავსებით ცოდნასა, ცხოველი სიტყვა – სახარების მადლსა, კეთილი მაგალითი მოძღვრის ღირსებას და სტუმართ-მოყვარეობა – მთიელთ ეს ღირსეული მხარე – მოყვასთა სიყვარულს; იგი დღეს 75 წლისაა.

რამდენად სასაცილოა პაპათა შესახებ თქმული ზოგიერთი მხარე, მით ერთი ორად საქებარია მათი ღვანლი, მოქმედება და ყოფაცხოვრება, რომელთაც ნაკლულევანებასთან ერთად ღირსებაც აქვსთ!.. ხალხს უყვარდა ისინი ... ოხ, რა ბედნიერი ვიქნებოდით – ეხლა რომ იყოს იმ გვარი სიყვარული მოძღვართა და მონაფეთა შორის!..

ამას ჩვენ არ ვაზვიადებთ და დასამტკიცებლად ჩვენის აზრისა ჰკითხეთ თითონ ხალხს..

<sup>1</sup> ავტორისეული შენიშვნა: „იხ. „შინ.საქ“. №30“.

## ორიოდე სიტყვა სვანეთის სამღვდელოების შესახებ<sup>1</sup>

სანყალი სვანეთის სამღვდელოება! სადღაც, მონყვეტილს, შორეულს კუთხეში მოქცეულა!.. ოთხი კუთხით რომ მაღალი გაუვალი კედლები ააგო, ზედა თავი ღია დაუტოვო და შიგ ვინმე ჩააგდო, – სწორედ ასეა სვანეთში მყოფის საქმეც... ყოველ მხრივ მაღალი, ციცაბო, უზარმაზარი და თოვლიანი მთებით გარშემოზღუდული სვანეთი მიუდგომელი ხდება ზამთრის თვეებში. აი, ამისთანა კუთხეში მოღვაწეობა ურგუნებია ბუნებას რამოდენიმე ჩემი თანამოძმისათვის. ჯერ კიდევ რიგიანი ყურადღება არა აქვს მიქცეული სვანეთის სამღვდელოებას. საზოგადოდ სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის შესახებ, კაი ხანია, ზრუნავენ და ცოტ-ცოტა ყველას მიეცა შეღავათი, ხოლო სვანეთის სამღვდელოებას კი, უიმისოდაც ქონებრივად დაქვეითებულს, ამ ბოლო დროს ზედმეტი გარდასახადები დაადვეს...

1872 წ. იმერეთის ეპარქიის დეპუტატთა ერთ კრებაზედ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სასარგებლოდ დაადგინეს საკომლო გარდასახადი (25 კაპ. კომლზედ). სასწავლებლის გარდასახადის ორი მესამედი უნდა შევსებულიყო სანთლის მოგებიდგან, ხოლო ერთი მესამედი უნდა ეხადნა კრებულს საკუთარი ფულებიდგან. ამავე კრებამ იქონია რა სახეში სვანეთის ეკკლესიების სიღარიბე და ისიც, რომ სვანეთის ეკკლესიებს სანთელს უგზავნიდა და დღესაც უგზავნის ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება, – გადასწყვიტა, რომ სვანეთის ეკკლესიების თითო კრებულს ეხადნა წლიურად 11 მ. 50 კაპ. სასწავლებლის სასარგებლოდ. ამ ფულს იხდიდა სვანეთის სამღვდელოება. ესევე გადასახადი ხვდებოდა სვანეთის სამღვდელოებას ამ კუთხის გურია-სამეგრელოში გადარიცხვის დროსაც 1897

<sup>1</sup> მღ. ი. მარგიანი, *ორიოდე სიტყვა სვანეთის სამღვდელოების შესახებ*, – ჟურნალი „მწყემსი“, 16, 15-30 აგვისტო, 1901. გვ., 7-9.

წლამდე, ამ წელში კი ჩვენდა იღბლად, სვანეთი ლეჩხუმითურთ ისევ იმერეთის ეპარქიას მიენწერა. მოხდა კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, იყო სჯა ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოების შესახებაც. ამ სამღვდელოების კრების დადგენილების ძალით სვანეთის ეკკლესიების კრებულს ყოველ წლივ ურიცხავდნენ 25 კაპ. კომლზედ. ესლავნახოთ, თუ რამდენად სამართლიანია ან ეს გარდასახადი, ან თვით კრების დადგენილება.

დადგენილება ამბობს: რადგან ლეჩხუმის მაზრის (სვანეთი არაა ნახსენები) სამღვდელოების დეპუტატებმა მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის შესახებ ხარჯში, ამიტომ ვალად დაედგინოსთ მათ იხადონ იმოდენივე გარდასახადი, რამდენსაც იხდის იმერეთის სამღვდელოებაო. იმერეთის სამღვდელოება კი იხდიდა და იხდის საჭირო გადასახადის ორ მესამედს სანთლის მოგებიდგან და ერთს მესამედს საკუთარის ჯიბიდგან. ეს დადგენილება შეეხება ლეჩხუმის სამღვდელოებას და სვანეთი აქ რა შუაშია? მართალია, სვანეთიც ლეჩხუმის მაზრას ეკუთვნის, მაგრამ სვანეთი სულ სხვა პირობებშია და, მეორეც ხსენებულს კრებას სვანეთის სამღვდელოების მხრით დეპუტატი არ დასწრებია. მაშასადამე დადგენილების სიტყვები: „В виду изьявления согласия депутатами Лечхумскаго увзда“ – სვანეთის სამღვდელოებას არ შეეხება. მაშ სვანეთის სამღვდელოებას რათ დაედო ამგვარი ბეგარა? ვსთქვათ კრებას აქ სვანეთიც ჰქონდა სახეში, მაგრამ რანაირად, როდესაც სხვა დადგენილებაში კრება სვანეთის სამღვდელოებას ღარიბადა სცნობს და ათავისუფლებს გარდასახადისაგან. მართლაც, სვანეთის ეკკლესიები ყველა ღარიბია სანთელს უგზავნის მათ კავკასიაში ქრისტიანობის აღმად. საზოგადოება. აღბად კრების დადგენილება ნიშნავს, რომ სვანეთის სამღვდელოება გაუთანასწორდეს სასწავლებლის შესახებ ხარჯში დანარჩენს სამღვდელოებას, ესე იგი მანაც ერთი მესამედი გარდასახადისა იხადოს (როგორც სხვები იხდიან) თავისი ფულებიდგან და ორი მესამედი კი სანთლის მოგებიდგან, მაგრამ, რადგან სვანეთში ეკკლესიებს შემოსავლის ამგვარი სტატია არა აქვსთ, გადასახადის ორი მესამედი გადაუხდელი უნდა დარჩეს. სვანეთის სამღვდელოება წინეთ იმდენს იხდიდა, რამდენსაც დანარჩენი სამღვდელოება (11 მ. 50 კაპ.) და დღეს სვანეთის ეკკლესიების სიღარიბისა გამო მთელი გარდასახადი მღვდლებს მიაწერეს. თუ კი იმერეთის სამღვდელოება თავის ჯიბიდგან მხოლოდ გარდასახადის მესამედს იხდის, სვანეთის სამღვდელო-

ებამ რად უნდა იხადოს სავსებით მთელი გარდასახადი?! ზოგიერთს კრებულს სვანეთში წელიწადში ხდება 30 მანეთი, ზოგს 68 მანეთი, ზოგს მეტი და ზოგს ნაკლები.

სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ კრების დადგენილების ძალით იწყო ფულების მოთხოვნა. 161 მანეთის მაგიერ, რომელიც ყოველ წლიურად უნდა გადაეხადა სვანეთის სამღვდელოებას, ახდევინებდნენ 302 მანეთს, ასე რომ ოთხი წლის განმავლობაში წაღებულა 1208 მანეთი, როდესაც მხოლოდ 644 მანეთი უნდა წაეღო.

სვანეთის სამღვდელოება იხდიდა ამ გადასახადს და არ იცოდა კი, თუ რა მიზეზით ახდევინებენ მას ამოდენა გადასახადს! მისთვის არავის არ აუხსნია, თუ რაშია საქმე, ან რის ძალით თხოულობდნენ ამას... სვანეთის სამღვდელოებამ არც კრების დადგენილობას იცოდა რამე და არც მ. ბლალორჩინი იწუხებდა თავს... შეიძლება ბლალორჩინმა თვითონაც არ იცოდა. ამ გადასახადის გარდახდევინება უსამართლოდ უნდა ჩაითვალოს, თუ გაიგებთ სვანეთის სამღვდელოების გაჭირვებულ მდგომარეობას და მისს ავ-კარგს.

სვანეთში მღვდელი ლეზულობს 400 მანეთს წელიწადში კავკასიაში მართლ. მად. ქრისტ. აღმად. საზოგადოების საშუალებებიდან და სხვა შემოსავალს იგი ხალხის სიღარიბისა გამო მოკლებულია. აქედგან 50 მანეთამდე სხვა-და-სხვა გვარს გარდასახადებში გაუდის, რჩება 350 მან.

იმერეთის ეპარქიის დანარჩენს ადგილებში მღვდელი უფრო დაკმაყოფილებულია; უმეტესი ნაწილი ლეზულობს 300 მანეთს ჯამაგირს, „დრამის“ ფული და სხვა შემოსავალიც უნდა ვიანგარიშოთ 300 მან. სულ რომ დავამციროთ, იმერეთში მღვდლის წლიური ჯამაგირ-შემოსავალი ორთა შუა რიცხვით 600 მან. იქნება. სჩანს, რომ ნივთიერად სვანეთის სამღვდელოება უფრო ცუდ პირობებშია, ვინემ იმერეთის ეპარქიის სხვა კუთხის სამღვდელოება.

ეხლა ვნახოთ, თუ რა ხარჯი აქვს სვანეთში მღვდელსა. – ამ შორეულ ქვეყანაში, სადაც შორიდგან მოსატანი და საყიდელია ყველაფერი. ვსთქვათ მღვდლის ოჯახი, ორთა შუა რიცხვით, შესდგება ექვსი სულისაგან. თითო სულზედ ავიღოთ წელიწადში ოც-ოცი ფუთი პური (ჯარის კაცს, რომელსაც სტუმარი არ აწუხებს, ეძლევა 22 ფუთი პური), აქედან (20X6) 120 ფუთი პური მოუნდება მთელს ოჯახს წელიწადში. რადგან ადგილობრივ სვანეთში პური ძნელი საშოვარია, ამიტომ აქაური სამღვდელოება პურს რაჭა-ლეჩხუმიდან ეზიდება,

სადაც ფუთი პური ღირს ექვსი აბაზი. ამ სახით პურში წავა (120X20) 144 მანეთი. ეხლა პურის გადმოსატანად მოუნდება ოცი ცხენი; ცხენის ქირა პატრონითურთ 8 მან. (ზოგან 10 მან.) სჩანს, რომ 120 ფუთი პურის გადმოტანაში წავა 160 მანეთი და ეს ფული რომ პურის ფასს – 144 მ. მიუმატოთ. გამოვა 304 მანეთი.

დანარჩენი ხარჯი: ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ჩაე-შაქარი, ღვინო, რომლებიც ჩვენთვის ხილს შეადგენენ, ხორცი, ყველი და სხვა. საზოგადოდ აღვნიშნოთ – 360 მანეთი, ზემოხსენებული ფულითურთ გამოვა (304+360) 664 მანეთი. რადგან სვანეთში ზამთარი გრძელია (9 თვე) და ზაფხული მოკლე (3 თვე), ამიტომ ყოველი წლის საჭირო სარჩო მოტანილი უნდა იქმნეს ერთბაშად და დროზედ ქუთაისიდგან ან სხვა ადგილებიდგან. ამისათვის საჭირო ფული 664 მან. მღვდელი იძულებული ხდება ისესხ-ივახშოს ადგილობრივი ვაჭრებისაგან, ან სხვაგან უზომო სარგებლით; ამის გამოა, რომ ყოველი მღვდელი სვანეთში მუდამ ვალეშია.

სვანეთის სამღვდელოების არა გაუმჯობესებული მდგომარეობა არის მიზეზი იმ გარემოებისა, რომ მღვდელი არა სვანთაგანნი იძულებული ხდება მალე მიატოვოს სვანეთი, სადაც მას უძნელდება ცხოვრება, და გადიხვენოს თავის სოფლებისაკენ. თვით სვანთაგანებმაც რომ ველარ შესძლეს ოჯახობით ყოფნა სვანეთში, ლეჩხუმისაკენ გადავიდნენ, სადაც ისინი ნაკლებად უჩივიან ბედს და კმაყოფილნი არიან.

რადგან სვანეთის სამღვდელოება მატერიალურად დაქვეითებულია, ამიტომ მისი შვილები გაუნათლებელნი რჩებიან. აქ მღვდელს არა აქვს იმდენი შეძლება, რომ შვილი თავის ხარჯით სასწავლებელში მისცეს, ამიტომ სტოვებს შინ. ესევე მატერიალური მდგომარეობა აიძულებს მღვდელს თავისი ხელით თოხნოს, სთესოს, ზიდოს შეშა და სხვა. ასეთი ზრუნვისა გამო მღვდელს დრო აღარ რჩება, რომ ხალხს ესაუბროს და რიგიანად დამწყოს იგი.

აი, სწორედ ამგვარია მოკლედ სვანეთის სამღვდელოების მდგომარეობა.

ღვთივ განსვენებული ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, – ეს დაუძინებელი მუშაკი, მუდამ თვალყურს ადევნებდა სვანეთსა და ბევრი კეთილი საქმეც დანერგა მათმა მეუფებამ აქ. კიდევ ბევრს გააკეთებდა, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, სვანეთი ლეჩხუმითურთ გურია-სამეგრელოს ეპარქიისათვის არ მიენერათ. მაგრამ ყოვლად სამღვდე-

ლო გაბრიელი ამ დროსაც არ სტოვებდა უნუგეშოდ სვანეთის სამღვდელოებას, როგორ იქნებოდა, რომ სვანეთიდგან მღვდელი ნასულიყო იმერეთ-სამეგრელოსაკენ და პირველად გაბრიელი – მოწყალე და მჭერმეტყველი მწყემსთ-მთავარი არ ენახა? ყველას თითქო საღმრთო მოვალეობად ჰქონდა დადგენილი ენახა ყოვლად სამღვდლო და ლოცვა-კურთხევა მიეღო მისგან... ის კურთხეულიც, თითქო ზეციდგან რამ ეხარაო, ისე მიიღებდა სვანეთის მღვდლებს, რომ მისს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მისი ტკბილი სიტყვები, ნუგეში და დარიგება ისე ამხნევებდა სანყალს მღვდლებს, რომ თავი უუბედნიერესს ადამიანებად მიაჩნდათ. მე თვითონ ვიცი მღვდელი სვანთაგანი, რომელიც სვანეთის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადარიცხვის შემდეგ, არც ერთხელ არ ჩასულა ახალს მწყემსთ-მთავართან. მან ვალად გაიხადა რამოდენიმე წლის განმავლობაში ერთხელ მაინც ენახა ყოვლად სამღვდლო გაბრიელი, მიეღო ლოცვა-კურთხევა და თვისი ვალი შეესრულებინა. მას მეტი არა უნდოდა-რა!..

შემდეგ სვანეთი ისევ იმერეთის ეპარქიას მოაწერეს, მაგრამ შეღავათის მიცემის მაგიერ მეტი ბეგარა დაადვეს აქაურ სამღვდელოებას. ეხლა გვაქვს იმედი, რომ სვანეთის სამღვდელოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცევა, რადგან ნიჭიერი და სამართლიანი მღვდელმთავრის გაბრიელის შემდეგ იმერეთის კათედრაზედ ვხედავთ ისევ ნიჭიერსა და ღირსეულს მწყემსთ-მთავარს, ყოვლად სამღვდლო ლეონიდსა.

ბოლოს ვიტყვით, რომ ასეთი დიდი გადასახადი სვანეთის სამღვდელოებას ძლიერ შეაწუხებს. ამიტომ ხსენებული გადასახადი უნდა შემცირდეს და ისევ ძველი გადასახადი 11 მან. 50 კაპ. უნდა დარჩეს. თან სასურველია სამღვდელოების დეპუტატთა კრებები იმისთანა უშიშარსა და მოხერხებულს დროს ინიშნებოდეს, რომ შორეულსა და ადგილებიდგან ადვილი მისვლა-მოსვლა ხერხდებოდეს.

## ორიოდე სიტყვა სვანურის ენის შესახებ<sup>1</sup>

„ამბობენ, რომ სვანური ენა დამახინჯებული ქართულიაო, მაგრამ საკვირველია, რომ სვანებს არ ესმით ერთი სიტყვაც კი ქართულად; ქართულს ლაპარაკობენ ცოტანი უშგულში, ლაპარაკობენ ქართულად თავადები, ლაპარაკობენ დიაკვნები და ეკლესიის მნათეები, ლაპარაკობენ ესაულები სვანეთის ბოქაულისა; მსურს გავიგო – კიდევ ვინ ლაპარაკობს ან ვის ესმის ქართული სვანეთში?“ – სწერს ბ.ნი სტოიანოვი თავის მოგზაურობის აღწერაში; **სწერს, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ.** ნეტავ ვიცოდეთ, სად გამოსცადა სვანები ბატონმა სტოიანოვმა (გიმნაზიის მოწაფეებსავით) ქართულის ცოდნა-ლაპარაკში? თუ სვანეთში მოგზაურობის დროს შეიტყო, არ მესმის რანაირად; იმას ჰქონდა საქმე მხოლოდ თავადებსა და რამდენსამე გლეხთან და არა ყველასთან და თავადები ხომ ლაპარაკობენ ქართულად, ბ. სტოიანოვო? თუნდაც რომ ჰქონოდა, სვანი მაინც სვანურს გააგონებდა მას და ქართულს, თუკი არ დასჭირდებოდა რათ ეტყოდა? მით უფრო, რომ თვითონ ბ. სტოიანოვი არ ესაუბრებოდა ქართულად. მაშ რანაირად გაიგო ბ. სტოიანოვმა, რომ სვანებმა ქართული ლაპარაკის ინიცი არ იციან? მობრძანდით ბ. პედაგოგო, დაჰყევით ს. უშგულიდან, გაიარეთ კალა, იფარი, წვირმი, შედით მულახდმუჟალში, ჩაჰყევით ს. მესტიას, ლენჯერს, ლატალს და ნახავთ, რომ ამ სოფლებში, რომელთაც საერთო სახელი თავისუფალი სვანეთი ჰქვიათ, ქართული თითქმის ყველამ იცის და წინათც იცოდა. უცოდინარს თუ ნახავთ, ღრმათ მოხუცებულებს, რომელნიც არსად არ წასულან. ზოგჯერ იმისთანა მოსაწონ ქართულს გაიგონებთ, რომ გესიამოვნებათ. მაგრამ ბ. სტოიანოვი ჩვენ რათ დაგვიჯერებს, როდესაც პატივცემულს დ. ბაქრაძეს არ უჯერებს? „ბ. ბაქრაძეს, რომელიც ამტკიცებს, რომ თავისუფალ სვანეთს (ზემო) საუბარში ქართული

<sup>1</sup> ბლ. მღვდ. ი. მარგიანი. *ორიოდე სიტყვა სვანური ენის შესახებ*, – ჟურნალი „მოამბე“, ზ 7, განყ. 2, 1903.

ელემენტი სჭარბობს, ხოლო ქვემოსაში მეგრული – სურს, რომ ვერ-ნმუნოთ მის სიტყვებს, რომლებსაც ათიოდე სვანური სიტყვებითც ვერ გვიმტკიცებს. ეს მე მაცნობა ერთმა დაკვირვებულმა და თავის სამშობლოს კარგათ მცოდნე სვანმაო. ეს სრულებით არაფერს არ ამტკიცებს“ – ამბობს ბ. სტოიანოვი. რათ არა სჯერა ბ. სტოიანოვს ბ. ბაქრაძის სიტყვებიც, გვიკვირს, როდესაც ამ უკანასკნელს, როგორც ქართულის მცოდნეს და მასზედ უფრორე განსწავლულს, შეეძლო უკეთესად გაეგო ყოველივე და უტყუარი ცნობები შეეკრიბა? არცა სტყუოდა ბ. ბაქრაძე, როდესაც ზემოთ ხსენებულს სიტყვებს ამბობდა. მართლაც თავისუფალს (ჟაბე ხევ) სვანეთში საუბარს უმეტეს ნაწილად ქართული დალი და ხასიათი (ელემენტი) აზის, ხოლო სადადეშქელიანო სვანეთში (ჩვაბე ხევ) – მეგრული. აქ გასაკვირველიც არა არის რა: ზედა ხევს ხშირი კავშირი აქვს რაჭა-ლეჩხუმ-დიმერეთთან, ხოლო ქვედა ხევს – სამეგრელოსთან. აი ამ გარემოებამ იქონია გავლენა სვანურს კილოზედ და სხვადასხვაგვარი ელფერი დასდო. მაგრამ ბ. სტოიანოვი, ალბათ, ჟინიანია, თორემ სხვებსაც რათ არ უჯერებს, მაგალითად, მისს მეგვარტომეს? იგი არ ერწმუნება არც ბ. ბ. ბარტოლომეის არც რადდეს, არც ლოლობერიძეს, არც მაქს მიულერს, არც ნადეჟდინს და ამბობს: „ბ. ნადეჟდინი საზოგადო ხმით და ბ. ბ. ბაქრაძის, ლოლობერიძის და მაქს მიულერის გავლენის ძალით ჰფიქრობს, რომ სვანური ენა ერთი ძირისაა ქართულთან და ამბობს, რომ მეორე აზრის მეთაურნი ვერავითარს საფუძველს ვერ გვაძლევნო. პირველი აზრის დამცველებმა კი რა საფუძველი მოგვცეს?“

საფუძველს იძლევიან, მაგრამ ბ. სტოიანოვს ან არ უნდა დაიჯეროს, ან იმდენად სამწუხაროა მისთვის ეს დაჯერებად-დამტკიცება, რომ მაინც თავისას გაიძახის. არა, შეიძლება ესეც არ არის მიზეზი და უფიცობა – ენის უცოდინარობა?

ბ. სტოიანოვმა დაიწყო სვანური ენის შესწავლა, როგორც თვითონ ამბობს, 1871 წლიდან. იმოგზაურა სვანეთში, ასწერა მათი ყოფა-ცხოვრება, გამოიკვლია მათი ენა და ნუ იტყვიოთ, შთამომავლობაც... თურმე სვანები – მულახელები იგივე მალოროსსებია, ბოლოს გამოვიდა რაღაც დომხალი, არეული, ჩარეული და ცხრა რჯულა... მართლაც საიდან უნდა მიხვდეს კაცი სვანური ენის მსგავსებას ქართულთან, როდესაც ბ. სტოიანოვი სიტყვებს სულ ასხვაფერებს და რაღაც სხვა ენასა ჰქმნის!.. მაგალითად ბ. სტოიანოვი სწერს: (См. Мат. Для опис. мест и пл. Кавказа в X отд. II, ст. 18.) „ღვაში კვიცრა ჩოვ

ხამურცხა“... (უნდა იყოს: ღვაში ი კვიცრა ჩუვ ხომურცხა) და სთარ-გმნის ასე „ამოაქვს (ქვევიდგან) ჯიხვები“, როდესაც რომ ნამდვილი თარგმანი ასეა: ჯიხვი და არჩვი დაამარცხა, (დაუმარცხებია), სადაც ადვილად გაიგებს კაცი, რომ ქართული სიტყვებია. მეორე მაგალითი: „ფოყასოვ ჯირკიდ ვოი ხიმომა“ – სნერს ბ. სტოიანოვი და უნდა იყოს: „ფოყას ჯირკდ ვოი ხანჯარი“ (გვერდზედ გეკიდა ხანჯარი). ყველა მიხვდება, რომ აქ ქართული სიტყვებია: „გეკიდა ხანჯარი“ და ბ. სტოიანოვის ნაწერში კი ვერა რას გაიგებთ. სიტყვების ამნაირი იმდენი შეცდომა აქვს, რომ ვერაფერს ვერ გაუგებთ: სადაც „ფ“ უნდა იქ რუსულად „პ“ -სა სნერს, სადაც „ჭ“ – „ჩ“ -ს, სადაც „ლ“ – „გ“ -ს და ასე ამგვარად თავისებურს ანბანსა ჰქმნის. ასე ამახინჯებს ბ. სტოიანოვი სიტყვებს, წინადადებებს, ლექსებს და თან ამბობს: „ჩემ მიერ შეკრებილს მასალას მე კმაყოფილებით წინა დავუდებ გამოსარკვევად იმ საკითხისა, თუ რომელს ოჯახს ენებისას ეკუთვნის სვანური ენა“.

რასაკვირველია, ბ. სტოიანოვი დიდის კმაყოფილებით გაიმეტებს იმისთანა მასალას, რომელიც ადამიანს სწორს გზაზედ დაყენების მაგიერ დააბნევს, თავბრუს დაახვევს და ვერავითარ უტყუარს აზრზედ ვერ მოიყვანს.

„მართალია, უშგულელ ლექსებში ბევრი ქართული სიტყვებია და თითქმის მთელი ქართული ლექსებიცაა, რაიც აიხსნება ქართული ელემენტით უშგულის საზოგადოებაში. კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ თითქმის ყველა სიტყვები, რომლებიც კულტურის საგნებს აღნიშნავენ, ქართული ძირისაა, რაიც სრულებით გასაგები და მოსალოდნელია“. ეს სიტყვებიც ბ. სტოიანოვს ეკუთვნის. დარწმუნებული ვარ, რომ ბ. სტოიანოვი ამ სიტყვების თქმის დროს სრულებით არ შეჰკითხებია თავის თავს: ვიცი კი ქართული, სვანური, მეგრული ენები (თუ კილო?), რომ ამისთანა გამბედავი და მაღალმნიშვნელოვანი აზრი წარმოვსთქვაო? და ამათი ცოდნა კი საჭიროა სვანური კილოკავის წარმოდგომის ასახსნელად. არა, არ შეჰკითხებია, თორემ ამასაც არ იტყოდა, რადგან სვანური სიტყვების თითქმის 2/3 სულ ქართული სიტყვებია, ხოლო დანარჩენი 1/3 – ზოგი მოჩმახული, ზოგი მოგონილი, ზოგი ნასესხები და ზოგი რა. ამის თქმას გვაბედვინებს ჩვენ საკუთარი დაკვირვება და ცოდნა სვანურის ენისა (რა გვენალვლება დავუძახოთ ენა) და მასთან ქართულისაც. მაგალითის გულისათვის ავილოთ სვანური ენისაგან რამოდენიმე სიტყვა და ვნახოთ, არის მსგავსება თუ არა?

## რა ენაზედ ადიდებენ და ადიდებდნენ სვანები ღმერთს?<sup>1</sup>

ვიდრე ამ საგანზედ ვიტყოდეთ რასმე, საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვინ არიან სვანები, ან რა ტომის ხალხს ეკუთვნიან. ყველა, ვინც-კი იცნობს სვანებს, მათ ზნე-ჩვეულებას, ყოფა-ცხოვრებასა და სასაუბრო ენას, ადვილად მიხვდება, რომ სვანები ქართველთა მახლობელს ნათესავ ტომს ეკუთვნიან, რომ მათი ენა ნამდვილი ქართულია, მხოლოდ აქა-აქ შეცვლილი. მაგრამ მაინც ზოგოერთები ვერ შეჰრიგებიან ამ აზრს და გაიძახიან, სვანები სულ სხვა ხალხიაო! სამწუხარო და საკვირველი ის არის ამას ჰლაღადებენ ისინი, ვინც თითქმის არც-კი იცნობენ სვანებსა და მათს ენასა! თითონ უფიცობის მორევში სტოპავენ და მცოდნეთაც არ უჯერებენ! ნეტავ ვიცოდე, ვისთვისა ან რისთვისაა საჭირო ეს დაჟინება და სვანების განსხვავებობა? ნეტავი რითიმე მანიც გვეიმტკიცებდნენ თავიანთ აზრსა, მაგრამ რის აზრი, რის დამტკიცება! აქ მხოლოდ სხვა რამ იმალება რომელსაც მკითხველი ადვილად მიხვდება.

სვანების ქართველებთან ნათესაობა აიხნება მით, რომ იქ ღვთის დიდება ძველადგანვე ქართულს ენაზედ სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს. სვანებსა ჰყავდათ საკუთარი (მათი სოფლისავე) მღვდლები (ბაპ,პაპ), ჰქონდათ ძვირფას ხატებით სავსე ეკლესიები ქართულსავე ზედ წარწერებით და სხვ. წირვა-ლოცვაც ქართულს ენაზედ იყო და მღვდლებიც ეტრატზედ დანერილ ქართულ ხელნაწერებსა ხმარობდნენ, რომლებითაც ეხლაც სავსეა ეკლესიები და კერძო კაცთა სახლები (ეკლესიასა ჰქონდა საკუთარი წიგნები, ხოლო მღვდლებს საკუთარი). რა საჭირო იყო ან ქართული წიგნები, ან ქართული მხატვრობა, ან ქართულად წირვა-ლოცვა, თუ სვანები სხვა ტომის ხალხია და მათი ენაც სხვაა! რამ შეინახა სვანეთში აქამომდე შეუბღალავად ქრისტეს სარწმუნოება, თუ არა მათს ენაზედ ღვთის დიდებამ? რომელ მათ-

---

<sup>1</sup> სვანი ბ.მ-ნი, რა ენაზედ ადიდებენ და ადიდებდნენ სვანები ღმერთს?, – გაზეთი „ივერია“, №28, 4 თებერვალი. 1904, გვ.,2

ვის უცხო ენას შეეძლო ქრისტიანობის დაცვა ამ მივარდნილს ქვეყანაში, თუ არა ისევ ქართულსა, რომელიც სვანებს დედა-ენად მიაჩნიათ!? რითი აიხნება ის გარემოება, რომ სვანეთში თითქმის ყველა ლაპარაკობს წმინდა ქართულს?!

მაგალითისათვის ეგებ მეტი არ იყოს რამდენისამე სიტყვის და წინადადების მოყვანა, თუ როგორ ადიდებენ სვანები ღმერთსა არამც თუ ეკკლესიაში, არამედ შინაც, ნადიმზედ, უბრალოდ სუფრაზედ სამღვრთოზედ და სხვა დროსაც.

სვანს რომ წირვა-საღმრთო ექმნებოდა, მღვდელი ასე დალოცავდა (ეხლა ასე თითონ ლოცავენ ერთმანეთს): „დიდება ღმერთსა, დიდაბ ავჯხად დამბადებელს, ლადიმ ნიშგვეი ლოცვ ღირსეულდ შეინირე! (დიდება ღმერთსა, დიდება დამბადებელსა! დღეის ჩვენი ლოცვა ღირსეულად შეინირე!) ქართულია, მაშ რაა ეს სიტყვები და მთელი წინადადებაც?

ეხლა ვიკითხოთ თუ, რა სახელებს ეძახოდნენ და ან ეძახიან სვანები დღესანაულებს:

ქრისტემ, ქრისტეშობა. განცხდაბ-განცახადება. სვიმნობ, სვიმნობა (მირქმა). ტაძრობ, ტაძრად მიყვანება, თანაფ, პასექი (თანაფა მეგრ.), თავსკვათ, თავისკვეთა. ანლაბ, ამაღლებ. ფერცვლაბ, ფერისცვალება. ხარაბ, ხარება. პარპლდაშ, პეტრეპავლობა. ლიმორიე, მარიობა. ენამ, ანნას მუცლად ღება. ბარბლამ, ბარბალობა. ზადკობ, ხადიკობა (მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკე). ლიგიერგი, გიორგობა, ლიგურკე, კვირიკობა, ელიობ, ელიობა.

ეხლა ავილოთ რამდენიმე სიტყვა:

ღერბეთ, ღმერთი. ქრისტე, ქრისტე. ლამარია, მარიამ ქალწული. ერბილ-ქერბილ, სერაფიმ-ქერაბიმი. დიდაბ, დიდება. თარინგ ზელ, მთავარ-ანგელოზი. ჯგორამ, წმ. გიორგი. ნათელმცემელ, ნათლ-ს მცემელი. მადილ, მადლი. საკმეველ, საკმეველი. ფილოვან, ფილონი. ჯვარ ჯვარი. (ლი)-მზირ, ვედრება, მზერა, შვენდბა, შენდობა (ზევით). ცოდვ, ცოდვა. ნატუსუნ-ნატუსალი (საკ. შეგნაბ. შეგონება. მეველის მაგიერ ცვილის ნამ. გვირგვინ, გვირვინი. ცეცებსა ხმარობენ დასწავავად). წირვ, წირვა.სეფისკვერ, სეფისკვერი. ლოცვ, ლოცვა. ზედაშ, ზედაში. ქვერწილ, ქორწილი. სახრაბ, სახარება. ალაპ, ალაპი. საყდარ, საყდარი.

კიდევ ბერ სიტყვას მოვიყვანდით, მაგრამ, ვგონებ, ესეც საკმარისია, რომ მიხვდეს კაცი, თუ რა ენაზედ ადიდებენ და ვადიდებთ ღმერთსა ჩვენ, სვანები.

## სვანური ენა და ახალი აშორდია<sup>1</sup>

არავისთვის ამ უამად საიდუმლო აღარ არის ის გარემოება, რომ სვანნი გვარ-ტომობით ქართველებს ეკუთვნიან და სვანური ენაც (კილოკავი) იგივე ქართულია. მეტს ვიტყვი, სვანური ენა და პოეზია არის სალარო ძველი ქართულის ენისა, რადგან იქ ბევრი ძველი ქართული სიტყვებია დაცული.

თუ რომელიმე მეცნიერი აქამდისინ ზერელებდ უყურებდა ამ საკითხს და სვანებს შეცდომით თიშავდა ქართველებისაგან, დღეს ამ გვარობას ადგილი აღარ აქვს. უკეთ რომა ვსთქვათ. ადგილი არ უნდა ჰქონდეს. აქამდისინ თუ ეს საკითხი პოლიტიკურს ნიადაგზედ გადაჰქონდათ და ამ სახელით ნათლავდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ მთავრობის მოხელეთა გული მოეგოთ და თავი წარმოჩინებულ ეყოთ, დღეს ამ გვარი გარენარობით ვერავინ ვერ დაუბნელებს თვალებს ვერც მთავრობასა და ვერც საზოგადოებასა, რომელიც, ეჭვს გარეშეა, ყოველთვის აფასებდა და აფასებს კიდევ ამგვარ ვაჟბატონთა „პოლიტიკანობა-გაიძვერებოსა“ და შესაფერს მსჯავრს სდებს.

მაგრამ, ვაი, რომ აშორდიები თურმე ყოველთვის არიან და მეორე გულშემატკივარი (პირველი ჩვენშივე ბუდობს დიდი ხანია – ჩვენებურია) აშორდია დღეს ჩვენ, სვანებსაც, გამოგვიჩნდა: რასაც ჩვენ ვერ მიმხვდარვართ და პირველმა სვანელმა აშორდიამ ვერ შესძლო, ის ნაკლი, დღეს სვანეთის ბოქაულად ნამყოფმა ალექსანდრე წერეთელმა შეავსო.

საქმე შემდეგშია: ხსენებული ბოქაული შარშან გადააყენეს თანამდებობიდან, ეს გარემოება წერეთელმა სვანეთის სამღვდელთა მიაწერა, და ამიტომ სვანეთის სამღვდელთაზედ საზიზლარი საჩივარი (доносъ) შეიტანა ეგზარხოსთან და რომ უფრო დიდი გავ-

---

<sup>1</sup> სვანი, სვანური ენა და ახალი აშორდია, ე გაზეთი „შინაური საქმეები“, №25, 1911, გვ., 6-7.

ლენა მოეპოვებია თვისი საჩივრისათვის, სამღვდელოება ქართულს ენაზედ მღვთის მსხაურების შეხრულებისათვის მთავრობის მოლა-ლატედ დასახა და, სხვათა შორის, პირველ საბრალმდებლო მუხლად შემდეგი დასწერა. „церковная служба совершается на непонятномъ сванамъ грузинскомъ языке, которая съ такимъ же успехомъ могла-бы совершаться на русско-славянскомъ“.

ნუ სწუხდები, ბ. წერეთელო; ჩვენ გასაგებ ენაზედ ვადიდებთ ღმერთსა, რომელიც ჩვენ ჯერ არ დაგვიკარგავს, ქართული ენა ჩვენ-თვის ღვიძლი ენაა, გასაგებიცა და საუკუნოებისაგან ნაკურთხიცა... თქვენლა უნდა იცოდეთ. ამით შორს ვერ წახვალთ და ვერც ბოქაუ-ლობას იშოვით... ბ. წერეთელი, დღემდის სვანეთის მადლიან ბუნების სტუმართმოყვარეობით სარგებლობს და დახეთ, როგორ გიხდის? „წერეთელდ სიკეთიმ მუქაფდ ორგულობ გვავერ“ (წერეთელმა სიკე-თის მუქაფად ორგულობა გვიყო)! დააკვირდი, ბ. წერეთელო, ამ წინა-დადებასა და სტევი: ქართულია იგი თუ არა?

## ქართული ლექსიკონის შემუშავების შესახებ<sup>1</sup>

ამას წინეთ „სახალხო გაზეთში“ იყო გამოთქმული ის აზრი, რომ სასურველია ახალი ლექსიკონი გამოიცეს უფრო ვრცელად, და რომ ამისთვის საჭიროა შეიკრიბოს ყოველგან ახალ-ახალი სიტყვებიო. ლექსიკონის მნიშვნელობაზედ საზოგადოთ აქ არას ვიტყვით, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ქართული ლექსიკონის გამდიდრება – შემუშავება ახალ-ახალი სიტყვებით, რომელსაც დღესაც ხმარობს ხალხი და რომლებიც დღევანდელმა ლიტერატურამ არ იცის, ძლიერ საჭიროა. ჩვენი ლიგვისტიკა ხომ ძლიერ ღარიბია და ეს ერთის მხრით ჩვენი ლექსიკონის სიღარიბითაც აიხსნება. ფილოლოგიური ნაშრომი ძლიერ ნაკლებათა გვაქვს და ამიტომაც არის, რომ ქართველობისაგან განათიშეს გვარტომობით ერთი სვანები, მეგრელები, ინგილოები და სხვები. ნამდვილად-კი ესენი ერთი და იმავე ტომის ხალხია, ერთსა და იმავე ენაზედ საუბრობენ, თუმცა-ღა დროთა ვითარების გამო მათი სასაუბრო ენა ერთი მეორეს დაშორებია. ქართული ენა მდიდარია და ჩვენი ლექსიკონი-კი ღარიბია სიტყვებით, რაც ისევ ჩვენი ბრალია. თამამად ვიტყვი, რომ კერძოთ სვანური ენა უშრეტი სალაროა ძველებური ქართულის ენისა და საზოგადოთ ხალხური პოეზია და სასაუბრო ენა სავსეა მარგალიტი სიტყვებით. უმეტესს ვიტყვით: სვანური ენის საშვალეობით ძლიერ გაადვილდება ვანური ლურსმული ნაწნერების წაკითხვა.

დღეს სვანი გეტყვის: „მუქაფთ სიკეთე მაყრ“ (მუქაფად სიკეთე მიყავ (რ)); „იორიოდეთ ყურბევილ მუღავე“ (ორიოდე ყურბელი<sup>2</sup> მოვიღე (მაქვს). „ორღავ მაარე<sup>3</sup> ხი, გვალ ქორხანქა“ (ორღავი (ორგული) კაცი ხარ, გვალე (გადი) ქორითგან (სახლიდგან).

ბევრი მარგალიტი სიტყვებია კიდევ დაცული ხალხში, ჩვენ-კი არ ვიცით. მაგალითისთვის ავიღოთ რამდენიმე სიტყვა, რომლებიც

<sup>1</sup> ბლად. მღვდელი ი. მარგიანი ქართული ლექსიკონის შემუშავების შესახებ. დ. ცაგერი 14 მარტს 1911წ. – გაზეთი „შინაური საქმეები“, №9, 1911, გვ., 12-13.

<sup>2</sup> ავტორისეული შენიშვნა: „იხ. სახარებაში“.

<sup>3</sup> ავტორისეული შენიშვნა: „რომაელთა ბატონობის ნაშთი“.

დღეს ხმარებაშია ხალხში (სვანეთ ლეჩხუმში) და ქართულს ლექსიკონში – კი მათ მე ვერ შევხვდი, აწინდელს ლიტერატურაშიაც ვერ ნახავთ. სიტყვა „ЭКОНОМЪ“ „ЭКОНОМНО“, „ЭКОНОМИТЬ“ ჩუბინაშვილის ლექსიკონში არის ქართულად ნაჩვენები: ვზოგავ, დაზოგვით, დამზოგავი, როდესაც ხალხში ამის ნამდვილი გამომხატველი სიტყვაავმომჭირნეობ, მომჭირნედ, მომჭირნე. რატომ არ შეიძლება რომ ეკონომის მომჭირნე უწოდოთ ჩვენებურათ? სიტყვა „УРОЖАЙ“ ჩუბინაშვილს ნათარგმნი აქვს:

სწორედ, გასწვრივ, პირისპირ, დამართებით, პირში; ხალხში ამის გამომხატველი სიტყვაა კიდევ „ჯიქურ“. სიტყვა „ურპზაკ“ ქართულად ჩუბინაშვილს აღნიშნული აქვს მოსავალად მაშინ, როდესაც ხალხში ამის ღრმა გამომხატველი სიტყვაა კიდევ „მოღავი“. სიტყვის მისუსტებული – გამომხატველი სიტყვაა კიდევ „მიღნავებული“. სვანურად „ღანავ“ ნიშნავს ორსულს (დედა-კაცს). მანდილს, თავსაფარს აქ ეძახიან „ფეშტემალსა“. ტურის, დინგის გამომხატველი სიტყვაა კიდევ „ტუტური“. ორგულს სვანეთში და ლეჩხუმში „ორღავს“ ეძახიან. კაცს რომ ვერაფრით დააჯერებ, ამაზედ აქ იტყვიან: „არ შეიკაკლაო“. მეზობლურად რაიმე ნივთის ნათხოვრობას ეძახიან: „საციქვობა, საციქვი“. ჩანჩქერს სვანურადა ჰქვია „მაჩხაფ“ (მჩქეფი, მჩქეფარე). რგვალად გამომცხვარს მოდიდო პურს ეძახიან სვანეთში „ყურბევილს“. საყინულეს აქეთ ეძახიან „ოლოს“, რათ არ შეიძლება, რომ საყინულეს მაგიერ სიტყვა „ოლო“ ვიხმაროთ? ჩემი ფიქრით სიტყვა საყინულე ნიშნავს ჭურჭელს, სადაც ყინული მზადდება, ან ინახება. სვანურად „народное собрание“ გამომხატველი სიტყვაა „სვიმრა“ (როგორც რუსული „вече“); სვანურად ბინძურს ეძახიან „ნიდაარ“ (სახარების „ნიდოვანი“). კიდევ ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ აქ ესეც კმარა. ჩვენ კიდევ იმას ვიტყვით, რომ საჭიროა ჩვენი ლექსიკონის შევსება ახალ-ახალი სიტყვებით და რომ ამ შემთხვევაში კერძოთ სვანური ენა დიდ დახმარებას გაგვიწევს.

სასურველია ამიტომ სოფლის მღვდლებმა და მასწავლებლებმა იკისრონ სიტყვების შეკრება და გაზეთში გამოქვეყნება, ან წერაკითხვის საზოგადოებებისადმი მიწოდება, რომელმაც ამ შევსება მეთაურობას უნდა გასწიოს. თითო მღვდელმა და მასწავლებელმა რომ ორი სანი სიტყვა შესძინოს ლექსიკონს, ამით ბევრი რამ გაკეთდება. ესეც რომ არ იყოს, ვალდებული ვართ სამშობლოს, რომელმაც გამოგვზარდა, მუქაფად ვერგოთ რითმე.

## სვანეთის ჭირისუფალს ბ. ლეონადოს<sup>1</sup>

ნეტარხსენებულ ესდეკების ორგან გაზ. „ფონში“ ნაევანყდით ბ. ლეონადოს წერილს ზემოსვანეთიდან, რომელშიდაც იგი დასტირის სხვათა შორის ამ უკანასკნელ ხანებში სვანეთის ზნეობით გათახსირებას და ერთ-ერთ ამის მიზეზათ ასახელებს სამღვდელეობის, ჩინოვნიკების და მებატონეების (რომელთაგან ერთი ლეონადოც გახლდათ), გავლენას.

მებატონეებმა და რუსის ჩინოვნიკებმა რომ ცუდი გავლენა იქონიეს ხალხის ზნეობაზე ეს ძველი ჭეშმარიტებაა და ამის წინააღმდეგ თქმა არაფრის შეგვიძლია. არც ის გვიკვირს, რომ ბ. ლეონადო, ყოფილი მებატონე და. მაშასადამე, სვანეთის გათახსირებაში მონაწილე, თავს იმათრახებს, რადგან ამის მიზეზს თვითვე ლექსით ასე გადმოგვცემს:

მგელმან მგლის ტყავის დახევა

აროდეს გაიმეტოსა,

ვიდრე ცხოვრების მძაფრ სიომ

სხვა მხრიდან არ დაბეროსა!...

(ეს ლექსი პირველათ გვესმის, უთუოდთ ლეონადოს ყაიდის უნდა იყოს!)

დიახ, „დაბერა სიომ“ და ლეონადომაც დახია მგლის ტყავი, რომელშიდაც იგი გახვეული იყო მოძრაობის წინა ხანებში, ე.ი. უღალატა თავის წოდებას გახდა ესდეკი და დაიწყო ხალხის მისგანვე „გათახსირებულ ზნეობის“ აღდგენა და გაფაქიზება, რა თქმა უნდა სხვა ესდეკებთან ერთად. დარში გამოიხატა ეს ზნეობის გაფაქიზება, ამის მონამე ყველა ვართ, ვინც 1905 წლის შემდეგ არ დავბადებულვართ. გარდა სხვა სიკეთისა სილაჩრეც კი ასწავლეს სვანებს ნაცვლად ძველი გულოვნებისა, რადგან პირველ შემთხვევაშივე ხობხებივით მიმალ-მოიმალნენ ბუჩქებში. იმ ზომამდე ხალხის ზნეობა არასოდეს არ

<sup>1</sup> სვანი, სვანეთის ჭირისუფალს ბ. ლეონადოს, – გაზეთი „შინაური საქმეები“ №12, 1911, გვ., 4-6.

დაცემულა, როგორც ესდეკურ მოძრაობის შემდეგ, რასაც ესდეკები დღესაც ხალხის გათვითცნობიერებას ეძიან და ბ. ლეონადოც ამ აზრის უნდა იყოს. საინტერესოა ვიცოდეთ, დღეს რა გზას ადგია ბ. ლეონადო და რით აპირებს სვანების ძველ სიქველის აღდგენას. „ფონში“ დანერილი ერთი სტატია, რა თქმა უნდა, ვერ უშველის საქმეს; თუ სვანეთში სოციალიზმის შეტანას ფიქრობს, რომელშიდაც, სიტყვაზე ვსთქვათ, ბევრ ზნეობრივს ვერაფერს ვხედავთ, ძალიან გვიან მოუვა, ასე რომ თანამედროვე სვანეთი მაინც ვერ მოესწრება მის განხორციელებას; იქნებ ხალხის სწავლა-განათლებას ესწრაფვის, რომ მეტი სინათლე შეიტანოს სვანეთის ბნელ მთებში?! ერთი სიტყვით რა შემატა სვანეთს მას შემდეგ, რაც მგლის ტყავი დაუხვეია? არაფერი და ვერაფერსაც ვერ შესძენს, რადგან ხალხზე ძალიან შორს დგას და არაფერი საერთო მასთან არ აქვს. ხალხის დახმარებას კიდევ არ ნიშნავს, რომ უზომო სურვილები აღუძრა მას და საშუალება კი არ მისცე ამ სურვილების დასაკმაყოფილებლად. „ვის არ უნდა თავი მეფეთ და ცოლი დედოფლათ,“ როგორც იტყვის ქართული ანდაზა, ვის არ უნდა მილიონებში სცურავდეს, მაგრამ სხად არის საშუალება ამ მიზნის მისაღწევად. სულ დიდი, რაც თქვენ და თქვენმა ამხანაგებმა მოუპოვეთ ხალხს, ბ. ლეონადო, ეს ტანტალის განსაცდელი გახლავსთ, აღუძარით სურვილი რაღაც მიუწთომელი განცხრომით ცხოვრებისა და ერთი თითიც კი არ დაანებინეთ ზედ, ერთი ყლაპი ნყალიც კი ვერ დააღვეინეთ იმ უკვდავების ნყაროდგან, რომელიც თქვენთვისაც ოცნებას შეადგენს. თქვენგან გამხეცებული სურვილებ აშლილი ხალხი ვერ გრძნობდა, რას შვებოდა და დღესაც არ ჩამდგარა ნორმალურ კალაპოტში, დღესაც უარს ყოფს ცხოვრების აუცილებელ პრინციპებს, თვისტომობას, ეროვნებას, ნათესაობას, სარწმუნოებას, სასოებას და თვით თქვენგან ღვთაებად აღიარებულ ძმობა-ერთობასაც კი. აი, თუ გნებავთ, ნაყოფი თქვენი მოღვაწეობისა სვანეთში, აი შედეგი თქვენგან „დახეული მგლის ტყავისა“. დსტკბით, თუ გნებავთ, თუ შეგიძლიათ დასტკბეთ. იმ სურათით, რომელიც გადაგეშალათ თვალწინ, როგორც შედეგი თქვენის და თქვენისთანების ზნეობრივად გამამრთელებელი (!?) ქადაგებისა.

ამის შემდეგ თქვენ კიდევ შეგიძლიათ უსაყვედუროთ სვანეთის სამღვდლოებას, რომელიც ჭირსა და ლხინში გვერდში უდგია ბეჩავ ხალხს და ნუგეშს აძლევს სარწმუნოებით, სასოებით და ხშირად ნივთიერი დახმარებითაც? რა უფლება გაქვთ უკიჟინოთ უმოქმედობა მათ, ვინც თქვენზე მეტს მოქმედობს და თქვენზე მეტს არგია ხალხს?

თქვენ ბრძანებთ, რომ სვანეთის სამღვდელოება განუვითარებელია, თვით ხალხის შვილია და ბევრათ არ განირჩევა ხალხისგანო. ჯერ ერთი რომ განვითარებული და თავის მოწოდების სიმალლეზე მდგომი სამღვდელოება სულ არ მოგვეძევა საქართველოში და საიდგან დაებადება სვანეთს ასეთი სამღვდელოება, მეორეთ საითგან განვითარდეს ერი, თუ ნელნელა არ დაიწყოს განვითარება: ჯერ ასეთი მღვდლები გამოვიდა ხალხიდგან, მერმე უკეთესი გამოვა და ასე თანდისთან დაიბადება ნასწავლი და განვითარებული სამღვდელოება და საზოგადოება. მაგრამ მაგარი ის არის, რომ განათლებული და განვითარებული ახალგაზრდობა ველარ სცნობს იმ წრეს, საიდგანაც გამოვიდა. იმას უკვე აღარ აკმაყოფილებს თავის სამშობლო სოფელი მისი მცხოვრებლებით და ცხოვრების პირობებით. იგი უკვე გარეშეთ სცნობს თავს და ეძებს ისეთ ხალხს და ისეთ ცხოვრების პირობებს, სადაც მას გაეძლება. აბა მიბრძანეთ, რომელი განათლებული სვანი დაუბრუნდა თავის სამშობლოს, თუ არ ის მცირედნი, რომელებსაც თქვენ ასე აუგებთ? როგორც მამულიშვილს, თქვენ უნდა გახარებდესთ ის გარემოება, რომ სვანეთმა თვით წარმოშობა თავის მწყემსნი და მოძღვარნი – თუმცა თქვენებურათ ნაკლებ განვითარებულნიც. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ხალხი წინ მიდის, რომ მას შეუძლია თავის ზნეობრივ ძალ-ღონით გაიტანოს თავი და არა მუდამ სხვას შეჩერებოდეს ხელში. რაც უნდა იყოს, თავისი სჯობს სხვისას, თავის საკუთარი მმართველობა სჯობს უცხო ტომთა მმართველობას; ეს კაი ხანია დაამტკიცა ისტორიამ და ეს არის საქართველოს ეკლესიის ბრძოლის პრინციპი, რომ თავის საკუთარი მმართველობა ჰქონდეს, თუმცა კარგათ ვიცით, რომ გერმანიას, საფრანგეთ და სხვა განათლებულ ქვეყნებს გაცილებით უფრო განვითარებული სამღვდელოება ჰყავს. კარგი ის არის, როცა ხალხი ვარდივით შიგნიდგან იფურჩქნება, იზრდება და არა გარედგან იწებებს ათას ნაირ მის ბუნებასთან შეუხამებელ ზნე-ჩვეულებას. თქვენ ეს კარგათ უნდა გესმოდეთ, ბ. ლეონადო, როგორც ხალხის მოჭირნახულეს. მაგრამ ჩვენ მაინც არ გვიკვირს თქვენი სხვა გვარი სიმღერა. ჩვენ კარგათ ვიცით, როგორი მღვდლებიც გასურსთ სვანეთში. სოციალ-დემოკრატი, მარქსის მოძღვრების აღმსარებელი, თქვენი და თქვენი პარტიის ყურმოჭრილი მონა-მორჩილი – აი თქვენი იდეალი სვანეთის სამღვდელოებისა. მაგრამ ეს ხომ ჩვენებურათ, ქრისტიანულათ, სამღვდელოება არ იქნება, არამედ გუნდი „ჯირიკების“ ორატორთა.

დასასრულ გირჩევთ წინ დაიხედოთ და მერმე სხვას უკიჟინოთ.

## რით ვუშველოთ სოფელს ფულის საჭიროების დროს<sup>1</sup>

ჩვენი სოფელი ფულით ღარიბია. გლახს ხარი, ან ცხენი მოუკვდა, ანდა სახლი დაეწვა, გადასახადზე ადგიან, გინა სხვა რამ საჭიროება მიადგა და სამიოდე თუმანი ეჭირვება. ის იძულებულია ხვეწნა-მუდარით მიიქციეს სოფლის წურბელასთან და ფული ისესხოს, დიდი სარგებლით, რომელიც ხშირად 40-50% ადის. სვანეთში მაგალითად, წელიწადში მანეთზედ 60 კაპეიკსაც ახდევინებენ სარგებელს. არ უნდა ბევრი საუბარი, რომ გლახკაცობა ამ ხრით დიდს გასაჭირშია ჩავარდნილი.

საქმის შველა კი ადვილია. ამისთვის საჭიროა გაიხსნას საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც მიზნად ის აქვს, რომ სოფლის მცხოვრებთ საჭიროების დროს შეღავათიან პირობებში მიანოდოს სესხი. ამ გვარი ამხანაგობის გახსნა-კი არაა ძნელი, საჭიროა ენერგიული მოთავე და საქმეც ადვილად მოეწყობა მით უფრო, რომ არის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება წვრილი კრედიტის ამხანაგობათა მოწყობის შესახებ, რომლის შექმნა შეიძლება წვრილი კრედიტის ადგილობრივი კომიტეტისგან (Комитетъ по деламъ мелкаго кредита при отделении Государственнаго банка) ტფილისის გუბერნიისათვის ქ. ტფილისში და ქუთაისისა – ქ. ბოთომში. ამხანაგობის შედგენა შეუძლია სურვილისამებრ რამოდენიმე პირს, რომელთა რიცხვი 20 ნაკლები არ შეიძლება. რაც უფრო ბევრი იქნებიან მსურველნი, მით უკეთესი – უფრო ადვილად გაიღებს ბანკი სესხსა. ხსენებულნი პირნი წარმომადგენელის საშვალებით წარადგენენ ნაჩვენებ კომიტეტში განცხადებას საკრედიტო ამხანაგობის გახსნის შესახებ (განცხადების ფორმას კომიტეტისაგან შეიძენთ, იმაში ყოველგვარი ცნობებია).

---

<sup>1</sup> ბლად. მღვდ. ი. მარგიანი, *რით ვუშველოთ სოფელს ფულის საჭიროების დროს*, – გაზეთი „შინაური საქმეები“, №38, 1912.გვ., 7-9.

ამ განცხადებაში მოთავსებულ ცნობებს შეამოწმებს წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბანკის მინდობილობით.

როდესაც ამხანაგობის გახსნის ნებართვა მოვა, შეიკრიბებიან დამფუძნებელი ამხანაგნი და თავიანთ შორის ირჩევენ გამგეობის წევრებს (члены правления) და მათ კანდიდატებს. საზოგადო კრება ირჩევს აგრეთვე ოთხი ან ხუთი კაცისგან შემდგარ საბჭოს (Проверочный Совет).

სახელმწიფო ბანკი უხსნის ამხანაგობას კრედიტს რამოდენიმე ათასისას. კრედიტი ორ გვარი შეიძლება: გრძელვადიან, და მოკლე ვადიანი. სესხი ამხანაგობამ უნდა გადაუხადოს ბანკს ნაწილ-ნაწილად 13 წლის განმავლობაში; გადახდა იწყება მეხუთე წლიდან. სარგებელს ბანკი ახდევინებს 5% წლიურს.. ყველა წევრს ამხანაგობისას გამგეობა უხსნის კრედიტს მისდა მიხედვით, თუ რამდენად სანდოა ხსენებული პირი, რომლის შემდეგ იმ პირს შეუძლიან გაიტანოს სესხი. ფულის გატანა სესხად შეიძლება 9 თვიდან ნაკლები ვადით. სარგებელი გატანილ ვალზედ ინიშნება 5 კაპეიკიდან 12 კაპეიკამდე, საზოგადო კრებისგანაა დამოკიდებული, თუ რამდენს მანეთს არ აშორდეს კრედიტის ნორმა წევრთათვის; მაგალითად ჩვენ ამხანაგობაში თითო წევრს 150 მანეთზეც მეტი არ ეძლევა (ნაკლები-კი), პირადი ნდობით, ხოლო გირაოს წარმოდგენით 400 მანეთამდისაც. ამხანაგობის საქმეები რომ რიგზე წავიდეს, ამისათვის საჭიროა სათავეში ჩაუდგენ პატიოსანი, საქმის მოყვარული, მცოდნე და კეთილგონიერნი პირნი. ძლიერ სასურველია სოფლის სამღვდელოებამ მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ამ გვარ დანესებულებაში. რუსეთში ბევრი მღვდელი თაობს ამგვარ საქმეებს და დიდი ნაყოფიც მოაქვს.

საჭიროა საქმიანობა, საჭიროა ხელი ჩავკიდოთ სოფლის კულტურულ ცხოვრებას, დავაარსოთ ამხანაგობანი საკრედიტო, ალკოგოლთან საბრძოლველი, კოოპერატიული, ბიბლიოტეკა-სამკითხველო და სხვანი. სადაც ხალხი მონახავს საუკეთესო საზრდოს!

ეხლა ორიოდე სიტყვას მაგალითისათვის, ცაგერის საკრედიტო ამხანაგობის შესახებაც მოგახსენებთ. 21 ივნისიდან ამა 1912 წლისა ჩვენი მეთაურობითა და სამსონ ასათიანის დიდი მეცადინეობით გაიხსნა საკრედიტო ამხანაგობა, რომლის გამგეობის თავჯდომარედ მე აღმირჩია ერთხმად კრებამ. დაარსებისას 38 წევრი ჰყავდა ამხანაგობას, ახლა-კი 104 წევრი ირიცხება. მთხოვნელებიც ბევრია. ხუთ კაც უარი უთხრა გამგეობამ მიღებაზე. ბათუმის განყოფილებამ სა-

ხელმწიფო ბანკისამ გაგვიხსნა 3,000 მანეთის გრძელ ვადიანი სესხი 13 წლით და 5,000 მანეთის მოკლე ვადიანი. წლიურ სარგებელს გვახდევინეს ბანკი მანეთზედ 5, ხოლო ამხანაგობა ახდევინებს თავის წევრებს სესხში 12% მანეთზედ. დღიდგან დაარსებისა დაარსებისა აქამომდე გავიდა სესხი – 2971 მანეთი და 60 კაპ., რომელმაც სარგებელი შემოიტანა 210 მან. 37 კაპ. და 7 მან. 80 კაპ. წვრილმანი შემოსავალი. სესხი მიეცა უმთავრეს ნაწილად მეურნეობის გასაუმჯობესებლად, სწავლა აღზრდისათვის და ვალის გადასახდელად. ეხლა მთხოვნელები ბევრია და ფული შემოგვევლია. ბანკს უნდა მივმართოთ მოკლევადიანი სესხი მოგვანოდოს, ხალხი ალტაცებულია, რომ ამისთანა საქმე მოეწყოს. „ბატონო მოძღვარო, ურიის ხელში სული გვძვრებოდა, თუმანი რომ გვდომოდა, სამი თუმნის ვექსილი უნდა მიგვეცა; დროზე რომ მიიტანდი ფულს, მევალე განგებ გემალებოდა, რომ, რა არის, ვადას გადასცილდეს და ვექსილი გაასაჩივროს! ეხლა გვეშველა! დიდი მადლობელი ვარ, მამაო, რომ შრომობ ჩვენთვის! რამდენადა ღირს, რომ მევალე ველარ წაართმევს უკანასკნელ ლუკმას!“ გესმის ხშირად და გიხარიან...

მარტო ეს სიტყვებიც საკმარისია, რომ იშრომოს კაცმა, თუმცა, ვამბობ, საშრომი ბევრი გვაქვს... სესხის გაცემა ხდება პარასკეობით 3 საათიდგან 5 საათამდე, თუმცა შეიძლება კვირაობითაც ნაწირვებს; ხალხი წირვაზე მოვა, ღმერთს შეევედრება და თან ფულსაც გაიტანს თავის საჭიროებისათვის.

რადგან ვხედავთ, რომ საქმე კარგათ მიდის, გვინდა-კოოპერატიულ ნიადაგზე სახმარებელი მაღაზიაც (Потребительный магазинь) დავაარსოთ, რათა ამით ვაჭრების კლანჭებიდან გამოვძვრეთ...

## სვანეთის იმერეთის ეპარქიიდან დაშორების გამო<sup>1</sup>

ერთს ამბავს გვატყობინებენ გაზეთები და კერძო ხმები: სვანეთი უნდა შეუერთდეს სოხუმის ეპარქიას ანუ სამეგრელოსთან ერთად უნდა გადაკეთდეს ბათუმის ეპარქიადო. მე, როგორც მთიულს სვანს, არ შემიძლიან ორიორდე სიტყვა არ ვსთქვა ამ საქმის შესახებ.

სვანეთი, მოგეხსენებათ ეხლა-კი არ იბადება, არამედ ცნობილია ძველის დროიდან. მან მიიღო ქრისტიანობა პირველსავე ხანებში ქრისტიანობის ეპოქისა; აქ ქადაგებდნენ მოციქულნი სვიმონ კანანელი და ანდრია პირველ ნოდებულნი. სვანეთში რომ ძველად ქრისტიანობა გაძლიერებული იყო, ამას გვიმტკიცებს სიმრავლე ეკლესიებისა და ძვირფას ხატებისა. საიდან, ან რისთვის მოვიდა ამდენი ხატი ამ მივარდნილს ქვეყანაში? ვინ ააგო ეკლესია და ვინ გაამშვენიერა ხატებითა? ვინ იყო, რომ მოიცალა ამდენი სვანებისათვის, რომელთაც ზოგიერთნი სხვა ტომის ხალხს ეძახიან შეცდომით?! ვინ უნდა ყოფილიყვნენ, თუ არა სვანნი – ქართველნი. უამრავ ეკლესიებთან ერთად სვანეთს სასულიერო გამგებლობაცა ჰქონია დროებისა, ადგილისა და პირობების შესაფერი. თავისუფალი სვანეთი ექვემდებარებოდა ცაგერის ეპისკოპოსს („ცაგერელს“ ეხლაც იხსენიებენ სვანები), ხოლო სადადიშქელიანო სვანეთი ცაიშისას სამეგრელოში. რატომ იყო, რომ მთელი სვანეთი ერთს ეპისკოპოსს არ ემორჩილებოდა – ეგებ იკითხოს მკითხველმა. ამას, ბატონებო, ნამდვილი პოლიტიკური სარჩული ედო. ეს გაყოფა „ერთობილთა სვანთა“ (როგორც თვითონ ამბობენ) სასულიერო გამგებლობის საქმეში გამოიწვია უთანხმოებამ და სიძულვილმა ორ ბანაკის შორის. ერთს შეადგენდნენ თავისუფალნი სვანნი, ხოლო მეორეს თავ. დადიშქელიანნი და მათნი მოყმენი. თავ.

---

<sup>1</sup> სვანი – ბ. მ-ნი, სვანეთის იმერეთის ეპარქიიდან დაშორების გამო, – გაზეთი, „ცნობის ფურცელი“, № 2301, 23 ოქტომბერი, 1903, გვ., 3-4.

დადიშქელიანნი სცდილობდნენ გაეფართოვებინათ საზღვრები და ამიტომ ხშირი ჩხუბი ჰქონდათ პირველებთან, მეტადრე მესაზღვრე ს. ლატალთან. თავ. დადიშქელიანთა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, თუმცა ამავე დროს მათი გავლენა დიდი იყო. ყოველივე ამა მიზეზისაგამო სადადეშქელიანო სვანეთი დაექვემდებარა სასულიერო განმგებლობაში ცაიშის ეპისკოპოსს, თუმცა ერთს დროს, როგორც თვით ძველნი სვანნი ამბობენ, მთელი სვანეთი ცაგერის მღვდელმთავარს ემორჩილებოდაო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან თვით მდებარეობა და პირობანი მხარისა ამას ითხოვდა. ეგებ ს.ს. ლახამულა-თავრარისათვის (სულ განაპირა სოფლებია სვანეთისა სამეგრელოსაკენ მდებარე) ყოფილიყო ცოტად თუ ბევრად ხელმისაწვდენი ცაიშს (და არა სოხუმსა და ბათუმს) მისვლა, თორემ დანარჩენებისათვის-კი რა მოგახსენოთ! ასევე და უფრო მეტიც ითქმის ეხლაც.

რომ უფრო ნათლად წარმოგიდგინოთ საქმის ვითარება, ავიღოთ ხელში საქართველოს რუქა, მოვნახოთ სვანეთი და მდინარენი ინგური და ცხენის წყალი. მდ. ინგური იწყება ს. უშგულიდან და მთელს სვანეთს ჰლახავს. ხსენებულ სოფლიდან (ეს სოფელი სვანეთის სათავეშია) ს. ლახამულამდე, რომელიც სვანეთის ბოლოშია 70 ვერსამდე ითვლება, მაგრამ გზა სოფლიდან სოფლამდე ვარგისია. ლახამულადან ზუგდიდამდე ოთხი-ხუთი დღის სავალია, ზუგდიდიდან სოხუმამდე კიდევ ამდენი, თუ მეტი, ბათუმამდე-კი ამაზე ბევრად მეტი. რაც შეეხება ქუთაისს, მანძილი აქამდე ამის მესამედიც არ გამოვა. სიმორემ თქვენი ჭირი წაიღოს, ვიკითხოთ გზის სიავ-კარგე: ლახამულიდან ზუგდიდამდე მგზავრობა იმდენად საძნელო და სახიფათოა, რომ კაცი ისევ ჩინეთს წასვლას არჩევს: ღრიანკელები მგზავრს შთანთქმას უპირობენ, გაშმაგებული ინგური ზვირთებით გემუქრებათ, საშიში ბოგირ-ჭოკები-კი თავბრუს გახვევთ. ეს ორ-სამ თვეში (ზაფხულობით), ხოლო დანარჩენ დროს წარმოსადგენადაც-კი ძნელია ხსენებულ გზით (ლენხერით) სიარული: ან თოვლის ზვავებს ვერ წაუხვალთ, ან ყინვების წერა შეიქმნები. დასამტკიცებლად ჩვენგან ნათქვამისა საკმარისია მოვიგონოთ მაგალითები იმ მსხვერპლებისა, რომელნიც შეწირა ამ გზის სასტიკმა ბუნებამ. ამიტომაც არის, რომ სვანეთი მუდამ, ზამთარ-ზაფხულ, მგზავრობს მეორე გზით, რომელიც, სიმართლე უნდა ვსთქვათ, თუმცა არ არის მოკლებული სიცუდე-უშიშრობას, მაგრამ პირველთან შედარებით უპირატესობა უნდა მიეცეს. ეს გზა გადის „ლატვარის“ გრეხილზედ („ტვიბერიო“) და მდ.

ცხენის წყლის ნაპირებს ჩაუყვება ცაგერამდე, გზა-გზა ჰლახავს-რა სადადიანო სვანეთს. ს. კალადან, რომელიც ეკვრის ლატფარის გრეხილს, დ. ცაგერამდე 55 ვერსია: გზა ბევრად უკეთესი ლენხერისაზედ. აქ მხოლოდ საძნელოა მთაზე გადასვლა, რომელიც შეადგენს 5-6 საათის საქმეს. თორემ დანარჩენს დროს მგზავრი უფრო უზრუნველ ყოფილია, ვიდრე ლენხერის გზაზედ. ოფიციალურს მიწერ-მონერაში მთავრობა გვპირდება სამუდამო ბილიკის (постоянная тропа) გაყვანას, რომელიც ძლიერ სამადლობელი საქმე იქნება, მაგრამ ეგ დაპირება ცალიერ დაპირებად დარჩება, რადგან სამუდამო ბილიკის გაყვანა იმ გზით მოუხერხებელია. ერთხელვე ბილიკის გაჭრა არა კმარა, საქმე ის არის, ეს ბილიკი იმუშავებს თუ არა მუდამ? შეიძლება თუ არა, რომ ამ გზაზედ არ შეჩერდეს მისვლა-მოსვლა? ჩვენის აზრით, – არ შეიძლება და აი რატომ. ლენხერაში იმოდენა უზარმაზარი ზვავები იცის, რომ ბილიკი იქ ვერრას გახდება. ბევრისაგან ბევრი ფულია საჭირო, რომ ამ სიძნელეს გაუმკლავდეს. ჩვენს ნათქვამს უფრო ადვილად დაგვიჯერებენ მაშინ, როდესაც საკუთრის თვალით ნახავენ ყოველივეს.

სხვა მოსაზრებას კიდევ უფრო ამტკიცებს სვანეთის სოხუმის, გინა ბათუმის ეპარქიაზედ გადარიცხვის უსარგებლობა-ზარალასა. სვანი, მოგეხსენებათ, როგორც მთიელი, საღის ჰაერითა ჰსუნთქავს და, აბა, წარმოიდგინეთ, რა გავლენა უნდა იქონიოს მასზედ სოხუმბათუმსა და სამეგრელო-აფხაზეთის დამპალმა ჰავამ და ჭაობებმა? რამდენი მაგალითი ხდება, რომ სვანი ამ ქვეყნებში ერთის კვირის განმავლობაში ყოფნით დახაშმულა და წუთისოფელს გამოსთხოვებია. ეხლაც შეხვდებით სვანეთში რალაც გამოურკვეველ ციებ-ცხელებით ავადმყოფთ, ეხლა ძალზე მისუსტებულთა... შეკითხვისთანავე ისინი გიპასუხებენ: „დაგვხაშმა ბატონო იმ ოხერმა სოხუმმა და აფხაზეთმაო“.

შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ სვანეთისათვის ის დამღუპველი დრო, როდესაც იგი რალაც მანქანებით გურია-სამეგრელოს ეპარქიას მიაკერეს. სწორედ სატანჯველი დრო იყო ის დრო ნამეტურ სამღვდელოებისათვის. ქუთაისის სასწავლებელში სვანის ბავშვებს თავისუფალი გზა შეუკრეს და ჰგზავნიდნენ სამეგრელოში. სვანი დარწმუნებული იყო, რომ დღეს თუ ხვალ იმისი შვილი სამეგრელოში ყოფნით სიცოცხლეს დაჰკარგავდა, ამიტომ არჩია ისევ ქუთაისი, ან სულ უსწავლელად დარჩენა, მაგრამ ქუთაისში ცალკე სასწავ-

ლებლის ქირა, ცალკე შენახვა – ყოველივე ეს ზედმეტ ბარგათ დაედო და ამიტომ იძულებული შეიქმნა, ისევ უსწავლელად დაერჩინა ბავშვი. ამიტომაც იყო, რომ ბევრმა საეკლესიო მომსახურეთაგანმა (სხვებმაც) ველარ შეიძლო ბავშვების გამოზრდა. უკეთესს მაგალითს ველარ მოვიყვანთ და თვით ბუნებით მეგრელს მღვდელს, სვანეთში მომსახურეს, გაუჭირდა შვილების გამოზრდა სამეგრელოში: შეუძლებლობასთან ერთად სვანეთის ჰაერს შეჩვეულთ, გაუძნელდათ იქ ცხოვრება და უდროოდ შეანყვეტინათ სწავლა. ეხლა ვიკითხოთ, თუ როგორი კავშირი, ანუ მიმოსვლა იყო მწყემსთ-მთავრისა და იმის სამწყსოს შორის. სვანის მღვდელს (გინდა სხვას) ეპისკოპოსის ნახვა რომ ნდომოდა, პირველად უთუოდ ქუთაისში უნდა ჩამოსულიყო, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა, და მერე გამგზავრებულიყო ფოთს. ამაზედ უარესი დასჯა-ლა შეიძლება?

სამეგრელო სამეგრელოა და სოხუმ-ბათუმი ხომ უფრო დაშორებულია სვანეთზედ. ჯერ ერთი, რომ ამ ადგილებში სვანს გაჭირვების დროსაც ვერ წაიყვანთ და თუ მოუხდა წასვლა, როგორა ჰფიქრობთ, რომელ გზას ირჩევს? უთუოდ ჯერ ქუთაისს გაივლის და შემდეგ ბათუმ-სოხუმისაკენ გასწევს გულდანყვეტილი. ეს იმიტომ, რომ ამ გზით სიარული უფრო ემხრობა სვანს და თვით ადგილებიც ეცნაურენათესავება. მაშ რა საჭიროა, რომ სვანს ზედმეტი გზა ვათელვინოთ და ეხლა ჯანსაღს სიცოცხლე შევუმოკლოთ.

## დღეს მაინც უნდა ვიფიქროთ რამ ამ ქველი ნაშთების შესაფერად დაცვის შესახებ!<sup>1</sup>

... „ეს ეკკლესიები და ხატები ძლიერ შესანიშნავნი არიან... ყოველგან განცვიფრებაში მოჰყავხართ სიმრავლეს ხატებისა, ჯვრებისა და საეკლესიო ნივთებისას. ეკკლესიებში მათ შეხვდებით ხანდისხან 50-60-მდე. უმეტესი ნაწილი დაფლეთილია ასე, რომ დარჩენილან მხოლოდ ფიცრები. მე მეტადრე მაინტერესებდნენ წარწერანი... ისტორიული წარწერანი ვნახე ნაკლებ იმისა, რასაც მოველოდი; ისინი 20-მდეა მეტი არა. არ არის ეჭვი, რომ ისინი ბევრნი იყვნენ ხატებზედ, რომლებსაგანაც მოგლეჯილნი არიან შესამოსნი და სახენი“. ამბობს ცნობილი ისტორიკოსი და არხეოლოგი ბ. დ. ბაქრაძე სვანეთში თავის მოგზაურობის აღწერაში („Зап. Кавк. Отд. Имп. Географ. Общ. кн. VI 1864 г.).

ვგონებ, მართლაც არსად არ არის იმისთანა ქვეყანა, რომ სვანეთსავით მდიდარი იყოს ძველი ეკკლესიებით, ხატებით და საეკკლესიო წიგნებით. რას არ ნახავს აქ კაცის თვალი? ვერ წარმოგიდგენია კაცს, თუ საიდგან გაჩნდა ამდენი ოქრო ვერცხლით მოჭედილი ხატი, ძვირფასი ქვებით შემკული, აზარფეშები, ტყავზედ დაწერილნი საეკლესიო წიგნები და სხვა ძვირფასი ნივთები!.. მაგრამ მეორეს მხრით ძლიერ დაგაღონებთ ის გარემოება, რომ ყოველივე ეს ძველი ნაშთი შესაფერად არ არიან დაცულნი. ჯერ კიდევ 1864 წელში აცხადებდა მწუხარებას ამ ნივთების უკიდურეს მდგომარეობაზედ პატივცემული ისტორიკოსი ბაქრაძე, მაგრამ მწუხარება ისევ მწუხარებად დარჩა. იმედი იყო, რომ ჩვენი სასიქადულო მოღვაწის სიტყვების შემდეგ ყურადღებას მიაქცევდნენ ამ ძველ ნაშთებს და ცნობაში მოიყ-

---

<sup>1</sup> მღ. ი. მარგიანი, დღეს მაინც უნდა ვიფიქროთ რამ ამ ძველი ნაშთების შესაფერად დაცვის შესახებ! – ჟურნალი „მწყემსი“, №16, 15-30 აგვისტო, 1901, გვ. 5-6. წერილს ახლავს მინაწერი: „1901 წ. 7 ივნისი. ს. ბეჩო“.

ვანდნენ მათ, მაგრამ იგინი დღესაც იმ მდგომარეობაში არიან; დიახ, არიან, როგორც უნინ და, ცოტა ხნის შემდეგ, მრავალი მათგანი დაიკარგება. ზოგიერთი ის ხატები, წიგნები, ჯვრები და სხვა ნივთები, რომელნიც ნახა ბ. ბაქრაძემ, დღეს უფრო სამწუხარო მდგომარეობაში არიან. დღეს ზოგან ამ ხატების მარტო გატყაულს ფიცრებს და წიგნების ნაფლეთ-ნაგლეჯებს-ლა ვხედავთ. ხოლო ამ ნაფლეთების დაკარგვით კი ჩვენ ბევრსა ვკარგავთ როგორც არხეოლოგიურის, ისე ისტორიულის მხრითაც.

ეს ძვირფასი ხატები და წიგნები გაფანტულნი არიან სხვა-და-სხვა ეკკლესიებსა, კოშკებსა და სახლებში, სადაც მათ თვალ-ყურს არავინ არ ადევნებს. ეს ძველი ნაშთნი გაფუჭებულნი არიან მტვერისა, კვამლისა და ყოველივე უნმინდურებისაგან. ავილოთ, მაგალითად, ს. დოლი, ბეჩოს მრევლში, სადაც ერთს კოშკში დიდი ხნიდგან ინახებოდნენ ხატები და წიგნები. ეს კოშკი ამ რამოდენიმე წლის წინათ ჩანგრეულა (სახურავი მისი ზედა ნაწილით) და ქვეშ მოუტანია ხატები; ამ კოშკში წვიმა თავისუფლად ჩადიოდა და აფუჭებდა იქ დაცულ ნივთებს, მაგრამ თვალ-ყურის მგდებელი არავინ იყო. კოშკის ნანგრევებს რამოდენიმე ხატი ქვეშ მოუტანია, რამოდენიმე დაუგლეჯ-დაუფლეთია და მიწასთან გაუსწორებია. ამ ხატებში შესანიშნავია ღვთის მშობლის ხატი ბერძნული და ხუცური წარწერებით (ამაზედ შემდეგ) და ოთხკუთხიანი, ოთხივე მხრით კუთხიანი პატარა უჯრებით გაკეთებული ნაწილებისათვის. ხატი მორთულია სხვა-და-სხვა გვარი ძვირფასი თვლებით, რომლების უმეტესი ნაწილი დაკარგულია... ნმიდანების ნაწილები გამოცვივრულან და დაკარგულან. ბევრი უქადაგე და ვეხვენე ხალხს, რომ მას ნება მოეცა ამ ნივთების შტატის ეკკლესიაში გადატანის შესახებ, მაგრამ ხალხისაგან დასტური ვერ მივიღე, ვინაიდან ხალხი ფიქრობს, რომ ისინი ხატების გადატანის გამო დაისჯებიან ღვთისაგან უწვიმობით და მოუსავლობით. ბოლოს მოვახერხე და ეს ხატები ციხე კოშკებიდან გადატანილ იქმნენ ეკკლესიაში.

ამას გარდა, სვანების ზოგიერთს სახლებში, მეტადრე სადაც „პაპები“ სცხოვრობდნენ, ბევრი ტყავზედ დანერილი საეკკლესიო წიგნი ფუჭდება მტვერითა და კვამლით. ჩემს მრევლში მე ვნახე რამოდენიმე ამ გვარი წიგნი, სხვათა შორის, ერთი სახარება (ვეთხთავე), რომლის ფურცლები აქაიქ გაფანტულიყვნენ. ჩემის ფიქრით, ადგილობრივი მღვდლისათვის არ უნდა იყოს საძნელო, რომ თავის სამრევლოში შეკრიბოს ამ გვარი წიგნები და რიგიანად მოუაროს.

ყველა ხატები (ზოგან მაინც) და წიგნები თითოეულ სამრევლოში უნდა შეიკრიბოს და შეირიცხოს შტატის ეკკლესიაში. ამის სისრულეში მოყვანისათვის უნდა დაარსდეს კომისია, რომლის მოვალეობა იქნება, სხვათა შორის, ცნობაში მოყვანა სვანეთის ეკკლესიების ყოველივე ქონებისა.

გარდა ამისა, სასურველია, რომ სვანეთის ერთ-ერთს ეკკლესიასთან დაარსდეს მუზეუმი – ძველი ნივთების შესანახი, რომლის დანიშნულება იქნება შეკრება-შენახვა საეკკლესიო წიგნებისა და სხვა ძველი ნივთებისა, რომლებიც ეკკლესიისათვის არ იქმნებიან საჭირო, მაგალითად: შვილდისრები (ბოძალი), ზარები, ძველი ფული, ფარები, ორალი, ფილოკავანი, ბარძიმ-ფეშხუმი, ლახვარი, კოვზი და სხვა ძველად ხმარებულნი ნივთნი.



## სვანების მომღერალთა გუნდი<sup>1</sup>

სვანეთიდან თბილისში ჩამოვიდა 18 კაცისაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი, რომელიც დღეს ოპერის თეატრში მართავს კონცერტს.

შესრულებული იქნება სვაური სიმღერები, ფერხული, შუშპარა, სვანები დაუკრავენ აგრეთვე ჩანგსა და ჭიანჭურზე. გუნდის მიზანია გააცნოს ფართო საზოგადოებს სვანური ხალხური სიმღერები, რომელთაც მრავალი ასეული წლების ისტორია აქვს. გუნდი შესდგება გლეხებისაგან. მას ხელმძღვანელობს სვანი – ი. მარგიანი.

გუნდი მიემგზავრება მოსკოვ-ლენინგრადში, სადაც გამოითქვა სურვილი სვანური სიმღერების მოსმენისა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სვანეთიდან მომღერალთა გუნდი გამოდის სცენაზე.

სიმღერები საგმირო ხასიათისაა: სვანი უმეტეს ნაწილად გმირობა ვჟაკობას უმღერის, სიყვარულზე იგი ნაკლებათა მღერის, მაგრამ აქაც გმირობაა ჩაქსოვილი. მრავალი ასეული წლების წინეთ სვანი ისე მღეროდა, როგორც ეხლა მღერის. სვანეთის განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობების (კარჩაკეტილობა) გამო სიმღერები დღემდე შენახულია შეუღახავათ.

სიმღერების მუსიკალური მხარე მდიდარია ჰანგებით და მსმენელზე ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს.

---

<sup>1</sup> სვანი, სვანების მომღერალთა გუნდი, – გაზეთი „კომუნისტი“, 26 ოქტომბერი, 1928. წერილს ერთვის ანსამბლის ფოტო.

## მომღერალ სვანთა გუნდი სტუმრათ მესანგრეთა ასეულთან<sup>1</sup>

29 ოქტომ. სვანების მომღერალთა გუნდმა მესანგრეთა № ასეულის პატივსაცემად კლუბში გამართა უფასო კონცერტი. ეს ის ასეულია, რომელმაც ბევრი შრომა გასწია ჯვარის მიმართულებით გზის გაყვანაზე და რომელიც შეფათ აყვანილი ჰყავს სვანეთში მულახის თემს – მესანგრეთა რაზმი აღტაცებით შეხვდა გუნდს.

პირველად მოკლე სიტყვით გამოვიდა გუნდის მონაწილე ამხ. ს. გულედანი, რომელმაც მადლობით აღნიშნა მესანგრეთა ღვანლი სვანეთის გზის გაყვანაში და გამოთქვა სურვილი მტკიცე განუყრელი კავშირია მესანგრეთა ასეულს შორის. შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. კონცერტის დასრულებისას სამადლობელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ფოკინი, რომელმაც აუწერა მსმენელებს სვანეთის მდგომარეობა. ბოლოს ასეულმა იმღერა გუნდის პატივსაცემად „Наш путь не мал“, რომელიც მესანგრეთა მიერ პირველად ნამღერევი იყო სვანეთში ყოფნის დროს და რომელშიც სვანეთის ბუნებასთან ერთად აწერილია მესანგრეთა მუშაობის სიძნელენი გზის გაყვანის დროს. მესანგრეებმა დიდი აღაცებით გაისტუმრეს გუნდი, რომელმაც „ოშორერას“ (მარში) სიმღერით დატოვა დარბაზი.

---

<sup>1</sup> ი. მ-ნი, მომღერალ სვანთა გუნდი სტუმრათ მესანგრეთა ასეულთან, – გაზეთი „კომუნისტი“, 4 ნოემბერი, 1928.

## მომღერალთა სვანური გუნდის გარშემო<sup>1</sup>

სვანური (ძველი ქართული) სიმღერების ფართო საზოგადოებრივადმი გაცნობისა და გუნდის მოწყობის იდეა დაიბადა სვანეთში ამ რამდენიმე წლის წინედ, მაგრამ მას საძირკველი ჩაეყარა წელს სახ. კონსერვატორიის პრორექტორის ლარისა ქუთათელაძის სვანეთში მოსვლით; მას ბევრი ღვანლი მიუძღვის ამ საქმის დაგვირგვინებაში. მის განხორციელებას ხელი შეუწყო აგრეთვე სვანეთში საბჭოთა რუსეთიდან მგზავრების (დენისოვა, ლობაჩოვი და სხვ.) მოსვლამაც. მათ გამოთქვეს სურვილი მოგვეხდინა სიმღერების დემონსტრაცია მოსკოვ-ლენინგრადისა და საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში, ვინაიდან ამ საქმეს ისინი აძლევენ ეტნოგრაფიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას.

20 კაცისაგან შემდგარმა გუნდმა თავს იდვა ამ საძნელო და სიმპატიური საქმის განხორციელება. ცოტა ფულით (ადგილობრადმასკომმა და კოოპერ. გამგეობამ მოგვცეს ავანსი 500 მანეთამდე) იგი ჩამოვიდა თბილისში, საოპერო თეატრში 26 ოქტომბ. ჩატარებულმა კონცერტმა დაგვანახვა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე სვანურმა ცეკვა-სიმღერამ და საკრავებმა.

ერევანში სამჯერ გამართულმა კონცერტმაც მოლოდინს გადააჭარბა და საზოგადოება დიდი აღტაცებით მიეგება გუნდს.

სვანურმა გუნდმა ფართე საზოგადოებას უჩვენა ძველი ხალხური ცეკვა-სიმღერა და საკრავები ისე როგორც ამას მღერის სვანი სახნისთან, ჭირში და ლხინში, ეს მისი დიდი დამსახურებაა. საჭიროა მას აღმოეჩინოს ფინანსური და მორალური დახმარება.

---

<sup>1</sup> გუნდის ხელმძღვანელი ი. მარგიანი, მომღერალთა სვანური გუნდის გარშემო, - გაზეთი „კომუნისტი“, 13 ნოემბერი, 1928.

## მაგის რა ბრალია?!

### (ფსიხოლოგიური ეტიუდი სვანეთის ცხოვრებიდან)

თიბათვის ცხელი დღეები იდგა... ცა სარკესავით მონმენდილიყო და კაშკაში გაჰქონდა; ღრუბლების ნატამალიც არ მოსჩანდა მის სივრცეში; მხოლოდ ხანდისხან მაღალ მთის წვეროზედ გამოჩნდებოდა ღრუბლის ნაჭერი და ისევ მალე გაჰქრებოდა, მიიმალეობდა, იქ, სადღაც შორს, ზესკნელში. იქით-აქეთ სვანეთს უზარმაზარი მთები ამაყად გადასცქეროდნენ. დიდი ხანია, რაც ამ მთებს არ გადაუხდიათ თავზე ნისლის ზენარი და ეხლა, დარწმუნებულნი თავიანთ სიმშვენიერეში, თითქოს გვეუბნებიან: „მოდით დასტკობთ ჩვენის სილამზით, სანამდის დრო გაქვთ, თორემ მალე ისევ ნისლითა და ბურით შევიმოსებითო!“. .

დიახ, მთებს მართლა გადაეხადათ ზამთრის ზენარი და მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდნენ... პატარა დიდს შეჰხაროდა და დიდი პატარას, გამდნარი თოვლის წყალი ჩხრიალ-კრიალით მირბოდა ბარისაკენ, თანდათან დიდდებოდა და, ბოლოს, უერთდებოდა გამხეცებულ ინგურს, რომელიც ათას ნაწიქტებს ისროდა, ქვიდგან ქვაზე ქურციკივით ხტოდა, ჰქაფდებოდა, იკვრებოდა ბურთივით, იბნეოდა წვრილ ნამად და ნაზი ფერადით აჭრელებულ ბალახიან ველებს რწყავდა, თან გაჰქონდა მედიდური გრიალი რომელიც ხან ხმა მაღლა გაჰკიოდა და ხან მიდუმდებოდა, თითქო ისვენებსო, და იქაურობას აღვიძებდა. ლატფარის მთაც ამავე სანახაობას წარმოადგენდა; ის თავის სიმაღლიდგან სიამაყით გადმოსცქეროდა არემარეს და დილის მზის სხივების გვირგვინი შემოეკრიფა. აქა-იქ ვაკეებში, სადაც მზეს თავისი სხივები საკმარისად ვერ მიენვდინა, ისევ დარჩენილიყო თოვლი და იქაურობას სულ სხვა ფერს აძლევდა. წმინდა ანკარა წყაროები ჩამოჩუხჩუხებდნენ და რალაცა გამოუთქმელი სიტკობებით უალერსებდნენ კაცის ყურს; მთის ჩიტებსაც გამოელვიძნათ და ჭიკჭიკით ქებას უძღვნიდნენ ბუნების ძალა გამჩენს. მშვენიერი დღე იყო, ერთი იმისთანა დღეთაგანი, რომელსაც კაცი ნეტარებაში შეჰყავს და სიამოვნებას აღუძრავს მთელს სხე-

ულში. სიჩუმე მეფობდა, რომელსაც ხანდისხან არღვევდა მდ. ინგურის ღრიალი და ყორნის უშნო დამალონებელი ყრანტალი. სანატრელია ამ დროს ამ ადგილებში ყოფნა. მათ იმისთანა ზეგავლენა აქვსთ კაცზედ, რომ ეს უკანასკნელი უნებლიეთ ემორჩილება მათ ბუნების ძალას და სიამოვნებას ეძლევა; ისინი ამ გვარად არამც თუ მარტო ადამიანზედ, არამედ პირუტყვზედაც კი მოქმედებენ. მართლაც, როგორ არ უნდა მიიზიდოს პატიოსანი პირუტყვები მსუქანმა, ნოყიერმა მწვანე ბალახმა, შემკულმა ათას ფეროვანი ყვავილებით და სურნელებით? როგორ არ უნდა მოხიბლონ ამ გვარმა ადგილებმა მათი გული?

აგერ უეცრად ერთს ფრიალო კლდის წვეროზედ გამოჩნდა ხარლალი, რომელიც ისე გამოიზნიქა კლდეზე, რომ კაცი იფიქრებდა-გამოვარდნას აპირებსო; მაგრამ ის ერთბაშად შედგა და ამაყად დაიწყო იქით-აქეთ ცქერა. რა თავისუფლებასა ჰგრძნობდა ამ დროს ეს პატიოსანი პირუტყვი, მკითხველო!.. მე და შენ როდის ველირსებით ამ გვარ თავისუფლებას! ამ დროს მისი გული გარდა ნეტარებისა, პატიოსნებისა, უმანკობისა, თავისუფლებისა, სიყვარულისა და გულჩვილობისა არა რას გრძნობდა, მის გულში არ ჰქონდა ადგილი არც მტარვალობას, არც უსამართლოებას, არც სხვა ცუდ აზრებს! მას ამაყად აელო მაღალი თავი და თითქო ღმერთს მაღლობასა სწირავდა თავისუფლების მონიჭებისათვის, შემდეგ ხან ძირს დაუშვებდა თავს ხან მაღლა ასწევდა. გავიდა რამდენიმე წამი და იმავე კლდის წვეროზედ გამოჩნდა ჯიხვის ჯოგი, რომელიც ისეთს მშვენიერს სანახაობას წარმოადგენდა, რომ ადამიანს რაც უნდა წყლულუ გული ჰქონოდა, დაამშვიდებდა. ჯოგი მონინავე ჯიხვის თაოსნობით პატარა ხანს შეჩერდა, შეუშვირა გული გამაგრებულ ნიავს, მერმე იქით აქეთ გაიფანტა, ერთი კლდიდან მეორეზედ გადახტა და ბალახს დაუნყო წინკნა; ეს გადხტომ-გადმოხტომა ისე მარდათ ხდებოდა, რომ კაცს გააკვირვებდა; პანანინა ჯიხვებიც დიდებს ჰბაძავდენ და თავისუფლად ნავარდობდენ. აგერ, ერთ ადგილას პანანინა ჯიხვი შეჩერდა, რადგან მეორე ადგილას გადახტომა ველარ მოახერხა, და ცქმუტუნი შეჰქმნა; უფროსი ჯიხვი მოუბრუნდა, წაუნოდა თავისი მოკაუჭებული მსხვილი რქები, პატარამ მხრით მოსდო რქები უფროსის რქებს, ამ უკანასკნელმა ასწია მაღლა თავი და ერთი თვალის დახამხამებაში თავისი საყვარელი შვილი მეორე ადგილას გადმოსვა; ისინი მხიარულებაში და ნეტარებაში იყვნენ... ბუნებაც მხიარულობდა და ხელს უწყობდა მათ.

კაცი რომ შორიდან ამ მთის ქედს კარგათ დააკვირდეს, შეამჩნევს დაკლაკნილ ვიწრო ბილიკს, რომლით სიარული, თუ არა შეჩვეულ

სვანს, სხვას ძალიან გაუჭირდება. აი სწორეთ, ამ გზაზედ იმ დროს, როდესაც პატიოსანნი პირუტყვენი ნეტარებაში იყვნენ, გამოჩნდა ორი ჩრდილი; მონინავეს მოხერხებული და დინჯი სიარული ამტკიცებდა, რომ ის ამ მთის შვილი უნდა ყოფილიყო და მამაკაცის სქესს ეკუთვნოდა, აგერ მგზავრნი ისევ ჩამოეფარნენ გორაკს, მერმე კიდევ გამოჩნდნენ და იმავე სახით განაგრძეს სიარული. ერთს, ოდნავ ჩალრმავებულს ადგილს რომ გაუსწორდნენ, მონინავემ თავისთვის ჩაიბუტბუტა „შვენდაბავ ჯაარხ“ (შეგინდოსთ ღმერთმა) და გაუდგა გზას. ორნივე მგზავრნი დაღონებული მიაბიჯებდნენ, ხმას არ იღებდნენ და სახეზედ მჭუნვარება ეტყობოდათ. ამკარა იყო, რომ ორივეს რალაც დარდები ანვათ გულზედ. როდესაც მგზავრები მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადც ჯიხვის ჯოგი იყო გაფანტული, უცბათ მონინავე ჯიხვმა ასნია თავი მალლა, ამაყად გადაიხედა იმ მხარისაკენ, საიდანაც მგზავრები მოდიოდნენ, მერმე რალაც უცნაური ხმაურობა ამოუშვა, გაიქნია თავი, მრისხანე სახე მიიღო, თითქო ემუქრებოდა თავის ნეტარების დამარღვევს და აუდგა აღმართს მას დაედევნა მთელი ჯოგი და რამოდენიმრ ნუთის შემდეგ მიიმალა. მგზავრებმა ძალაუნებურად მოჰკრეს თვალი ჯოგსა, მაგრამ ორნივე ისე შეეპყრო რალაც ფიქრებს, ორნივე ისე დაღონებულნი მიდიოდნენ, რომ არც ერთმა არ მიაქცია მას ყურადღება. სვანი ძნელათ თუ გაუშვებს ხელიდგან ამისთანა შემთხვევას, რომ არ ისარგებლოს მით და რომ ერთი „ნათხვიარე“ (ნანადირევი) მაინც არ გადმოაგოროს, მაგრამ აქამდის არ სცალოდა ჩვენს მგზავრებს. ისინი სულ სხვაზეჰ ფიქრობდნენ. რა იყო მიზეზი მგზავრების მჭუნვარებისა, ჩაფიქრებისა? რას შეეპყრო ორთავეს გული? ქალის წყნარი, ზანტი სიარული, მოდიდო მუცელი, დამჭლევებული ლოყები და ნითელი ცხვირი ამტკიცებდა, რომ ის არა ჩვეულებრივსს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო... დიახ ის ამ ჟამად ავადმყოფი იყო... მაგრამ განა ავადმყოფობა ამისთანა დაღს დაასვამს ადამიანს?! ის ნელნელა მიაბიჯებდა, ხან, რომ ველარ შესძლებდა სიარულს, შესდგებოდა, ხან გაუჩქარებდა ფეხს, მაგრამ მალე დასუსტდებოდა და ისევ შეჩერდებოდა, ზოგან დაქანცული დაეცემოდა დედა მიწაზედ და ქვითინს მოჰყვებოდა. როგორც გამოცდილება ამტკიცებს, ყოველგვარ მწუხარებას ცრემლები უფრო შეამსუბუქებენ ხოლმე, საცოდავი ქალიც ამ აზრს დასთანხმებოდა და ლაპა-ღუპით გადმოუშვებდა ხოლმე ცხარე ცრემლებსა. ამ მდგომარეობაში რჩებოდა ის, სანამ თანამგზავრი, მისი ძმა ზურაბი, არ დაუბრუნდებოდა უკან და არ ააყენებდა, ისეც ლან-

ძღვა-გინებით.-ახია შენზედ ეგ წვალეზა, ახია! პატიოსან ოჯახის შერცხვენისთვის შენ ყველაფერი გეკუთვნის! არავითარი სატან-ჯველი არ არის შენთვის დიდი! ახია, გეკუთვნის! -ამ სიტყვებზედ ძმა წამოაყენებდა დას, რომლის პასუხი ვაება და ქვითინი-ლა იყო, და გაუდგებოდნენ გზას. ამ ვაი ვაგლახით ააღნიეს მათ მთის წვერს, სადაც ერთს ადგილას ორი ქვა ჯვარედინათ, ესე იგი გარდიგარდ-მო, დაედოთ. ზურაბმა მოიხადა ნაბდის ქუდი, პირჯვარი გამოისახა და სთქვა სვანურათ: „დიდებუ აჯხედა ხომა ღერბათ, ერე ამავი მშიდებათ ანუხ!“ (დიდება შენდე მალალო ღმერთო, რომ აქამდისინ მშიდობით მოგვიყვანე!) მისს მაგალითს მიჰყვა ქალიც და შემდეგ ორივე დაეშვენენ თაბდაღმართზედ. აქ ბუნება იმავე სილამაზით იყო შემკული, როგორც მთის მეორე მხრით. რამოდენიმე ხნის სიარულის შემდეგ მგზავრებმა წყაროს მახლობლათ მოისვენეს. ამწვანებული ბალახი იქაურობას ამშვენებდა და სუნნელოვანებასა ჰფენდა. ანკარა წყაროს ჩუხჩუხი მედგრად გაისმოდა და ბუნებას აღვიძებდა; წყაროს მოშორებით გაღმა მეორე მხრით თოვლის წყალი გადადიოდა კლდიდგან ხმაურობით, ჩანჩქერად იქცეოდა, გზაზედ წვრილს ნამეზად იქცეოდა, კლდის ნაპირებსა რწყავდა და ხევაამდე ველარ აწევდა; ამის მეოხებით აქა-იქ ბალახებს ამოეყოთ თავი და თითქო გადმომჩქეფარე წყალს შეჰხარიან და მადლობას უძღვნიან იქით-აქეთ ირხეოდნენ. ამ ადგილს ისეთი მალალი მდებარეობა უჭირავს, რომ იქიდგან ხევში გადახედვა ძნელია, კაცს თვალებს აუჭრელებს და შიშის ჟრუანტელი მთელს სხეულში დაურბენს. მგზავრებმა გაიგრილეს გული ცივი წყლით და მერმე იქვე მოშორებით ჩამოსხდნენ; ქალი წამონვა თუ არა ი წამსვე საშინელი ქვითინი მორთო; ქვითინზედ კვნესა მოჰყვა, გული მალ-მალ უცემდა და თავისუფლათ ამოსუნთქვას უშლიდა. ვინ იცის მკითხველო, რასა ჰგრძნობდა ამ დროს ეს საწყალი სუსტი არსება?... ვინ იცის, რა ფიქრებს შეეპყრო იმისი გული? ვინ იცის, რა სტანჯავდა მას, რა ჰქეჯნიდა მაჯლაჯუნასავით?...

ეს რომ ამ მდგომარეობაში იყო, უღმობელი ძმა სასტიკათ ჰკიცხავდა მას და ეუბნებოდა: – ახია შენზედ, ახია, შენ შეარცხვინე პატიოსანი ოჯახი, შეარცხვინე შენი ძმა, ის მამა, რომელმაც გამოგზარდა, რომელიც მთელს ხევშიდ პატიოსნებითაა განთქმული, შენ შებლაღე დედაშენის ხსენება, სული, შენ შეარცხვინე შენი ძმები, დები, ნათესავები, შემარცხვინე მეც, შენი ძმა... რომელიც მთელი ოჯახის პატიოსნებით ვამაყობდი და რომელსაც ყველგან დიდი მიღება და სალამი მქონდა, მაგრამ იცოდე, რომ ამიერითგან შენ ჩემი და აღარა ხარ და მე შენი

ძმა!... რა პასუხს აძლევ შენს პატიოსანს ოჯახს, მოხუცებულს მამას!? განა ამიერითგან შენ ღირსი ხარ, იმას მამა დაუძახო!? არა, არა... ათასჯერ არა. შენ დაჰკარგე სამუდამოთ მამა, ძმები, დები, ნათესავები და ყოველივე ბედნიერება! ... ამ სიტყვებმა ქალს დანასავით გაუარეს და მწარეთ დაუსერეს გული; მერე შეინძრა, წამოჰყო თავი და მტირალის ხმით დაიწყო; მტარვალნო, მტარვალნო!... რას მერჩით მე სუსტს არსებებს!... ვსთქვათ, დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, მე შევარცხვინე მთელი ოჯახი, მამა ჩე...მი, შევარცხვინე თქვენც, ძმები, დები!... მაგრამ ნუ თუ თქვენში არ მოიპოვება მცირეოდენი ნაპერწკალი ადამიანის შებრალებისა!? ნუ თუ არა ჰფიქრობთ, რომ ამაში ისევ თქვენ, მამაკაცნი ხართ დამნაშავენი?!.. განა არ იცით, რომ ამაში ისევ თქვენ გედებათ ბრალი!?... სხვა არა იყოს—რა წარმოიდგინეთ ჩემი თავი, როგორც უცხო უპატრონო, უცნობი, სანყალი ადამიანი; წარმოიდგინეთ და ნუ თუ არ შემობრალეთ მე სანყალს მე უბედურს!? ... ოხ ღმერთო ჩემო ! ამ სიტყვების შემდეგ დაეშვა პირქვე და მორთო ქვითინი. ძმა მოშორებით იჯდა და დაფიქრებული გაჰყურებდა მთებს იმან წარბიც არ შეანძრია დის ლაპარაკზე და ერთხელაც არ შეხედა, ნისი ფიქრები, გონება სულ სხვაზე იყო მიქცეული. ქალს მშობიარობის ტკივილმა მოუარა, სანყალი ოხრავდა მალ მალ, ხან წამოდგებოდა, ხან გვერდზე დადებრუნდებოდა და საშინელად იტანჯებოდა. „მაღალო ღმერთო! რა დავაშავე ამისთანა, რომ უპატრონოდ დამაგდე და ერთი მომვლელიც არა მყავს!?... ნაიბუტბუტა მან ჩუმათ, და წამოიწია ზეზე“.

ამ წვალებაში გაატარა მან რამოდენიმე წამი. ამასობაში ტკივილი თანდათან ემატებოდა და უძლიერდებოდა; გონება ეკარგებოდა და გული უსუსტდებოდა... პატარა ხანის შემდეგ გაისმა რაღაც კნავილი. ამ ხმაურობამ ჩაფიქრებული ძმა გამოარკვია და გადახედა დას... ის მიხვდა, რაშიაც იყო საქმე, თვალი მოარიდა და რამოდენიმე მანძილზე განშორდა; მას მაშინვე ფერი შეეცვალა, თვალები დაუსისხლდა გაშმაგებულ ნადირსავით, გულმა მალმალ უწყო ცემა და თმა აებურძგლა... კნავილმა თან და თან იმატა და ბოლოს კაცი ადვილათ გაარჩევდა, რომ ეს ხმა ახლათ დაბადებულის ტირილი იყო.. ძმამ ერთხელ კიდევ გადახედა თავის დას, რომელსაც მუხლებზე დახლად დაბადებული ეწვინა. დედა ეფერებოდა შვილს, თავზე და ხელს უსვამდა და ძონძებში ახვევდა. — მგონი ვაჟია! — თავისთვის ნაიბუტბუტა ძმამ, მერმე წამოდგა და ბავშვისკენ წასვლა დააპირა, მაგრამ უცებ შეჩერდა, ცოტა დაფიქრდა, სახე დაეღრიჯა და თავზე და ხელი იტაცა. ეტყობოდა, რაღაც სულიერ ბრძოლაში იყო და ჯერ კიდევ ვერ

გაერკვია საკითხი. ამ მდგომარეობაში დარჩა ის პატარა ხანი, მერმე ასნია მალლა თავი და დას მიუბრუნდა: რატომ უმალ შენ არ გახდი სიკვდილის მსხვერპლი!... დაიყვირა ძმამ და გააქანა დისაკენ. მან ერთი თვალის დახამხამებაში გამოსტაცა ბალლი დედას ხელიდგან და გაისროლა უფსკრულში, უზარ მაზარ კლდის ღრიანკებში, სადაც კაცის თვალი ძლივს ჩასწვდებოდა: მხოლოდ კნავილილა იყო ბავშვის უკანასკნელი ანდერძი... დედამ ამის დანახვაზედ ერთი მაგრად შეჰკვივლა, იტაცა თმაში ხელები და გაჰქანდა იქითკენ, საითკენაც მისი შვილი გადაისროლა უღმობელმა და შეუბრალებელმა ძმამ... უღმერთო! მაგის რა ბრალია!? შვილი! – იყო უკანასკნელი სიტყვები ქალისა ძმისადმი მიმართული. ერთი წუთიც არ გასულა ამ სიტყვების თქმის შემდეგ, რომ საცოდავი დედა გადაეშვა უფსკრულში საცოდავმა შვილთან სიკვდილი არჩია და მას გადაჰყვა!...

სიჩუმე ჩამოვარდა... ბუნებამ, თითქო ყურიც არ შეიბერტყა ამ ამბავზე და ისევ იმ მშვენიერს სანახაობას წარმოადგენდა... მხოლოდ დრო გამოშვებით ცივი ქარი დაჰბერავდა ხოლმე და მთის წვერების ახლომახლო მომცურავი ღრუბლის ნაჭრებს გაჰფანტავდა თითქო განგებ, რომ ეს ამბავი მცხოვრებლებათვის გადაეცათ.

ამ მოულოდნელმა, ზარდამცემმა ამბავმა ძმას გრძნობა დაუკარგა და მთელი სხეული აუკანკალა მღელვარება ნებას არ აძლევდა, ხმა ამოეღო, ფეხები ეკეცებოდა... ფერი ხშირათ ეცვლებოდა, დასჩერებოდა მიწას და ხმას არ იღებდა... დროგამოშვებით მას რალაც იდუმალი ხმა ჩასძახოდა, მერმე ისევ შესწყდებოდა და ვერ გამოეცნო – რა ხმა იყო ეს ხმა, ან ვის ეკუთვნოდა. – უღმერთო, მაგის რა ბრალია! – მოესმა ძმას უფრო გარკვევით. ეხლაკი ადვილათ გაარჩია, ვის ეკუთვნოდა ეს ხმა და სულიერი ტანჯვისაგან სახე უფრო დაეღრმედა, ამ მდგომარეობაში დაჰყო მან რამოდენიმე წამი, შემდეგ უცბათ გაიქნია ხელი და თავისათვის წაიბუტბუტა: თენქიზ! ორი ადამიანის სისხლი არ შეგერგება და გაბრაზებული გაუდგა გზას....

დედაშვილი სამუდამოდ დაიკარგნენ, მათი გვამი მას შემდეგ კაცის თვალს აღარ უნახავს, ორნივე განჰქრენ, ორთავეს ერთი ბედი ეწია... მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ, ამ ადგილებზედ რომ გაგველოთ შეამჩნევდით, რომ იქ სადაც დედაშვილი დაიღუპნენ, ყორნები მხიარულათ დაფრინვდენ და საზარელი, გულმოსაკლავი ყრანტალი გაჰქონდათ!... ვინ იფიქრებდა, რომ ორ საცოდავ ქმნილებას სამშობლო მიწაში დამარხვა არ ეღირსებოდა!?... რა დაამავეს დედაშვილმა ამისთანა, რომ სამშობლო მიწაწყალს მოაკლდნენ და ფრინველის საკენკი

შეიქმნენ!?... შენ მაინც, უსუსურო არსებავ! უცოდველო ანგელოზო, რა დანაშაული მიგიძლოდა ამისთანა!?

შუალამე ახლოვდებოდა ცა ვარსკვლავებით მოფენილიყო, მთვარე საკმაოდ ანათებდა და მშვენიერს სახეს აძლევდა სვანეთის მაღალსა და წვრილს კოშკებსა. მდ. იგურს შესაზარი ღრიალი გაჰქონდა და მას ბანს აძლევდა მთები. თოვლივით შემოსილი „ვომბა“, მთვარის შუქით გასპეტაკებული, მშვენიერს სანახაობას წარმოადგენდა, სიამაყით გადმოჰყურებდა დარაჯსავით იქაურობას; სიჩუმე გამეფებულიყო ახლომახლო ტყეებში პირუტყვით და მფრინველთ თითქოს შეენყვიცათ მოძრაობა, მხოლოდ ხანდისხან გაისმოდა ჭოჭის უშნო ყვირილი... სოფ. მ-ს კიდევ არ ეძინა და მხიარულობდა; ყოველი სახლიდან გაისმოდა ცეკვა-სიმღერა. ეტყობოდა, დღეობა ჰქონდათ. სოფლის განაპირას იდგა ერთი ლამაზი კოშკიანი სახლი; გარს მოდიდო ეზო ჰქონდა შემორტყმული და შიგ სხვდასხვა ხეხილი იდგა. ეზოს ერთს კუთხეში, სახლის მახლობლად, კანაფი ეთესა და გარშემო ნკნელით იყო შემოკავებული, რათა საქონელს არ დაეზიანებია ნამუშევარი; მეორე კუთხეში ლალჩმა (ცალმანგი) იდგა, იმის წინ მოდიდო კალო იყო გადაჭიმული. მის მოშორებით „ლუშხატი“ (სადაც საქონელი ჰყავთ ღამით) იდგა და შიგ რამოდენიმე ხარი, ძროხა, ცხვარი, და სხვა საქონელი ემწყვრია. ყველა სახლებიდან ცეკვა-სიმღერა, ხარხარი, ოხუნჯობა და ხმაურობა ისმოდა და მთელს სოფელს ეფინებოდა. მაგრამ ყველაზე მხიარულება სოფელში ამ სახლის მკვიდრთ ეტყობოდათ: ქალების მწყობრი სიმღერა ჰაერს აპობდა და ტკბილ მომალხენელ ხმებათ სწვდებოდა მსმენელის ყურს ახლო მახლო მთები და ლამაზი კოშკები ბანს აძლევდნენ მათ, თითქო მათთან ერთად მხიარულებაში მონაწილეობას იღებდნენ. ამ დროს იმ ადგილას, სადაც „ლალჩმა“ იდგა, ყორეზედ გამოჩნდა კაცის ჩრდილი. რომელიც სწრაფად ჩამოხტა და ამ შენობას მოეფარა. მთვარიანი ღამე იყო და უცნობი როგორც ეტყობოდა, სცდილობდა რამე ნაირად შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ამიტომ ის ხან კედელს მიეკვრებოდა, ხან ჩაჯდებოდა და ხან ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა.

პატარა ხნის შემდეგ სახლის კარები გაიღო და ერთი კაცი ცალ მხარეზე ჭურჭელ შედგმული უცნობისაკენ გაემართა – აქეთკენ მოდის! – სთქვა თავისთვის უცნობმა, შეიძლება ის არის! რაც უნდა იყვეს იარაღი მზად უნდა ვიქონიო!... ის თუ იქნა. მით უკეთესი! – ამ სიტყვებზე მან იძრო თოფი, შეაყენა ჩახმახზე და მოიმაჯვა მერმე სხვა იარაღი გაისწორა და სული განაბა. ჭურჭლოსანი კაცი მიდიოდა სიმღერ-სიმღერით და ესე გაიარა უცნობის მახლობლად, რომ ერთიც

არ მიუხედავია მისკენ, ცოტა რომ გაშორდა უცნობმა ნაიბუტბუტა ის არ არის სხვა ვილაც, წყალზედ მიმავალი ეს სთქვა და უფრო მიეკრა შენობის კედელს, პატარა ხნის შემდეგ წყალზედ მიმავალი კაცი დაბრუნდა და იმავე გზით და სიმღერით შევიდა სახლში, „კარგია, რომ ვერ შემაძინია“ სთქვა უცნობმა თავისთვის, მაგრამ ეხლა კი დროა ჩემი განზრახვის აღსრულებას შეუდგე“ მერმე დაიჩოქა, მოიხადა ქუდი და წარმოსთქვა: „მაღალო ღმერთო, მთავარ-ანგელოზო და წმინდა გიორგი! თქვენა ხართ მონმე, რომ – დედაშვილი ამ კაცის მიზეზით დავლუპე და ცოდო ავიკიდე: ამავე მიზეზით მე განვიზრახე მაგ კაცის მოკვლა, რადგან პატარა ბავშვის სისხლი არ მასვენებს და ყოველთვის მელანდება, თქვენ შემინდევით მე ცოდვილსა!... მერმე სწრაფად წამოხტა, წადგა წინ, ხანჯალი მოიმარჯვა და სხვა ხმით დაიძახა:

– თენქიზ, ოო თენქიზ! გამოიხედე ერთხანს!

რადგან სახლშიდ ხმაურობა იყო, ამიტომ მას რამოდევრმე დაჭირდა დახმაურება, ბოლოს გადმოდგა ვილაც ქალი დერეფანზედ და ჰკითხა:

– ვინ ხარ, რატომ არ შემობრძანდები?...

თათარყანი ვარ, თენგიზის ნახვა მსურს, ფრიად დიდი საქმე მაქვს, გამოვიდეს. ძალიან კარგი! მაგრამ რატომ არ შემობრძანდებით? ნაიბუტბუტა ქალმა და შეალო კარები. პატარა ხანს შემდეგ იმავე დერეფანზედ გამოჩნდა მაღალი ტანის, ზორბა ყმანვილი კაცი და დაიძახა:

– ღამე მშვიდობისა! სტუმარი ღვთისაა და რატომ არ შემოხვალ? ამ სიტყვებზედ ყმანვილი კაცი დაეშვა დერეფნის კიბზედ სტუმრისაკენ, ზურაბმა ამასობაშიდ მოიმარჯვა ხანჯალი, ცოტა უკან დაინია და შენობის ჩრდილოს მიეფარა; გულმა მალმალ უწყო ცემა და სახეზედ ცივმა ფერმა გადაჰკრა. თენგიზი მიუახლოვდა და გაკვირვებული შეეკითხა: ვაჟო, ზურაბი არა ხარ? რატომ არ შემოხვალ?

– ზურაბი ვარ და ვიქნები, კიდეც და ეს კი შენ, ძაღლო! სთქვა ზურაბმა და ხანჯალი გულში ტარამდის ჩასცა. სანყალმა „მიშველეთ“ ის დაძახებულა მოასწრო და მაშინვე დაეცამინაზე.

– ეგ კიდეც არაკმარა შენთვის, შე ბოროტო! სთქვა ზურაბმა და დაახალა ზედ გულზე დამბაჩა. დამბაჩის გავრდნა და მისი გაქცევა ერთი იყო. ხმაურობაზე გამოსცვივდნენ სახლიდგან წივილ კივილით და შემდეგი სანახაობა წარმოუდგათ: სისხლის მორევში მცურავ თენქიზს ხახა დაელო, კისერი მოგრეხოდა, ცალი კლავი უკან ქონდა გადაგდებული, ცალი ხელი ჭრილობაზე მიედო და ფეხები ძალზე გაეჭიმა... ზურაბს კი იდუმალი ხმა მაინც კიდეც ჩასძახოდა: „მაგის რა ბრალია?!“

# სარჩევი

წინასიტყვაობა.....	3
თამაზ ლეჟავა.	
ივანე მარგინანის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.....	11
დეკანოზ იოანე მარგინანის ეთნოგრაფიული წერილები.....	17
წერილი სვანეთიდან.....	18
წერილი სვანეთიდან (1).....	20
ორიოდე სიტყვა სვანეთში	
უკანონოდ შეთვისებულია შესახებ.....	24
გუნებით სვანი ილუმინი მ. თეოფანე.....	30
წერილი სვანეთიდან (2).....	33
ლეჩხუმ-სვანეთის რამე-რუმე.....	36
წერილი ლეჩხუმიდან.....	40
სვანეთი (1).....	42
სვანეთი (2).....	44
ეთნოგრაფიული მასალები სვანეთში, სოფელი მუჟალი (ზემო სვანეთი).....	47
სვანეთი (3).....	49
ვინ იყვნენ „ბაბა“ -ები, ანუ „პაპ“ ები?.....	75
ორიოდე სიტყვა	
სვანეთის სამღვდლოების შესახებ.....	86
ორიოდე სიტყვა სვანურის ენის შესახებ.....	91
რა ენაზედ აღიდებენ და	
აღიდებდნენ სვანები ღმერთს?.....	94
სვანური ენა და ახალი აზროვნება.....	96
ქართული ლექსიკონის შემუშავების შესახებ.....	98
სვანეთის ჭირისუფალს ბ. ლეონაძეს.....	100
რით ვუშველეთ სოფელს ფულის საჭიროების დროს.....	103
სვანეთის იმერეთის ეპარქიიდან დაპირების გამომ.....	106
დღეს მაინც უნდა ვიფიქროთ რამ ამ კვილი	
ნათების შესაფერად დაცვის შესახებ!.....	110
სვანების მომღერალთა გუნდი.....	113
მომღერალ სვანთა გუნდი სტუმრათ მისანგრეთა ასეულთან...	114
მომღერალთა სვანური გუნდის გარშემო.....	115
მაგის რა ბრალია?!.....	116